გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

№1 (316)

ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

13 — 19 იანვარი 2016 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„ფორუმი“ კოალიციას ტოვებს?

ანი მიროტაძე: „შესაძლოა, ეს დაპირისპირებაც გამოვიდეს... რასაც ახლა ვიტყვი, ბევრს არ მოეწონება...“

ახალი სკანდალი „ოცნებაში“

>>> მე-8-9 გვ.

„...როდესაც კოალიციაში შევედით, ჩვენი ამოცანა იყო რეჟიმის შეცვლა. ეს ამოცანა შევასრულეთ. ახლა გვაქვს ოთხწლიანი მანდატი, რასაც ჩვენი პარტნიორების მიმართ პასუხისმგებლობით ვეკიდებით... ახლა, როცა არჩევნებამდე კიდევ ათი თვეა დარჩენილი, ძალიან რთულია იმის თქმა, რას იზამს „ფორუმი“. ყველაფერი ეს იმ გამოწვევებზეა დამოკიდებული, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი იქნება ხელისუფლების, ჩვენი პარტნიორების ხედვა ამასთან დაკავშირებით. ამოცანა და მოცემულობა 2012 წელთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულია. თუ იქნება თანხვედრა, ჩვენ ვიქნებით ერთად, მაგრამ კომპრომისები არ იქნება!“

შვეიცარიის ელჩისა და საქართველოს ხელისუფლების კორუფციული გარიგება

>>> მე-10-11 გვ.

„სამეგრელო-ზემო სვანეთს პროკურატურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ვლადიმერ იოსავა, რომელიც შემდეგ, თუ არ ვცდები, აფხაზეთის სუს-ში გადაიყვანეს, ანუ შეინახეს, არჩილ ვეკუას და მამამისს იბარებს. ისინი ერთმანეთს სულ სამჯერ შეხვდნენ და იოსავამ ვეკუებს უთხრა, რა ვქნათ, ბიჭებო, ზევიდან ზეწოლა გვაქვს, გვირეკავენ, თუ ძმა ხარ, თბილისში ჩადით და მოაგვარეთო“.

ვინ არის ალი რიზა ყიზილდაგი, რა აკავშირებს გიუნტერ ბეხლერს თხილის ბიზნესთან და რატომ გაწირა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველი მეწარმე — ირაკლი ღლონტი „ვეკუას საქმის“ სკანდალურ დეტალებს ასაჯაროებს

ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

>>> მე-14-15 გვ.

„6 მილიონი საერთაშორისო ვალი დაგვხვდა!“ — რა ცვლილებები იგეგმება და რას ფიქრობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი „ოლიმპის“ დანგრევაზე

თბილისში, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვის ევროპული დღის ცენტრი გაიხსნა

>>> მე-4 გვ.

რატომ არ მიიწვიეს პრეზიდენტის ნაძვის ხეზე „მზის შვილები“ და ვის შეუძლია „მზის სივრცეში“ რეაბილიტაციის გავლა

„ვილაც უწმინდურებას ჩადის და ამის გამო პატრიარქი „ბებერი აგენტია“?“

>>> მე-13 გვ.

ვინ არის პაატა შავაძე, რომელმაც პატრიარქის მხარდამჭერი კავშირი დააფუძნა

რეალურად, რისთვის ჩავიდა თინა ხიდაშელი პანკისში და ვინ დგას თარხან ბათირაშვილის უკან

>>> მე-2-3 გვ.

ამერიკული და რუსული სპეცსამსახურების ქართული თამაშები

რა დააბარა პატრიარქმა ირაკლი კაკაბაძეს დასთან

>>> მე-12 გვ.

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ეროვნული. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

რეალურად, რისთვის ჩავიდა თინა ხიდაშელი პანკისში და ვინ დგას თარხან ბათირაშვილის უკან

„ძალიან ცუდი პროცესი მიდის და სიარული, პრაქტიკულად, დანის პირზე გვიწევს — ერთი არასწორი ნაბიჯით მხოლოდ პოლიტიკურ ორიენტაციას კი არა, იმ დამოუკიდებლობასაც დავკარგავთ, რომელსაც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერი შეეწირა!“ — ამ განცხადებას „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე აკეთებს. გარდა ამისა, ქართველი სპეცსამსახურელი, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზით ერთობ სკანდალურ განცხადებასაც აკეთებს, ანუ ფორჩხიძე არ გამორიცხავს, რომ ამერიკული და რუსული სპეცსამსახურები ევროპის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ და ცდილობენ, მსოფლიო ისევ ორპოლუსიანი გახადონ. უშიშროების გამოცდილი მუშაკი პანკისის ხეობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორი დღისწინანდელ სტუმრობასაც ეხება და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამერიკელებმა თარხან ბათირაშვილი, შესაძლოა, სიტუაციას გაარიდონ... „ქართული სიტყვა“ 2016 წელსაც აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს კონსტანტინე ფორჩხიძესთან...

კონსტანტინე ფორჩხიძე: — ახალი წელი ახალი ძველი მინისტრთა კაბინეტით დავიწყეთ, რაც თავისებური პარადოქსია, რომელიც მხოლოდ ქართულ პოლიტიკას ახასიათებს. ქვეყნის მართვაში ე.წ. გუნდური პრინციპი მიშამ დაამკვიდრა...

— გუნდურობაში ცუდი რა არის?

— არაფერი, მაგრამ როცა ლიდერი მოდის, თავისი გუნდი მოჰყავს და როცა მიდის, გუნდიც მიჰყვება, მაგრამ დღეს ეს არ მომხდარა, ანუ ღარიბაშვილის მისამართით რევერანსები იმიტომ კეთდებოდა, აი, წარმატებულია, წარმატებულიო, რომ გუნდი შეენარჩუნებინათ, ანუ ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი მის მიმართ მიმართული ღონისძიება იყო, ვიდრე — რეალური ცვლილება. ამიტომ მგონია, რომ ეს იძულება იყო.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ეს ახალგაზრდა ადამიანი წასულიყო.

— ისე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კვირიკაშვილს გუნდში გარკვეული ცვლილებების გატარება მოუწევს...

— დიახ, მოუწევს... ერთი ცვლილება უკვე განხორციელდა — მიხეილ ჯანელიძის სახით, საგარეო საქმეთა ახალი მინისტრია წარმოდგენილი. არ ვიცი, რამდენად პროფესიონალი კადრია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსკოვში, „მგიმო“ აქვს დამთავრებული, გარკვეული განათლება საფრანგეთშიც აქვს მიღებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ღარიბაშვილის მთავრობას ჰქონდა აღებული, ცვლილებებს არ განიცდის, ანუ მხედველობაში მაქვს საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სვლა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგება-დაბალანსება, რასაც ე.წ. ღარიბაშვილის კაბინეტი ქადაგებდა.

— კვირიკაშვილის მთავრობაში კიდევ ერთი საგულისხმო ცვლილებაა — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დავით ზალკალიანი დაბრუნდა...

— ირაკლი ალასანიას გუნდის წევრის...

— ზალკალიანი წელიწადზე მეტია, ალასანიას პარტიის წევრი აღარაა.

— კი ბატონო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდის წევრიც არ არის. თუკი იმ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, რომ გიორგი კვირიკაშვილს იგივე ალასანიასთან საუკეთესო ურთიერთობა აქვს და, ასევე, თავდაცვის მინისტრთანაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზალკალიანის საგარეო უწყებაში დაბრუნებით გარკვეული პოლიტიკური ძალების დაბალანსება მოხდა.

— ანუ?

— ყველაფერი შესაძლოა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. პრაქტიკულად, მომავალი პარლამენტის კონტურები გამოკვეთილია — „ქართული ოცნება“, ბუნებრივია, კოალიციის სახით შენარჩუნდება. ალასანია გარკვეულ სეგმენტს დაიჭერს, პარლამენტში კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ძალა შევა და და პროდასავლური ორიენტირების გათვალისწინებით, მომავალი მინისტრთა კაბინეტი კოალიციური იქნება. ოქტომბრის არჩევნებში „ოცნება“ აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს და იძულებული გახდება, გარკვეულ ძალებთან მოლაპარაკებაზე წავიდეს, რათა პარლამენტში უმრავლესობა შექმნას...

— კოალიციურ პარლამენტსა და მთავრობაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ... ისე, 2015 წლის მიწურულს, ბიძინა ივანიშვილმა ივარაუდა, რომ ღარიბაშვილმა შეიძლება, ახალი პოლიტიკური გუნდი შექმნას. ბატონო კოტე, გამორიცხავთ, რომ ოქტომბრის არჩევნებში „ოცნების“ მთავარი მეკავშირე სწორედ ღარიბაშვილის პარტია იყოს?

— ძალიან მცირე დროა, რომ ღარიბაშვილმა საპარლამენტო არჩევნებამდე პარტიის შექმნა მოასწროს, თან თუ პარტიის შექმნას გადაწყვეტს, მარტო თვითონ ვერაფერს გახდება და საზოგადოებისთვის მისაღები სახეები, ასე ვთქვათ, უნდა მიიზიდოს. ამიტომ, მგონია, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკაში უფრო არჩევნების შემდეგ დაბრუნდება, ან თუ პარტია მანამდე ჩამოაყალიბა, არ მგონია, რამეს მიაღწიოს, რადგან პოლიტიკური ველი, პრაქტიკულად, გაჯერებულია.

მოკლედ, პრემიერად გიორგი კვირიკაშვილის მოსვლამ სიტუაცია იგივე ხელისუფლების შტოებს შორის დაბალანსა და ეს ის ინექცია იყო, რომელზეც ადრეც ვლპარაკობდი. ვანო, თუ გახსოვს, წინა ინტერვიუებში არაერთხელ მითქვამს, როცა სიტუაცია კრიზისამდე მიდის, ბიძინა ივანიშვილი ინექციას იყენებს-მეთქი, ანუ მან ზუსტად იცის, როდის რა გააკეთოს და ახლაც სწორი ნაბიჯი გადადგა, თუმცა საკამათოა, რამდენად მისაღებია მინისტრთა კაბინეტის ეს შემადგენლობა. კაბინეტში არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა უნდა გააგრძელონ. მაგალითად, დავით სერგეენკო წარმატებული მინისტრია...

— სერგეენკოს წარმატებულობაზე სხვა დროსაც გვილაპარაკია, მაგრამ მოდით, უფრო აქტუალურ თემებს შევეხოთ, მაგალითად, იმას, რომ ნაახალწლევს თავდაცვის მინისტრი, ჟურნალისტების თანხლებით, პანკისის ხეობაში ჩავიდა. პანკისში, ერთი შეხედვით, არაფერი ხდება, მაგრამ ახალ წლამდე, ფონიჭალაში მცხოვრებმა ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა, სადაც ახალგაზრდა „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრებმა მოკლეს, საპროტესტო აქცია გამართეს...

— დიახ, ეს ის საფრთხეა, რომელზეც სხვა დროსაც გვისაუბრია. ვიღაცები გაიძახიან, ამ კუთხით საქართველოს საფრთხე არ ემუქრებაო, მაგრამ როგორ არ ემუქრება, როცა ჩვენი მოქალაქეები, მარტივად რომ ვთქვათ, სხვის კონფლიქტში არიან ჩართულები. ავიღოთ თუნდაც თარხან ბათირაშვილზე გავრცელებული განცხადება, რომ თითქოს აშშ-ის სპეცსამსახურებმა დააკავეს.

— ეს ინფორმაცია არ დადასტურდა...

— დიახ, მაგრამ ინფორმაციის გავრცელებას თავისი დანიშნულება აქვს და რაკიღა ბათირაშვილზე ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, არაა გამორიცხული, ის სიტუაციიდან ამერიკელებმა თავად გამოიყვანონ.

— ანუ?

— იმას ვამბობ, რომ ამერიკელების მხარეს „ტყვედ ჩავარდეს“.

— ამერიკელებს ბათირაშვილის „სიტუაციიდან გამოყვანა“ რატომ აწყობთ?

— იმ პირების ბეგრაუნდი, ვისაც „ისლამურ სახელმწიფოზე“ გარკვეული ზეგავლენა აქვთ, ძალიან საინტერესოა.

— რას გულისხმობთ?

— ავიღოთ თარხან ბათირაშვილის ბეგრაუნდი. არ მგონია, რომ როცა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, ამერიკული სპეცსამსახურების თვალთახედვის არეში არ მოხვედრილიყო. შეიარაღებული ძალებიდან მისი წასვლაც საინტერესოა...

— როგორც ვიცი, დაიჭირეს და შეიარაღებული ძალები ამიტომ დატოვა...

— აღსანიშნავია, რომ ბათირაშვილი ქართველია...

— მოკლედ, იმის თქმა გინდათ, ბატონო კოტე, რომ ბათირაშვილი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შექმნეს?

— რატომღაც ასე მგონია.

— ვთქვათ, ასეა. ამერიკელებს რა ამოძრავებდათ?

— რეგიონში პროცესების მართვა და მეტი არაფერი. მოდით, გლობალურ ასპექტში განვიხილოთ, ვის რა აწყობთ: რეგიონში კონფლიქტი ხელს აშშ-საც აძლევს და რუსეთსაც.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბოლო დროს ევროკავშირმა მსოფლიოში, ასე ვთქვათ, ახალი კონკურენცია შექმნა, ანუ გეოპოლიტიკური გავლენების ახალი გადანაწილება დაიწყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ევროკავშირი გაფართოებაზეა ორიენტირებული, რაც არ შედის არც აშშ-ს ინტერესში და არც — რუსეთის. ამიტომ, ორივეს გარკვეული გამაღიზიანებლის შექმნა უნდოდა, რათა პროცესების მართვაში მათი საჭიროება მეტად გამოკვეთილიყო.

— აშშ-ს სურვილი გასაგებია — უნდა, მსოფლიოს ზესახელმწიფოს სახელი შეინარჩუნოს, მაგრამ კრემლს რა ამოძრავებს?

— რა და, — უნდა, იმ ნიშნულს დაუბრუნდეს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დანგრევამდე ჰქონდა. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ამ ორი დიდი მონსტრის — აშშ-სა და რუსეთის ინტერესები ევროპის საწინააღმდეგოდ ერთმანეთს ემთხვევა. ევროპაში დაწყებული ბოლოდროინდელი პროცესებიც, რომელიც მიგრაციაში გამოიხატება, წინასწარაა გათვლილი, ანუ თუ გავიხსენებთ, დევნილები ევროპის ტერიტორიაზე როგორ ადვილად და ორგანიზებულად აღწევენ, შეგვიძლია, გარკვეული ნიშნები აქაც დავინახოთ, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია, რომელიც ევროპას ანგრევს და ჰომოფობიურ დამოკიდებულებას წარმოშობს. შესაბამისად, ხდება დეკლარირება, აი, ხომ ხედავთ, ის, რასაც ევროპაზე აქამდე დეკლარირებდა, სიმართლე არაა და იქ ქსენოფობიამ გაიღვიძა. მოკლედ, მგონია, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია, რომელსაც ევროპა ჯერჯერობით ადექვატურად ვერ პასუხობს, რადგან ყველაფერ ამას მოუმზადებელი შეხვდა.

— დიდ პოლიტიკურ თამაშებში გამორიცხული არაფერია, მაგრამ მოდით, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ და, ბატონო კოტე, როგორ ფიქრობთ, თავდაცვის მინისტრი პანკისში, სადაც თითქოს არაფერი ხდება, რა მიზნით ჩავიდა?

— ჩემი ინფორმაციით, პანკისში შესაძლოა, ის ადამიანები დაბრუნდნენ, ვინც სირიაში, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდნენ. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ ხიდაშელის პანკისში ვიზიტს პრევენციის ხასიათი ჰქონდა, რომ სირიიდან დაბრუნებულები ქვეყანას სირთულეებს არ შეუქმნიან.

— მაინც, რა სირთულეებია მოსალოდნელი?

— მაგალითად, ეს ხალხი რუსეთში გადავიდეს, რაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის ერთგვარი საბაბი შეიძლება გახდეს. პანკისში ე.წ. ომის სინდრომი მოქმედებს, თუმცა ყველაფერი ეს ჩემი ვარაუდია და მეტი არაფერი.

თავდაცვის მინისტრის პანკისში ჩასვლა სხვა პრობლემებს დაემთხვა.

— სახელდობრ?

გაგრძელება მე-3 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

– მხედველობაში ფონიჭალაში მომხდარი მკვლელობა მაქვს, რომლის საბაბიც მოკლულის განცხადება გახდა, რომლის თანახმადაც, ტრადიციულ ისლამსა და ვაჰაბიტურ მიმდინარეობას შორის შეუთავსებლობა არსებობს. პრაქტიკულად, აქაც პოლიტიკური ნიშნები ჩანს. რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ ეს ჩვეულებრივი კრიმინალია და მეტი არაფერი, ფაქტია: ეს კრიმინალი გარკვეული პოლიტიკური შეხედულების შედეგია, თან პოლიცია ვერ ახერხებს, რომ დამნაშავე დააკავოს...

ვანო, თუ გახსოვს, ერთი წლის წინ გითხარით, საქართველოში ვაჰაბიტურმა მოძღვრებამ ფეხის მოკიდება მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და მაშინ „აზიის მუსლიმანთა კომიტეტიც“ ფუნქციონირებდა. იმავე პერიოდში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოდში, სადაც აჭარელი ეკომიგრანტები ცხოვრობენ, ვაჰაბიტური მეჩეთი აშენდა. სახელმწიფო უშიშროების სამსახურები ამ თემატიკაზე აქტიურად მუშაობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ეს ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი. თანდათან ვაჰაბიზმი რუსეთის წინააღმდეგ იარაღად იქცა.

– ვისი მხრიდან?

– სპეცსამსახურების.

– ანუ, ვაჰაბიზმს რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი სპეცსამსახურები იყენებდნენ?

– ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ არაბი ემისერებით გარკვეული, ასე ვთქვათ, ვაჭრობა ხდებოდა და ყველაფერ ამაში თავიდან ფეხებამდე სპეცსამსახურები იყვნენ ჩართულები. სამწუხაროდ, ის კადრები, რომლებიც ამაში იყვნენ ჩართულები, დღესაც შენარჩუნებულები არიან, ანუ მოქმედი პირები არ შეცვლილან. მართალია, დღეს საქართველოში არაბები აღარ მოძრაობენ, მაგრამ მათ მიერ აღზრდილი თაობა რელიგიურ საქმიანობას ეწევა. ისე არ გამიგოთ, რომ მხოლოდ ვაჰაბიზმზე ვლაპარაკობ. საქართველოში შიიტური მიმართულებაც ძლიერია – 90-იანი წლების ბოლოს, ეთნიკურ ახალგაზრდებს ქალაქ ყუმში აგზავნიდნენ, რათა ფუნდამენტური ისლამური განათლება მიეღოთ. მოკლედ, საქართველოში ამ მიმართულებით სიტუაცია ძალიან ჭრელია და ტრადიციული ისლამის განდევნა ხდება.

– ამას მუსლიმანებიც აპროტესტებენ...

– დიახ, მაგრამ რადგან მოსახლეობა არის, მუსლიმური სასწავლებლებიც უნდა არსებობდეს, სადაც მსურველები რელიგიურ განათლებას მიიღებენ. ეს ვითარებაც სწორედ ამან შექმნა. სხვათა შორის, აზერბაიჯანშიც ანალოგიური მდგომარეობაა. განსხვავება ის არის, რომ იქ რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი მიიღეს, რომლის თანახმადაც, არატრადიციული ისლამის ქადაგება დასჯადია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მიმართულება რუსულ მხარესთანაა შეჯერებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის მიერ ვაჰაბიზმის მკვეთრად ჩაგვრამ შეიძლება, იქაური ვაჰაბიტური ნაკადის საქართველოში შემოდინება გამოიწვიოს. ჩვენთან კი, ყველაფერ ამის მარეგულირებელი მექანიზმები არ არსებობს...

– ეს გასაგებია, მაგრამ თავდაცვის მინისტრის პანკისში სტუმრობა ეგებ, იმას ემსახურებოდა, თუ როგორ უნდა მოხდეს პანკისელი ახალგაზრდების ქართულ ჯარში ინტეგრირება?

– პრევენციაში მეც ამას ვგულისხმობდი. საერთოდ, პანკისში მხოლოდ თავდაცვის კი არა, სხვა მინისტრებიც უნდა ჩავიდნენ და დასაქმების საკითხებზეც იმსჯელონ. ისე, უკეთესი იქნებოდა, პანკისში ახლა კი არ იარონ, არამედ, მაშინ ჩასულიყვნენ, როცა პირველი ინფორმაცია გაჩნდა, რომ ადგილობრივები სირიაში წავიდნენ და ვიღაცები გადაბირებით სამუშაოებს აწარმოებდნენ. ამაში სპეცსამსახურებიც უნდა ჩარეულიყვნენ. მოკლედ, ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რომ ცუდი სოციალური ფონი მოეხსნათ, რომელსაც დროში გაწელილი მოქმედების ვადა არ ჰქონდა და როდის აფეთქდებოდა, არავინ იცოდა. დღეს, პრაქტიკულად, იმ მომენტს ვუახლოვდებით, როცა დიდ სახელმწიფოებს შორის დაწყებული კომფრონტაცია ამ სიტუაციაზე გავლენას მოახდენს.

– ანუ?

– მხედველობაში აშშ-სა და რუსეთს შორის დაწყებული კომფრონტაცია მაქვს, რომლისკენაც პირველი ნაბიჯი რუსეთმა გადადგა – 2015 წლის 31 დეკემბერს, რუსეთმა თავის სამხედრო დოქტრინაში ცვლილება შეიტანა და საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 20 წლის შემდეგ, თავის შესაძლო მოწინააღმდეგედ ისევ აშშ და ნატო მოიხსენია, რაც პრაქტიკულად, ცივი ომის სტატუს-ქვოზე დაბრუნებას ნიშნავს, რასაც ამ ორ დიდ მონსტრს შორის გავლენის სფეროების გადანაწილება მოჰყვება, ანუ დღის წესრიგში ისევ ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი დგას.

– ეს ცუდია?

– მოდით, შევაფასოთ: ახლო აღმოსავლეთში დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეს შესაძლოა, აშშ-საც აწყობს, ანუ ევროკავშირის მომძლავრების საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ ნაბიჯები იქითკენ იდგმევა, რომ მსოფლიო ისევ ორპოლუსიანი გახდეს.

– დღეს მსოფლიო რამდენპოლუსიანია?

– რუსეთის გარეშე, მსოფლიო, დღეს, პრაქტიკულად, ერთპოლუსიანია. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოზე აშშ-ს ერთპიროვნული გავლენა აქვს, მაგრამ შეხედეთ, რა მოხდა: ამ გავლენის შენარჩუნებას აშშ-ს მატერიალური და ფინანსური რესურსებიც არ ეყო, ანუ ისე არაა, რომ მთელი მსოფლიო ერთმა ქვეყანამ მართოს, რადგან ამას დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსები სჭირდება. ეს, როგორც ჩანს, ამერიკელებმაც გააცნობიერეს და იმ საფრთხეებს, რომელიც, მაგალითად, ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსიის სახით მოდის, მარტო ვერ აღუდგებიან. მოკლედ, ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი იმას მოიტანს, რომ ევროკავშირის გაფართოება შეჩერდება, თუ მისი რღვევა არ დაიწყო. რღვევის საბაბი კი, შეიძლება, დიდი ბრიტანეთი გახდეს, რომელიც ევროპაში, შეიძლება ითქვას, აშშ-ს დანამატია.

– ერთი სიტყვით, მსოფლიო საითკენ მიდის?

– ორი პოლუსისკენ. ერთი პოლუსი აშშ-ია, მეორე კი, – რუსეთი, რომლის რღვევაზეც აშშ-მ, პრაქტიკულად, უარი თქვა.

– ხომ შეეძლო, აშშ-ს მეორე პოლუსი ჩინეთისგან შეექმნა?

– ჩინეთისგან მეორე პოლუსი რომ შეექმნა, აშშ მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე დარჩებოდა და მთელ დედამიწას ჩინეთი მოედებოდა.

– ამ ლოგიკით, მთელ მსოფლიოს რუსეთიც მოედება.

– ვერ მოედება, რადგან ევროპაში ვერ შეაღწევს.

– ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ევროპას გაზით „წალეკავს“...

– კი ბატონო, მაგრამ არავინ იცის, პროცესები როგორ განვითარდება... რუსეთი შეეცდება, ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრები აღადგინოს, რომელსაც ალბათ, რუსულ სამყაროს დაარქმევს.

– ევრაზიულ კავშირს გულისხმობთ?

– არა. რუსეთის დოქტრინაში შეტანილია, რომ თითქოს მსოფლიოში არსებობს რუსული სამყარო ისევე, როგორც არსებობს ინგლისურენოვანი სამყარო. არადა, რუსული სამყარო მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეა და მეტი არაფერი.

– რუსულ სამყაროდ, შეგვიძლია, მთელი სლავიანური ქვეყნები მივიჩნიოთ...

– კი, ბატონო, სლავები არიან, მაგრამ აბა, იუგოსლაველებს, ბულგარელებს, ან სლოვაკებს ვკითხოთ, რუსეთის ბატონობის ქვეშ ყოფნა უნდათ? მოკლედ, ამ დოქტრინას მისდევს რუსეთი და ამაში ხელს, პირდაპირ თუ ირიბად, ხელს აშშ-ც უწყობს, ანუ აშშ-ს ანყობს, რომ რუსეთი მომძლავრდეს.

– მაშასადამე, „ცივი ომის“ დამთავრებას თეთრი სახლი შეცდომად თვლის?

– ყოველ შემთხვევაში, „ცივი ომის“ დამთავრებამ ევროპის გაძლიერება მოიტანა, შესაბამისად, აშშ-ს ტექნოლოგიების, ტექნიკის, ეკონომიკის დარგებში, ევროპის სახით, მძლავრი კონკურენტი გაუჩნდა და მიხვდა, თუკი ევროპა გაძლიერდა და რუსეთსაც დაუახლოვდა, ძალიან ცუდ ვითარებაში აღმოჩნდება, მით უმეტეს, თუ რუსეთი ევროპას ენერგორესურსებით მოამარაგებს, ასეთ დროს აშშ-ს საკუთარი რესურსების გამოყენება მოუწევს, მხედველობაში მაქვს ნავთობრესურსები და ასე შემდეგ.

– ისე, ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასი დღითიდღე ეცემა...

– ეს იმისთვის კეთდება, რომ დოლარი მომძლავრდეს და ევროპამ დაინახოს, რომ აშშ-ს მსოფლიოს სამართავად ძალა ჯერ კიდევ აქვს, ანუ აქ ბრძოლა იმაზე მიდის, თუ ვინ მართავს მსოფლიოს. აშშ მიხვდა, რომ ამას მარტო ვერ შეძლებს და მისთვის ძველი გამაღიზიანებელი, რომელიც გამოცდილი ჰყავდა, ისევ აქტუალური გახდა.

– ძველი გამაღიზიანებელი, ანუ რუსეთი, არა?

– დიახ...

– ესე იგი, აშშ-ს შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული ურჩევნია...

– დიახ, ასეა...

– ამ სიტუაციაში, ჩვენ რა უნდა ვქნათ – ევროპას უნდა დავუახლოვდეთ თუ ნატო-ს?

– მსოფლიო გადანაწილების ამ ახალ პროცესს ვიწრო ანალიტიკური ცენტრების გარდა, რომელთაც ამერიკული და რუსული სპეცსამსახურები მართავენ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. ამიტომ, არსებული პაკეტის ფარგლებში, საქართველო ევროპასთან მიღწეული პროგრესის შენარჩუნებას უნდა შეეცადოს. ჩვენ ევროპამ თავის ნაწილად გვაღიარა, შესაბამისად, მკვეთრად არც აშშ-ს მხარი უნდა დავიჭიროთ და არც – რუსეთის. ჩვენ წმინდა ევროპული პოზიცია უნდა დავიჭიროთ და განვაცხადოთ, საქართველო ევროპის ნაწილია და მორჩა! შესაბამისად, ყველა პოლიტიკური ნაბიჯი ევროპასთან უნდა შევათანხმოთ.

– კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ ნატო-ს?

– ნატო ის საკითხია, რომელიც შესაძლოა, გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს.

– ვისთვის?

– ნატო-მ თვითონ გვითხრა, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია მისი ამოცანა არაა. ეს თავის დროზე აშშ-მაც გვითხრა... ისე, თურქეთიც ცდილობს, რომ მისი გავლენის სფეროში აღმოვჩნდეთ – ჯერ კიდევ ცოცხლობს „დიდი თურქეთის“ იდეა, რომელშიც თურქულენოვან სახელმწიფოებთან ერთად, საქართველოც მოიაზრება, მაგრამ ამ იდეას აზერბაიჯანის რუსეთისკენ შებრუნებით წერტილი დაესვა. სხვათა შორის, ყველაფერ იმას, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, სათავე 2008 წლის აგვისტოს ომმა დაუდო და ამაზეც არაერთხელ მილაპარაკია.

– მოკლედ, ყველაფერი რუსულ და ამერიკულ საიდუმლო ანალიტიკურ ცენტრებში დაიგეგმა?

– რა თქმა უნდა... ისე, არ დავასრულე, ნატო-სთან მიმართებაში რა უნდა ვქნათ.

– გისმენთ, მითხარით...

– დაახლოებით, ის მოდელი უნდა ავირჩოთ, რომელიც საფრანგეთს ჰქონდა – საფრანგეთი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრი იყო, მაგრამ არა – სამხედრო ბლოკის.

– ეს რას ნიშნავს?

– თუ ნატო გვეტყვის, რომ ალიანსში შევიდეთ, უნდა შევიდეთ, თუ არადა და, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირთან ინტეგრაცია უნდა იყოს.

– ნატო ხომ ჩვენთვის თავდაცვაა?

– კი ბატონო, მაგრამ ამ შემთხვევაში, შეიძლება, ისეთი გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს, რომ პირდაპირ რუსული რაკეტების სამიზნე გავხდეთ.

– სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში შესაძლოა, თურქული სამხედრო ბაზები განლაგდეს...

– გამორიცხულია, ეს არ მოხდება!

– რატომ?

– იმიტომ, რომ თურქული ბაზების შემოტანა ნატო-ს ბაზების შემოტანას ნიშნავს.

– ეს ცუდი იქნება?

– არა, მაგრამ ნატო-ს ჯარები რომ ჩვენს ტერიტორიაზე განლაგდეს, მაშინ ნატო-ს წევრები უნდა ვიყოთ... სხვათა შორის, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ჩვენთან ნატო-ს სასწავლო ცენტრის გახსნამაც განაპირობა, ანუ ევროპას შეეშინდა, რომ ევროკავშირში ინტეგრაციაზე შეიძლება, საერთოდ უარი გვეთქვა, რაც ჩვენს კი არა, პირველ რიგში, მის ინტერესებს ურტყამს...

– ბატონო კოტე, ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ მოდით, დღევანდელი საუბრის რეზიუმე გააკეთეთ...

– იმ ვითარებაზე, რაც დღეს ქვეყანაშია შექმნილი, ფართო საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს. საქართველო გადაწყვეტილების მიჯნაზე დგას და პატარა არასწორი ნაბიჯიც შეიძლება, ძვირად დაუჯდეს.

– „ნაცმოძრაობა“ „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულების გასაჯაროებას ითხოვს, მაგრამ თუკი აშშ და რუსეთი შეთანხმებულად მოქმედებენ, ეგებ, „გაზპრომთან“ ჩვენი დაახლოებაც შეთანხმების ნაწილია?

– შეიძლება... ჩვენ ხომ არ ვიცით, კულუარებში რა ხდება?!

მოკლედ, მკვეთრი ევროპული ორიენტაცია უნდა შევინარჩუნოთ – ასოცირების ხელშეკრულებას უნდა ჩავებღაუჯოთ და ევროპული გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროში მოვექცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან რუსეთი ჩაგვყლაპავს, ან არავინ იცის, თურქულ-რუსული დაძაბულობა საქართველოში რა განვითარებას ჰპოვებს.

– გიორგი კვირიკაშვილის გაპრემიერება შესაძლოა, ამ გამოწვევებით აიხსნას?

– დიახ, მე ასე ვფიქრობ. ის იდეალურად შერჩეული კადრია!

სხვათა შორის, არ შემიძლია, იმ აღვირახსნილ რუსულ პროპაგანდას არ გამოვეხმაურო, რომელიც მედიის ცალკეული საშუალებებით მიდის. ამ პროპაგანდის შემხედვარეს საბჭოთა პერიოდი მახსენდება, როცა საერთაშორისო მიმომხილველი ალექსანდრე ბოვინი ეკრანიდან გვმოძღვრავდა. სუფთა ბოვინის ლექსიკით ლაპარაკობენ – გამოსვლები აშშ-ს გინებით, დასავლეთში ადამიანის უფლებების დარღვევით იწყება, რასაც რუსეთის ქება-დიდება მოსდევს. ეს წმინდა რუსული პროპაგანდაა! ერთ-ერთ ასეთ გადაცემაში თქვეს, ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელების დავალებით მოხსნაო. იცით, ეს რა არის?

– რა?

– რა და, – რუსების განწყობა ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ეს ძალიან ცუდია, რომელმაც არჩევნების პერიოდში შესაძლოა, უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღოს. საერთოდ, ასეთი განცხადებები შემთხვევით არ კეთდება... იმის თქმა, რომ საქართველოს აშშ-ს ელჩი მართავს, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო განცხადებაა. სად იყო აშშ, როცა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიებზე კონფლიქტების პროვოცირება მოახდინა და ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძოდა.

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ეროვნული. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

„მზის შვილები“

თბილისში, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვის ევროპული დღის ცენტრი გაიხსნა

2015 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ფუნქციონირება დაიწყო სარეაბილიტაციო ცენტრმა „მზის სივრცე“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილების“ მიერ დაფუძნდა. ორგანიზაციამ, პოლონელი სპეციალისტების რეკომენდაციითა და დახმარებით, შეიმუშავა სარეაბილიტაციო ცენტრის ევროპულ სტანდარტებზე მორგებული სამუშაო მეთოდოლოგია. სარეაბილიტაციო ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს შემდეგ სერვისებს სთავაზობს: ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, დღის ცენტრების ქვეპროგრამა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა. სერვისები შემდეგ მომსახურებას მოიცავს: 1. მულტიდისციპლინურ გუნდის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პირველადი შეფასება. 2. განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება; 3. თვეში ორჯერ განმეორებითი შეფასება... „ქართული სიტყვა“ „მზის შვილებისა“ და „მზის სივრცის“ დამფუძნებელ ინგა ლოლაძეს ესაუბრა, რომელიც 24 წელი პოლონეთში ცხოვრობდა და საქართველოში იმ მიზნით დაბრუნდა, რომ დაეარსებინა ცენტრი, სადაც შშმ მქონე ბავშვები განვითარებას შეძლებენ. სხვათა შორის, ინგას მეორე ქალიშვილს, 6 წლის ნინიკოს დაუნის სინდრომი აქვს.

ინგა ლოლაძე: – ნინიკო რომ დაიბადა და მითხრეს, დაუნის სინდრომი აქვსო, ეს ჩემთვის შოკი იყო, რადგან სრულიად გაუთვითცნობიერებელი ვიყავი, თუ რას ნიშნავდა დაუნის სინდრომი. მხოლოდ ნინოს დაბადების შემდეგ მოვიძიე ინფორმაცია და ლიტერატურა ინტერნეტში დაუნის სინდრომზე... ნინიკოს დაბადების შემდეგ, პირველად საქართველოში რომ ჩამოვედი, მხოლოდ ექვსი თვე დავრჩი. მაშინ თბილისში არ იყო შესაბამისი სერვისები, რითაც ჩემი შვილი განვითარებას შეძლებდა... ამ ხნის განმავლობაში, ქუჩაში არც კი მენახა დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვი... ამასობაში, გადაცემა „პროფილში“ მიმიწვიეს და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ერთადერთი ქართველი დედა ვიყავი, რომლის შვილსაც დაუნის სინდრომი აქვს. სხვათა შორის, ალბათ, ნინო იყო პირველი ბავშვი, ვინც ტელევიზიით გამოვიდა... მაშინ მოვუწოდე მშობლებს, რომელთა შვილებსაც დაუნის სინდრომი აქვთ, დასამალი არაფერია და თქვენი შვილები დროშასავით აფრიალეთ-მეთქი.

ისე, ერთადერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა მეტროთი ვმგზავრობდი, ქალბატონებმა, რომლებიც ჩემს წინ ისხდნენ, ვერ გაარკვიეს, რომ ბავშვს დაუნის სინდრომი აქვს და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ნახე ეს ბავშვი მგონი დაუნიაო. ეს ძალიან ჩვეულებრივად მივიღე, რადგან ნინის დაბადებამდე მეც ხშირად გამომიყენებია კნინობით ფორმაში სიტყვა „დაუნი“. მოკლედ, იმ ქალბატონებს მივუბრუნდი და ვუთხარი, დაუნი იმ პიროვნების გვარია, ვინც ეს სინდრომი აღწერა, ჩემი შვილი კი ჭანტურიძეა-მეთქი.

– ინგა, თქვენი ორგანიზაცია სხვა მსგავსი ორგანიზაციებისგან რითი განსხვავდება?

– „მზის სივრცის“ პლუსი ისაა, რომ ორგანიზაცია „მზის შვილებმა“ დააარსა და ჩვენს სარეაბილიტაციო ცენტრში, გახსნის დღიდან, პოლონელი სპეციალისტები მუშაობენ. მათთან ქართველი სპეციალისტები გადამზადებას გადიან.

საერთოდ, ძირითადად, დაუნის სინდრომზე ვლაპარაკობ, რადგან ჩემთვის ახლო და ნაცნობი თემაა, თუმცა ცენტრში ბავშვები სხვადასხვა ნოზოლოგიით შემოდიან: დაუნის სინდრომი, აუტისტური სპექტრი და დე-ცე-პე ცერებრალური დამბლა.

რაც შეეხება პროცედურებს, მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს აქვს ლოგოპედის. ფსიქოლოგის მომსახურება. ასევე, გადის სენსორული ინტეგრაციის, ოკუპაციურ და ფიზიო თერაპიას. ანალოგიურად, აუტისტურ სპექტრს აქვს ABA-ს თერაპია, რომელიც საკმაოდ ძვირია.

ჩვენს ცენტრში ფუნქციონირებს სენსორული ინტეგრაციის ოთახიც, რომელიც საქართველოში, პრაქტიკულად, ერთ-ერთი საუკეთესოდ აღჭურვილია. მოკლედ, ბავშვებს ყველანაირ სერვისს ვაწვდით.

– ცენტრში ნებისმიერ შშმ ბავშვს შეუძლია მოვიდეს თუ არსებობს გარკვეული კრიტერიუმები?

– ძლიერი ფიზიკური შეზღუდვის გამოკლებით, ნებისმიერს ვღებულობთ. ცენტრში 0-დან 18 წლამდე ასაკის მქონე ბავშვები მოდიან. ამ მომენტში, 38 ბენეფიციარი გვყავს და აქედან გადასახადს მხოლოდ 4-5 იხდის, დანარჩენებს კი უფასოდ ვემსახურებით.

– ცენტრს სახელმწიფო, ან დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ?

– ცენტრი დღემდე მხოლოდ ჩემი სახსრებით არსებობს. არავის გასჩენია სურვილი, რომ დაგვეხმაროს, გარდა ბატონი მერისა. მინდა, მადლობა გადავუხადო თბილისის მერიას – დავით ნარმანია საკუთარი ფონდიდან 6 ათასი ლარით დაგვეხმარა, რითაც პოლონელი სპეციალისტების პირველი ჯგუფის გზის ხარჯების დაფარვა შევძელით.

– კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ შშმ ბავშვების დისკრიმინაციის გამო პროკურატურას მიმართა. რა გახდა ამის მიზეზი და, თქვენი აზრით, სასურველ შედეგს მიიღებთ?

– თავდაპირველად, ფართს მიცკევიჩის ქუჩაზე ვქირაობდით, მაგრამ უსიამოვნების გამო, იქიდან წამოსვლა მოგვიხდა, ანუ შენობაში მყოფმა სხვა დამქირავებლებმა გამოთქვეს პრეტენზია, რომ ამ ბავშვების დანახვაზე შრომის უნარი უქვეითდებათ, რომ ეს ბავშვები ეცოდებათ და ასე შემდეგ. საქართველოში პროტესტის ქუჩაში, ხმამაღლა გამოთქმაა მიღებული, მაგრამ ამისგან შორს ვარ, რადგან შეიძლება, ჩემი შვილის უფლებების დასაცავად ვიყვირო, მაგრამ ორ დღეში ყველას დაავიწყდება. ამიტომ, ცივილურ გზას მივმართეთ.

დასაშვებია, რომ მოსამართლემ დისკრიმინაციიის საფუძველზე შეტანილ სარჩელზე განაჩენი ჩვენ სასარგებლოდ არ გამოიტანოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროცესის შემდეგ, ნებისმიერ ადამიანს, ვისაც სურვილი გაუჩნდება, რომ ეს ბავშვები დაჩაგროს, გაახსენდება, რომ ეს კანონის ძალით ისჯება!

სხვათა შორის, სასამართლოსგან არც მატერიალურ მოგებას ველი და არც – ვინმესთვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას. ჩვენი მოთხოვნაა, რომ პიროვნება, ვისზეც სარჩელია შეტანილი, ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღე, ჩვენთან, ცენტრში მოვიდეს და 2-3 საათი ამ ბავშვებთან ერთად გაატაროს!

– ამჟამად „მზის სივრცე“ სად მდებარეობს?

– მოკლედ, ეს ბავშვები, როგორც ყველა სხვა ბავშვი, ძალიან მგძნობიარეები არიან. ამიტომ გადავწყვიტეთ, ადგილმდებარეობა შეგვეცვალა და შეიძლება ითქვას, რომ ბავშვები იზოლაციაში მოვაქციეთ – ნახალოვკაში, სააკაძის ქუჩაზე, მე-10 სკოლასთან კერძო შენობა ვიგირავეთ. სხვათა შორის, შენობის ადაპტირება დღეს დასრულდა...

– სამომავლოდ რას აპირებთ?

– განვითარებას... პოლონელები სპეციალისტები ჩამოსვლასა და ქართველი სპეციალისტების გადამზადებას მომავალშიც გააგრძელებენ. გახსნის დღიდან „მზის სივრცემ“ არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა, სამომავლოდაც ბევრი რამ გვაქვს დაგეგმილი. 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა და, რა თქმა უნდა, ღონისძიებისთვის ვემზადებით. საერთოდ, ჩვენი ცენტრი სხვა მსგავსი ცენტრებისგან ინოვაციური გამოსვლებით გამოირჩევა.

ისე, მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის სასახლეში საახალწლო ნაძვის ხეზე „მზის შვილები“ და „მზის სივრცე“ არ მიუწვევიათ.

ესაუბრა ანა ყაველაშვილი

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲡᲢᲔᲤᲘᲡ ᲝᲚᲘᲡᲔᲐ ᲛᲐᲜᲐᲡᲘ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ 2015 წ. №41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 2016 წ. №1)

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲐᲚᲛᲐᲜᲑᲔᲗᲘ ᲧᲐᲖᲐᲮ ᲙᲝᲙᲩᲔ-ᲮᲐᲜᲗᲐᲜ

ჰეი, ყური მომაპყარით,
შემეპარა სევდა ხმაში,
მე გიამბობთ როგორ მოხვდა
ალმანბეტი სარ-არკაში.
გეტყვით, როგორ გადმოლახა
ტრამალები, მთები, ტბები,
ბოლოს ველზე დაინახა
ყაზახების იურტები.
აიდარკან იყო ხანი
იმ მადლიან სარ-არკაში
და მმართველი მასთან ერთად
იყო კოკჩე, მისი ვაჟი.
დაინახა ერთხელ კოკჩემ
მგზავრი ვინმე, უცხოელი
და ტრამალის ტრადიციით,
ცოდვიანიც, უცოდველიც
უნდა სახლში მოიწვიო,
სუფრა უნდა გაუშალო
თუ არა და, გაგჭორავენ,
რა მშიერი გაუშვაო.
როცა კარგად დანაყრდება
გამოკითხო დაწვრილებით,
ვინ არის და სადაური,
რისთვის თელა გზაწვრილები.
ალმანბეტმა უთხრა ყაზახს,
მამითა ვარ ჩინელიო,
დედა იყო ყირგიზი და
დედისა მაქვს იერიო.
ამ ჩემს გულში ავდარია,
თუმცა ქვეყნად დარიაო,
ორგულობამ გამაშმაგა,
ბედკრულს ხელი დამრიაო.
როდი მოსწონს უსამართლოს
სამართალი, ანდა წესი,
ამ ცხოვრების საწამლავი
მე ბოლომდე თითქმის შევსვი,
შეეწირა დედა ჩემს დარდს,
გადამეჭრა ძირი, ფესვი,
რა ყოფილა კაცის გული,
თვით ალმასზე უმაგრესი.
კოკჩემ უთხრა, ალმანბეტო,
გეყო დარდი, ვაი-ვიში,
ხეტიალი აღმა-დაღმა,
ორპირობა, დევნა, შიში.
დაივიწყე მოძმის მტრობა
ძმად მიგულე ლხინშიც, ჭირშიც,
ჩვენთან დარჩი, დაბანაკდი
და კარავსაც ჩვენ გაგიშლით.
გულით ილხენს მასპინძელი
ენამჭევრობს ბრძენი ალმა,
სანუგეშოდ, საიმედოდ
ბედი შემოუტრიალდა.
ექვსი თვეა ალმანბეტი,
ყაზახებთან დაბანაკდა
არც საჭმელი, არც სასმელი
არაფერი მას არ აკლდა.
როდი იყო თავად ალმაც
უქმად, გულხელდაკრეფილი,
მან ჯიგიტებს შეასწავლა
ბრძოლის ყველა გაკვეთილი.
როგორ უნდა დაედევნო
გაქცეულს და დაეწიო,
როგორ უნდა დაუმსხვრიო,
ერთი დაკვრით ლავიწიო,
როგორ უნდა იმკურნალო,
თუკი ცეცხლით დაიწვიო.
შეასწავლა ისრის სროლა,
ორთაბრძოლის ყველა ფანდი,
როგორ უნდა გამოიცნო
მსტოვარი და სიაბანდი,
როგორ უნდა გაუმკლავდე,
თუ ზღვის ტალღამ გაგიტაცა,
ცბიერ მტერთან რომ ბრძოლაში
მთავარია თავის დაცვა.
ამუდარიის ნაპირას
რა ცხენები ბალახობენ,
ფრუტუნებენ, ჭიხვინებენ
იქნებ პატრონს მოუხმობენ.
გაშლილ ველზე ნავარდობენ
ერთურთს ეთამაშებიან
ხან ჟოლოის მოპარული
კოკჩეხანის რაშებია.
ნეტავ საით მიიჩქარის
ჯიგიტებთან ერთად ალმა,
ჟოლოი ხანს თავს დაესხა
და ცხენები გამოლალა.
საყვარელი ბედაურის
ჭიხვინი რომ გაიგონა,
კოკჩე გარეთ გამოვარდა,
ალმა მკერდში ჩაიკონა.
ასე გახდა ალმანბეტი
ყაზახთათვის მისაბაძი,
მან სახელი მოიხვეჭა,
ოქრო-ვერცხლზე დიდი განძი.
ყველა ალმას იმედზეა,
თუკი ვინმე ავად არის,
თავადაა მოსამართლეც,
ალამდარიც თავად არის.
საუბრობენ მის რჩევებზე,
რა სიკეთე უთესია,
ალმანბეტი ხან კოკჩესთვის
ძმაზე უფრო უტკბესია.
— მომისმინე, ჩემო ქმარო, —
ერთხელ კოკჩეს უთხრა ქალმა —
იცი, ბევრი გაამწარა
ალმანბეტის სამართალმა.
ჩემგან ან რა გესწავლება,
ბოროტია კაცის გული,
ვინც მოიგო, ისა ხარობს,
მაგრამ ცხარობს წაგებული.
მინდა გითხრა, შურთ ყაზახებს
უცხო კაცთან შენი ძმობაც.
ალმანბეტს თუ გადაარჩენს
მხოლოდ შენი მფარველობა.
ზოგჯერ სიტყვა უნებური
გააღვივებს ეჭვის მარცვალს.
კოკჩემ უთხრა ცოლს: „ალმანბეტს
არ სჭირდება შენი დაცვა“.
ვინა გთხოვა შენ, აკერკეჩ,
იმ ჩინელზე იდარდეო,
რა კაცია, კარგად ვიცი,
საქმეც მიტომ მივანდეო.
კოკჩემ გულში გაიფიქრა:
„ქალი მაინც არის ქალი“
ბოლოს ცეცხლად გადიქცევა,
ეჭვის თუნდაც ნაპერწკალი.
ხმა გავარდა ყაზახებშიც,
როგორ უნდა გაბედოსო,
იმ უცხო კაცს, თურმე თავად
ხანის ცოლი მფარველობსო.
ასე მიტომ ყელყელაობს,
კანონებით გაგვამწარა
და როგორც ნეხვს, ისე გვტკეპნის,
ეგ ჩინელი მაწანწალა.
სამშობლოდან გაქცეული
ბატონობას მიტომ ბედავს,
გასულელდა კოკჩეხანი,
ყველას პირი დაგვიკეტა.
ჩამოსულმა სხვის მინათად
ყაზახები როგორ მწყემსოს?
გავაძევოთ მოსამართლე,
რადაც უნდა დაგვიჯდესო.
და აბუჩად აგდებისთვის
დავუყენოთ ალმას თვალი,
მოისყიდეს მსახურები
გაავრცელეს ჭორ-მართალი.
თითქოს ალმას აკერკეჩის
მოსდებია ტრფობის ალი
და ყაზახთა ადათ-წესებს,
თითქოს არად აგდებს ქალი.
საცოდავი კოკჩე-ხანი,
როცა მიდის სანადიროდ,
აკერკეჩი იწვევს სატრფოს,
საააშიკოდ, სანადიმოდ.
როცა კოკჩე უმცროს ცოლთან
ალერსით და ვნებით ტკბება,
მის უფროს ცოლს ის ჩინელი
ღამით, საიდუმლოდ ხვდება.
გაგიგიათ, ავი სიტყვით,
შეძახილით, სარო გახმა,
ხან კოკჩემდეც მიაღწია
მონაჭორმა, მონაჩმახმა,
ბობოქარ ზღვას დაემსგავსა,
გოლიათი კოკჩეს გული,
„დამაცადონ, დღე ვაწიო,
ტანჯვად ექცეთ სიყვარული“.
მძვინვარებდა კოკჩეხანი:
„ჩამოვგლიჯავ ჩინელს ნიღაბს“.
ხან მეგობრებს აგინებდა,
ხან ცოლსა და ხანაც იღბალს.
„მე ვუბოძე მას კარავი,
მოსამართლის ხალათიო,
იმ ჩინელმა ნუთუ მართლა
გამიბედა ღალატიო.
ალმანბეტმა სიკეთის წილ
ცხრა ლახვარი დამცა მკერდში,
ნუთუ მართლა გაორგულდა,
ნუთუ მრუშობს აკერკეჩი?“
მიეძალა მწარე არაყს,
ლამის თრობა ექცეს ჩვევად,
დაიბარა ახლობლები
ტყუილ-მართლის გასარჩევად.
თქვა: — „ჩემამდე მოაღწია
საშინელმა ხმებმა, ძმებო,
თუ ჭორები ტყუილია,
მთქმელს უთუოდ ვანანებო.
ენას ამოვგლიჯავ ძირში,
ჩემს ღმერთს, ჩემს კაცობას ვფიცავ,
გაჩენის დღეს ვაწყევლინებ,
შეითანიც ვერ დაიცავს,
ხოლო თუკი ალმანბეტმა
დაარღვია ძმობის ფიცი,
ერთი წამით არ დავინდობ,
ვერაგ ჩინელს მოვკლავ, იცით.
ბაიბიჩეს მრუშობისთვის
მე უკუღმა შევსვამ ცხენზე,
თუ ღალატი ვაპატიო,
დამიბნელდეს მაშინ ეს მზე!“
აიდარკანხანმა კოკჩეს,
უთხრა: — შვილო, მიკვირს შენი,
ცოლზე ასე ლაპარაკი,
ვაჟკაცი ხარ, არ შეგშვენის.
ამდენ სმისგან, ვხედავ თავგზა
აგბნევია, ეჭვიანობ.
ცოლი შეგხვდა მზის სადარი
და მის ქმრობას ნუთუ ნანობ?
მხოლოდ შენ რომ გეკუთვნოდეს
ქალი ღმერთის სადარიო,
უნდა მოაჯადოვო და
უნდა ტრფობით გადარიო,
რომ არ ჩაქრეს თქვენ ორს შორის
სიყვარულის ღადარიო.
თქვეს ცბიერმა მეგობრებმა:
აიდარკან, ბრძენთა-ბრძენო,
რატომ ცდილობ ბაიბიჩეს
ერთგულება დაგვაჯერო.
კარგად იცით, ჩვენ ოჯახის
სიწმინდით და მადლით ვხარობთ,
სად გვცალია, რომ ჩვენს ცოლებს
ვუდარაჯოთ, ვუთვალთვალოთ.
„იქნებ რამე გაგიგია,
შენ რა იცი?“ — ჰკითხეს ტოკოლს.
ბიიდაი, კოკჩეს ცოლი
ჰგავდა მართლაც ვარდის კოკორს.
ვარდის ჰქონდა ლალის ბაგე,
სინატიფე და სურნელი,
მაგრამ იყო ახალგაზრდა,
ქარაფშუტა და სულელი.
თქვა: — მე მიყვარს აკერკეჩი
სიკვდილისთვის მენანება,
უფროსი ცოლის თვალთვალი
ტოკოლს როდი მევალება.
მე რას გეტყვით საიმედოს?
საგულისხმოს მე რას გირჩევთ,
ან რა ვიცი, თქვენს მალულად
რას აკეთებს ბაიბიჩე.
თუკი მართლა ცოდვილია,
თუ დაუგეს ტრფობის მახე,
დაე, თავად აღიაროს,
მე რა მოსამართლე მნახეთ.
გააცოფა ცოლის სიტყვამ,
რა უნდოდა კოკჩეს მეტი,
სიბრაზისგან წამოწითლდა,
თქვა: მომგვარეთ ალმანბეტი.
შემოვიდა მოსამართლე
ყველას გულით მიესალმა:
— გამარჯობა, მეგობრებო!
— გაგიმარჯოს! — უთხრეს ალმას.
უცებ ხანმა იღრიალა: —
„კაცები ხართ, თუ ჩვრებიო,
ამ ჩინელის დანახვაზე,
მოგეღრიცათ ტუჩებიო.
წეღან მოკვლას უპირებდით,
ახლა ტკბილად მიესალმეთ,
კარგად ვხედავ, შიშისაგან
რომ შარვლებში ჩაისვარეთ“.
— მითხარ, კოკჩე, რაზე ცხარობ,
რატომ მიშლი ბრაზით ხელებს?
ამ ჩვენს ძმობას უნებურად
იქნებ ჩრდილი მივაყენე?
„გესმით, გესმით, რაებს როშავს,
მეუბნება, რაზე ცხარობ,
ზოგჯერ, ვარდის ბაღში თურმე,
ეკლიანი ბუჩქიც ხარობს.
სადაც ცხოვრობს მეფე-ლომი,
იქ ბუნაგში ღმუის დათვი,
ცაში მქროლავ ჩიტ-ბატონას,
ბოლოს ელის კაკანათი.
— მე ვყოფილვარ ეკალი და
შენ კი ვარდი ედემ-ბაღში,
შენი შიშით, მეფე ლომო,
ვიმალები მე ბუნაგში?
მაგ შურიან მეგობრებთან
არას გარგებს მასლაათი,
ნუ გგონივარ ჩიტბატონა,
დამიჭირო კაკანათით!
დაიყვირა კოკჩემ ძლიერ:
— დაიმოკლე, ალმა, ენა.
არ დაინდოთ, ჯიგიტებო,
გათოკეთ ეს გაიძვერა.
დატრიალდა ალმანბეტი
ჩიტუნებში როგორც ძერა,
მე გაჩვენებთ, თუ ვინ არის,
მოღალატე, გაიძვერა.
ერთი ვნახოთ, ჯიგიტებო,
ვის შეგრჩებათ მხრებზე თავი,
უთავოს არ შეაწუხებს,
საფიქრალი, საზრუნავი!“
ყველამ იცის ალმანბეტის
სიმამაცე, მოხერხება,
ას ჯიგიტთან მას ერთადერთს
შეუძლია გამკლავება.
მაგრამ ბრძენი რის ბრძენია,
აჰყვეს მარტო გულის ნებას,
ალმანბეტმა დაიოკა
სიბრაზე და მძვინვარება.
თქვა: — „თუ ხანი რაზე ბრაზობს,
ახლა ჩემთვის ნათელია,
დამთვრალა, დავიწყებია,
რომ ის ხალხის მმართველია.
ერთგული ვარ ჩემი ფიცის,
რად დამწამა ორგულობა,
ასე რატომ გაიბზარა
უმტკიცესი ჩვენი ძმობა.
არ შეშვენის დიდებულ ხანს,
იქცეოდეს, როგორც ცეტი,
სულ მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ —
ცხენს მოახტა ალმანბეტი.
როცა ხანის კარავს გასცდა
აკერკეჩი დაეწია:
„როგორ მსურდა, რომ კოკჩესთვის
მუდამ ძმობა გაგეწია.
ნუ იჩქარი, ალმანბეტო,
დაელოდე გათენებას,
ხანს სიმთვრალე გადაუვლის,
თავადა გთხოვს პატიებას“.
ალმამ უთხრა: — „შენი ქმარი
ვხედავ, ეჭვით ავად არის,
არ ყოფილა ამ მიწაზე
სიკეთე და სამართალი.
ყველგან ვხვდები ღალატს, მტრობას,
ნეტა ვიყო ვის იმედზე,
რა ამაოდ ვხეტიალობ
წუთისოფლის ბილიკებზე.
გინდა ცხრა ზღვა გადავლახო,
ვერ ვიპოვი მაინც საშველს,
ბედისწერის ტალღა ბედკრულს
რა ნავივით მათამაშებს.
გულსა სტანჯავს იარები
გინდ ძველი და გინდ ახალი,
ყველგან ეჭვის ჭაობია,
სიძულვილის ნიაღვარი.
უნდა ვნახო მე ბურულჩა,
სამშობლოში წავალ, დაო!
მერე, თუნდა იქვე მომკლან,
თუნდაც, იქვე გამათაონ!

6 | № 1 (316) | 13-19 იანვარი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲗᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ, ᲓᲔᲓᲐ ᲒᲣᲚᲫᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲚᲕᲓ. ᲞᲐᲕᲚᲔ ᲠᲐᲖᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

I

ვასრულებ ჩემი მეგობრების თხოვნას, ვიწყებ ავტობიოგრაფიას, თუმცა-კი ამ თავითვე საჭიროდ ვრაცხ გამოუტყდე მკითხველს, რომ ყველაფერს, რაც მახსოვს ჩემის ცხოვრებიდამ, ვერ გაუზიარებ, ბევრი რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო, ხოლო რასაც ვწერ, რაც კი შემიძლიან, ვეცდები სიმართლე დავიცვა, ვსთქვა ისე, როგორც იყო, უფერადოდ, გადაუჭარბებლად. ვგონებ ასეთს ავტობიოგრაფიას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კრიტიკისათვის და მკითხველისათვისაც, ვიდრე მოგონილს და ნაკეთებს.

ასე, ბატონებო, თუ ვისმე გეპრიანებათ ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახსენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით. დედა-ჩემი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი, სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური. ღვიძლი ბიძა დედა-ჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“; საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქაღალდის წყალობით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ლექსები დღესაც ცოცხლობს, იმათ დღესაცა მღერის ხალხი. ეს ლექსები ღრმა იუმორით არიან სავსენი. წერა-კითხვა არც დედა-ჩემმა იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედი-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს იმას გაეჯავრებინოს, არა. გაჯავრებულს, მლანძღველს, რაც აქაურ დედაკაცებში ხშირი მოვლენაა, სიცილით მიეგებებოდა და სამაგიეროს გადაუხდელობით შეარცხვენდა, მოარბილებდა.

ერთმა შემთხვევამ სიბრალულისა და ქველობის გამო ერთხანად დაცინვის საგნადაც გახადა მეზობლების თვალში და მამაჩემისაგანაც დიდი სამდურავი მიიღო. რაც ჩვეულებრივი არ არის ფშავში, საიდანღაც მოსულიყვნენ ბოშები; დაენახა-რა დედა-ჩემს ეს შიშველ-ტიტველი ხალხი, ნახევრად ტიტლიკანა ბოშის ბალღები, დაეწყო ტირილი. ამის მეტად არ ენახა და არც გაეგონა. „ღმერთო, ეს რა საცოდაობა მოვიხილეო“, თურმე გაიძახოდა. გამოიტანა თურმე თავის ახალი კაბები და, რადგანაც ყველას მთელი არ შეხვდებოდა, თურმე ჰხევდა და ამ ნახევებს ურიგებდა: „აი ეს დაიკერე, ჩაიცვი შე ბეჩავო!..“ ამ ამბავში რომ იყო დედა-ჩემი და ქველობას ეწეოდა, რამდენიმე ბოშა შეიპარა სახლში, გააღეს სკივრი და ოთხასი მანეთი ფული მოეპარათ... ეს მხოლოდ მაშინ გაეგოთ, როცა ბოშები სამშვიდობოს გავიდნენ... შინ დაბრუნებულს მამა-ჩემს გაეგო მათი ვინაობა და, როგორც ცხოვრებაში გასულს კაცს, ეცოდინებოდა მათი ზნე-ხასიათი, გაესინჯა სკივრი და, რა დაგიკარგავს, რას ეძებ! ეს ამბავი მამა-ჩემმა მოიტანა თელავში, სადაც მე და ჩემი უფროსი ძმა ვსწავლობდით სასულიერო სასწავლებელში.

ჩვენი სახლი ზედ გზის პირას იდგა და განუწყვეტლივ მიდ-მოდიოდა მგზავრი, თუ ფშაველი, თუ ხევსური. დედა-ჩემი არ უყურებდა იმას, ვინ შეძლებული იყო, ვინ მაძღარი, ყველა მშიერი ეგონა და ყველას უმასპინძლდებოდა: „დაისვენეთ, პური გემშვენოთ, შვილო!“ - ეს იყო პირველი მისი სიტყვები შეხვედრის დროს. ამის გამო ჩვენ სახლში გამოულეველი იყო სტუმარი და უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი ოჯახიც შეძლებული იყო, რადგან მამა-ჩემი გარდა პირადის სამსახურისა, ვაჭრობასაც მისდევდა. რამდენიმე ადგილას დუქნები ჰქონდა და თელაველები ეყენა. მამა-ჩემიც თუმც არ იყო ხელგაშლილი და კიდევაც უშლიდა დედა-ჩემს: „ნუ წააღებინე სახლი, შე უბედურო, ქარსა და წყალსაო“, - სტუმარი მაინც უყვარდა... ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი. გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შაეძინა, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა ძილი რა იყო, და საშინლად ეჯავრებოდა, ჩვენ, სკოლიდან კანიკულებში შინ დაბრუნებულნი, დილის ძილს რომ გავიპტყელებდით. „ადექით, ბიჭო, პური მაინც არ მოგშივდათ?“ — დაგვძახებდა საქმიდან დაბრუნებული, პიროფლიანი.

— დაანებე თავი, შენთ მკვდართ ცხონებასა, კაცო, ეძინოს მა ბალღებსა! — შეჰნიშნავდა დედა-ჩემი და მოუვიდოდათ ამაზე ჩხუბი. ეჩხუბებოდა მამა-ჩემი, თორემ დედის ჩხუბი რა სათქმელია, იტყოდა რა ამას, სულს გაჰნაბავდა და მოწიწებით ყურს უგდებდა ქმრის ათასნაირს შენიშვნას და საყვედურს.

„ეძინოსთ?! მე ვიცი კაცობას და ცხოვრებას ძილით იპოვნიან, თქვენ ნუ დამეხოცებით. სად გაგონილა ამდენ ხანს ძილი, აგერ შაჰხედეთ მზესა, შუადღე მოვიდა...“ — ბობოქრობდა იგი.

უწადინოთ ჩვენ, ძმები, ქვეშაგებიდან ზოგი საიდან წამოვყაყვავდით თავებს და ზოგი საიდან, რადგან განცხრომით ძილის გაგრძობა შეუძლებელი იყო და მორივით გდებაც ქვეშაგებში არაფერსა ჰგვანდა.

დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დამსჯელი, უმისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე, საბაასო საგანს თავადვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ, გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი. დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში, აღტაცებით იტყოდა ხოლმე: „იცით, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვი ლაშქრობაში, როცა სადმე მოსარეკში გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდ-ისარიო...“ უცხოელებთაგანი - ნაპოლეონი და გამბეტტა, მწერალთაგანი - ვიქტორ ჰიუგო. „ნაპოლეონიო, სადღაც ჟურნალში წამიკითხავს, როცა ფიქრობდა, თითქოს გახურებული ღუმელი ყოფილიყოს, ისე ალმური ასდიოდა სახეზეო. აი, სად იხატება ძალა ნიჭისა და ადამიანისა... ერთხელ პარლამენტში ვიქტორ ჰიუგო სიტყვას ამბობდა და მთელმა პარლამენტმა დაუყვირა: „გაჩუმდიო!“ - თქვენ გაჩუმდით, - მიუგო ჰიუგომ და განაგრძო თავის სიტყვა, არა გაქვთ ნება ბოლომდის არ მოისმინოთ ჩემი სიტყვაო. მართალიც არის. არ შეიძლება მთელი პარლამენტის ჭკვას ერთი კაცის ჭკვა სჯობდეს? სოფელი ვინ? - ერთი კაციო, ნათქვამია, ჰა ბეჩავ კაცო! აი იმისთანა ბოღრა უნდა გაზარდოს დედამა!“ ეპიტეტი „ბოღრა“ დიდებულ ადამიანების სამკაულად ჰქონდა მამა-ჩემს შენახილი და ამითი ჰსახავდა მათ დიდბუნებოვანობას, შეუდრეკელობას, მძლავრობას, ენერგიის სიდიადეს.

მამა-ჩემს სკოლა თვალით არ ენახა, „ან-ბანი“ მწყემსობაში შაესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო. მაგრამ მამა-ჩემი თურმე თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა სწავლას, სწერდა სიპ ქვებზე, რაიც ფშავის ხევში მრავალია. ქაღალდს ვინ აღირსებდა ან კი? ფშავის ხევს იმ დროს ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდენ, თემთა ბატონ-პატრონნი ისინი იყვნენ, მთელი ხალხი მუჭაში ეჭირათ და საითაც უნდოდათ, იქითკენ უზამდენ თავს, რამდენიც ჰსურდათ, იმდენს ხარჯს შეაწერდენ ხატის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს იმათ ჯიბეს და კალთას არ ასცდებოდა. მამა-ჩემის სწავლა იმათ არ ეპიტნავებოდა, რადგან მათთვის სასარგებლოს ეს სწავლა არას მოასწავებდა და საზიანოს კი ბევრს.

II

მე როცა მამა-ჩემი ვიცანი მამად, მაშინ იგი მთავარ-დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში, ს. ჩარგალზე რვა ვერსზე დაშორებით. როცა-კი შინ იმყოფებოდა, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი სამღთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისათვის საკეფლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილს საუბარს, რადგან ძველი აღთქმისა ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა, ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვ... და უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩემი თავი სამსონ ძლიერად მყვანდა წარმოდგენილი, რადგან დედა-ჩემი ამბობდა ჩემზე, დიდი თმა ჰქონდა, როცა დამებადაო, თითქმის თვალებს უფარავდაო, და ვეშარებოდი: თმა რად მომკრიჭეთ-მეთქი. მაინც ამ „თმიანობამ“ თავის თავზე წარმოდგენა განმიდიდა, რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანად მომაჩვენა ჩემი თავი და დამისახა არაჩვეულებრივი მომავალი. რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე. ვეფხის-ტყაოსანი, მზე-ჭაბუკისა და ჯიმშედის ამბავი, (ჩუბინაშვილის ქრისტომატია), გრიბული ჟორჟ-ზანდისა შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედობას. ერთხანად ბერად შედგომაზედაც კი ვოცნებობდი, მაგრამ შინაურებმა მასხარად ამიგდეს და ამ ოცნებაზე ხელი ამაღებინეს ჩემდა უნებურადა. დედა-ჩემის მიერ ნაამბობიდან ღრმად ჩამეჭდია გულში მის მიერ ნანახი იაკობისებური ცხად-მოჩვენება, რომელსაც შემდეგ, როცა მოვიზარდენით და მეცნიერებას ცოტაოდნად ვუსუნეთ, აღარც-კი ვუჯერებდით, თუმცა დედა მაინც ჩვენს თავს ფიცულობდა დასარწმუნებლად: „ჯერ ისევ ქალი ვიყავ გასათხოვარი“, - ამბობდა დედაჩემი, (ვეცდები იმის სიტყვებით გადმოგცეთ ნახული მოჩვენება) - „მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სხლოვანს (სოფელია) გარეთ დერიფანში გვეძინა. შუაღამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევაო. შაშინებული წამოვჯე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვნის გორითა, გადამბულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდენ და ჩამოდიოდენ და ისეთ მწკეპრ (წმინდა) ხმაზე გალობდენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო“.

ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა ჰქონდა და მაფიქრებინებდა, რომ ჩვენი დედ-მამის და მის შვილების სვე-ბედში განგება მონაწილეობას იღებდა...

რვა წლისა თელავში სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს. სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა, ჩემს ფანტაზიას, გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლათინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა. უვარგისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას, ვერ აწვდიდა ნოყიერ საზრდოს, იძულებული ვიყავ მიმემართნა სხვადასხვა წიგნებისათვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა. ვკითხულობდი რაც შემხვდებოდა, განურჩევლად, რადგან ხელმძღვანელი არა მყვანდა და ამის გამო ასტრონომიულს, რისაც არაფერი გამეგებოდა, უფრო ბევრსა ვკითხულობდი, ვიდრე სხვა საბუნებისმეტყველო ან საისტორიო წიგნებს, ცაზე დავფრინავდი, როცა დედამიწისა არაფერი გამეგებოდა. ექვსი წლის ჩემი თელავში ყოფნის დროს სწავლის ნაყოფად ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნულ-ლათინური ფრაზა, - ქართულს ვინ გვაღირსებდა, - რუსული „ბილინების“ ცოდნა, რასაც გულმოდგინედ ვსწავლობდი და რუსულის მასწავლებელიც, თუ არა ვსცდები, სვიმ. რცხილაძე, კარგად გვასწავლიდა. სამაგიეროდ, კრივი კარგი ვიცოდი, ვინაიდან მუდამ შაბათ-კვირაობით, უქმეებში კრივი იმართებოდა და ყველასთვის ფართო ასპარეზი იყო გადაშლილი და, თუ ინსპექტორი ტარიელოვი არ წამოგვაწყდებოდა მე და ჩემ ამხანაგებს, ნეტავი ჩვენ, და თუ ის აგვიჩნდებოდა ქარიშხალად, ცუდად იყო ჩვენი საქმე, დაგვანიავებდა. კრივში ჩემს საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა ჩვენებური მღვდლის შვილი, შაქრო მაღალაშვილი... სახლის პატრონთანაც ერთად ვიდეგით და კრივშიაც ერთად ვმოღვაწეობდით. ჩვენი სახლის პატრონი, კირილე კოლოტაძე, მედავითნე, ძველებური კაცი, რომელმაც ჩემს გვარს არ დამაჯერა, რაზა გადააკეთა, ხოლო მაღალაშვილის გვარიდან კოჭაკი გამოიყვანა, როცა კრივიდან დაბეგვილ-დაქანცულს მომიხდებოდა შინ დაბრუნება, მომმართავდა თავის დანჯღრეული რუსულით: „ტი, რაზიკოვ ზდეს, ა კოჭაკოვ (მაღალოვი) ღდე?“ უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც-კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოვება „ოვი“-თ.

მასწავლებლები, სკოლის უფროსები კრივს გვიშლიდენ და იმას როდი ფიქრობდენ, თუ ჩვენ ვიყავით დასასჯელნი მიტომ, რომ ვკრიობდით კვირაში ერთხელ, ისინი უფრო მეტის სასჯელის ღირსნი იყვნენ, რადგან მუდამ დღე კრიობდენ, ჩვენ გვეკრიებოდენ ხან მუშტით, ხან როზგით. მე პირადად ამ მხრივ ბედნიერი ვიყავ, რადგან როზგსა და მუშტებს ვრჩებოდი. მე რომ მიმიყვანეს სკოლაში, როზგი ხმარებაში მხოლოდ ორ წელს-ღა იყო. შემდეგ აკრძალეს.

რა გასაკვირველი იყო, მასწავლებლების ჯავრი სხვაზე ამოგვეყარა? ან იმათ ნაჩვენები მაგალითი ჩვენც გაგვემეორებინა? ისინი კლასში იქნევდენ მუშტებს თვის მოწაფეთა შორის, რომლებიც განსაკაცებლად მიაბარეს და არა გასამხეცებლად, რომ ჩვენც იმათ მაგალითისთვის მიგვებაძა და უცხოებისთვის თავ-პირი გვემტვრია!..

ჩვენთვის სკოლა საპყრობილე იყო და ღმერთს იმას ვეხვეწებოდით მთელი ჩვენის არსებით, გათავებულიყო ჩქარა სწავლა და დავღრწევიყავით ტანჯვა-წვალებას ბრჯღალებიდან. დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საპყრობილედ გადააქცევს, და მით უმეტეს უბედურები არიან ისინი, ვინც ამ საპყრობილეში დაუმწყვდევიათ აღზრდა-განათლების სახელით. ალბათ ჰგრძნობენ თვით აღმზრდელნიც ძველებურ აღზრდის სიმკაცრეს, რომ ქართველებს ასე უთქვამთ: „სწავლისა ძირი მწარეა, ხოლო წვეროში გატკბილდებაო“. ვინ იცის, ქართველებისაგან არის ეს ნათქვამი, თუ რუსებისაგან შეისწავლეს: „უჩენიე - მუჩენიე, ა პლოდი ეგო სლადკიე“. (სწავლა ტანჯვაა, ხოლო ნაყოფი მისი ტკბილი არისო). ნუთუ მუდამ სწავლა ტანჯვად უნდა წარმოვიდგინოთ და არ შემუშავდება ისეთი წესები, რომ სიამოვნებად გადაიქცეს იგი?..

სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, - თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი: აქებდენ კარგ მოკრივეებს - მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა. აქებდენ კარგ მოჭიდავეს - მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა. ამ ორ საქმეში არ იყო, რომ მიზანს არ მივაღწიე. მაგრამ სახელის მოხვეჭაზე სიარულმა საცინელ მდგომარეობაში, სწორედ ნერონის მდგომარეობაში ამომაყოფინა თავი. იყო ვინმე მთავარი თელავში, რომელიც სობოროში ემსახურებოდა. სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი მუდამ იქ დავდიოდით წირვა-ლოცვაზე. ეს მთავარი დიდი ხმის პატრონი იყო, ყველა ხმას უქებდა: „რა ხმა აქვს ვანო მთავარს, რა ხმა, ძალიან ბასი აქვსო!“ ოჰ, ეს ჩამწვდა გულში: როგორ თუ ვანო მთავარს ბასი აქვს და მეც კი არ უნდა მქონდეს-მეთქი. ვიჭიფხებოდი, ვყვიროდი თავისთვის, ვიბერებოდი, ვატანდი ხმას ძალას, რომ გამებოხებინა, და იქამდე დავტანჯე თავისი თავი, გულმა ტკივილი დამიწყო... გალობის მასწავლებელი როცა ხმებს არჩევდა შეგირდებიდან მგალობელთა გუნდის შესადგენად, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, რომ მან ჩემში არამც თუ ბასი, ტენორი, არამედ არავითარი ხმოვანება არა ჰპოვა. დავრჩი გულნაკლულად, მაგრამ რა გაეწყობოდა: თავს მხოლოდ იმითი ვანუგეშებდი, რომ მასწავლებელს ალბათ ვეჯავრები-მეთქი, ხოლო რომ ბასი ვიყავ, ეს უეჭველადა მწამდა და მოველოდი სხვა დროს, სხვა მასწავლებელს, რომელიც ჩემს „ბასს“ ჭეშმარიტ ბასად სცნობდა.

ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ, რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა; მე კი თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავ იქ, საცა ჩემი „სატრფო“ მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დავმტკბარიყავი იმის ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი სატრფოს! მალე იძულებული შევიქენ განვშორებოდი თელავს და ჩემს სატრფოს. როგორ გგონიათ, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ჩემი იქ ყოფნა, გამოვიდოდა რამ ჩემი სიყვარულიდან? არაფერი. რადგან ქ. თბილისში რომ გადავედი, თელაველი სატრფოს სიყვარული სხვაზე მიმივარდა, მაგრამ ეს სიყვარულიც პირველსა ჰგავდა, „შორით კდომა, შორით დაგვა“ იყო ჩემი ნუგეში და, ვიდრე არ დავვაჟკაცდი და იმისა, ვინც მიყვარდა, ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე...

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

●

უფალო, დილის ნათელში გხედავ,
შუადღის, მწუხრის ლოცვებში გხედავ,
მწირის, ტანჯულის ურვაში გხედავ,
ძეშეცთომილის ნაღველში გხედავ.
ბავშვის, ქალწულის თვალებში გხედავ,
დედოფლის სუნთქვა-თმენაში გხედავ,
მტკვრის და არაგვის მირონში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
დიდგორის ომში, მარტყოფში გხედავ,
კრწანისის გულის ფეთქვაში გხედავ,
მამულის სპაში, ლაშქარში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
ივრის, ალაზნის შრიალში გხედავ,
ზაფხულის ღამის ელვაში გხედავ,
ვარდის, ზამბახის ჟრჟოლაში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
მეფის, წმინდანის სენაკში გხედავ,
დავით გარეჯის მღვიმეში გხედავ,
ბერის, მონაზვნის ხილვებში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
ტყეში, მინდორში, ყანაში გხედავ,
თიბათვის ვერცხლში, ოქროში გხედავ,
ყველა ბჭესა და ქარგაში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
ცად მიმავალთა აღლუმზე გხედავ,
წყალთა და ხმელთა ხმაურში გხედავ,
დედის და მამის საფლავზე გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.
ჯრუჭის, იკორთის ტაძრებში გხედავ,
აღდგომის მზე და სიზმრებში გხედავ,
ლექსს ვწერ... თუ ტყე-ტყე ავდივარ
აღმართს,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ!

●

უფალო, თოვლი მოსულა ღამით.
რა სიმშვიდეა, რა სილამაზე!
თითქოს, ათასი ციმციმებს კვარი, –
შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე.
ისეთი მზე და გარემო სუფევს,
ისეთი მნათი ანათებს საყდარს,
თითქოს, იები მოგართვეს წუხელ
წმინდა მამებმა სიონის კართან.

●

უფალო, ისე ლამაზად ბარდნის,
ისე ქათქათებს ალუბლის ბაღი,
თითქოს, ვიღაცა კარი-კარ დადის
თოვლის კალათით და თოვლის ჭაღით.
ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს,
ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს,
თითქოს, დილიდან ვარდებში წვანან
დანიის პრინცი და ოფელია.

●

უფალო, გარეთ ყინავს და ცივა,
მე აქ, – საყდარში ლოცვებით ვთბები,
შემომეჩვია ფიქრი და ცრემლი,
ვით იდუმალი ფერი და ხმები.
გარეთ არავინ მიხმობს და მიცდის
მარად ტანჯულს და სასოწარკვეთილს,
მე იქ, – საკენში ველოდი სიკვდილს,
მაგრამ გადავრჩი შენი წყალობით.

●

უფალო, ჩემი ეკვდერის სარკმელს
ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის,
ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს
ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი.
პორტალზე დგება, ვით ესმერალდა,
ვით ბალერინა გედების ტბაში,
ის არის ჩემი სენაკის სევდა
და ჩემი ბოლო კამარა ცაში.

●

უფალო, ძველი იგავის დარად,
დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო...
და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად
ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს.
ლოცვით, ოცნებით ვათენებ ღამეს,
საკურთხეველთან მორჩილად ვდგები,
თითქოს სამოთხის იღება კარი
და მე ჩიტივით გალობით ვთვრები.

გუნთ კარგია

ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

●

უფალო, ცა ხარ, მიწა ხარ ჩემი, –
ქველის, მონარქის, წმინდანის მადლით...
და ღვთისშვილს შენებრ სრულქმნილს და
რჩეულს,
სახედადაფნულს ციური ალით
შევყურებ, როგორც სულიერ მამას
(მძიმე ჯვარით და წამებით დაღლილს...)
და მწუხრის სანთელს, ვით ღერწმის
კალამს,
ცრემლში ვაწებებ მაისის ღამით.

●

უფალო, შავი შაშვების გუნდით
მივყვები სოფლის ალისფერ ბილიკს,
სადღაც აქ ახლოს ჩირგვია კურდღლის,
დათვის ბუნაგი და მუხის ჩრდილი.
მიხდება ჭილის უბრალო კეპი, –
აქეთ და იქით შროშანის ფრთებით,
სავსე ვარ, სავსე დილიდან ჩვენი
შავი შაშვების ზღაპრული ხმებით.

●

უფალო, ბზიფის მარჯვენა ტოტი
მარგალიტივით ხსოვნაში ჩამრჩა,
ზღვა იყო, როგორც დედოფლის ძოწი,
აბრეშუმი და ნაკეცი ფარჩა.
წმინდა კედელთან ვიდექით ორნი, –
მე და მაცხოვრის ობოლი კრავი,
ის მაღლა იდგა, ვით ცათასწორი
და მიცურავდა ტაძრისკენ ნავი.

●

უფალო, ვარდი მოუსხამს ჭინჭარს,
დილიდან ურცხვად უცვლია ფერი,
როგორც ნიშანზე გაწოლილ ისარს,
ღრუბელზე უდევს კიპარისს წვერი.
ბაღში კალია გადადის ყირას,
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,
სოფელში მამლის ფრთხიალს და ყივილს,
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.

●

უფალო, წმინდა გიორგის სახელს
კრავი შესწირეს წუხელის დებმა,
მზე იდგა გარეთ და ვაშლის ბაღებს
ფირუზისფერი დაჰკრავდა სევდა.
ცა იყო, როგორც ზაფხულის საგა,
ირგვლივ ვარდი და შროშანი ენთო,
ასე ბედქმნილი და ასე კარგი,
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს, ღმერთო!

ᲩᲔᲛᲝ ᲒᲔᲜᲝ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ!

კვლავ ანათებს შენი მზე, კვლავ გეფერება მუზა მეცხრე ციდან. შენ სამოთხისას მიჰყვები გზას და რაც აქ დაგითესია და რასაც მომავალში დასთეს, ისევ და ისევ შენს წუთისოფელს ემსახურება.

მე მახსენდება ის მწუხრის ჟამი, რომელსაც აქ ვერ შეეგუე და იქ, შენს აფხაზეთს ეწვიე. მეც წამოგყევი და შენს ძვირფას სახლში ვათევდი ღამეს. ჩვენ არ ვესროდით აფხაზ ძმებს. ჩვენ ვეფერებოდით და ვურჩევდით: „დარჩებით ჩვენთან? – თქვენ იქნებით აფხაზები! დაგვტოვებთ ჩვენ? – თქვენ გახდებით რუსები!“

ედუარდ შევარდნაძეც გავიხსენოთ, ის, ერთი პრეზიდენტივით, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე, მიწაზე კი არ დაფოფხავდა, არამედ, ჩვენთან ერთად იდგა იქ, სადაც იდგნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები – ჟიული შარტავა, მამია ალასანია, გურამ ფანჯიკიძე, დიმა ჯაიანი და რამდენი ჩამოვთვალო, ისინი ძალიან ბევრნი არიან!

ეჰ, რამდენი სიკეთე მოვიგონო სამივე ძმისაგან. ჩვენ ახლაც ერთად ვართ. ერთ ლექსს გავიხსენებ შენსას:

„გულო, გეკითხები, როდის?
გულო, ახლოვდება მარტი,
გულო, სიყვარული მოდის,
ცრემლით, სალამურით, ვარდით!“
ჩემო გენო, ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

●

უფალო, ერთი გზა მიდის მაღლა,
მეორე თავად ეშვება ზღვაში,
გუგუნებს მიწა... ომია სადღაც,
ჭიანჭველები მიდიან მარშით.
მიდიან... ტყვია-წამალი მიაქვთ
მინანქრებივით ლამაზი მხრებით,
დავყურებ ჩუმად სამარეს ღიას
და ყველა ომში თავიდან ვხვდები.

●

უფალო, გახსოვს ის ძველი ცაცხვი, –
წმინდა ქალწულთა სავანე დიდი,
ცა – შეფეთქილი იით და ცარცით,
მზე – გაწონილი სასრიყვას მშვილდით.
იმ ხეს დღეს ურცხვად ეხვევა მუმლი,
ზვავივით ავად გუგუნებს მიწა,
თენდება მთებში და ობოლივით
საკუთარ წარსულს იგონებს რიწა.

●

უფალო, ცრემლი მისველებს თვალებს,
ყოველდღე დარდით, ნაღველით ვკვდები...
მომაგონდება ერცახუს მთვარე,
ერკემლები და კაჭიჭის ჩხები.
დილიდან ვერცხლის ჩანჩქერთან ვზივართ
მე და ოცი წლის ანტიცა სმირი...
გამახსენდება ბზიფი და რიწა
და ღამღამობით ბალღივით ვტირი.

●

უფალო, დილა იწყება ლოცვით,
საკურთხეველთან გაშლილი წიგნით,
მკერდზე ამბორით და ხელზე კოცნით,
შენზე, მამულზე, ძეკაცზე ფიქრით.
მახარობელი კარებთან დგება
წმინდა დემეტრეს ძვირფასი ჯვარით...
და მე, მდიდარი ძოწით და ვარდით,
გიახლოვდები ტანჯული ჯამით.

●

უფალო, მზე რომ გადადის დიდგორს
და დიდი ქედი, რომ ჰგავს ალოეს,
ჩვენი ძისა და მამის არ იყოს,
ვოცნებობ ახალ საქართველოზე.
ვიგონებ ნიჩბისს... და მეფის კარავს,
მეფის სპას, მეფის ყმას და ახლობელს,
ჩვენი ძისა და წინაპრის დარად,
ვოცნებობ ახალ საქართველოზე.

●

უფალო, მთვარე ანათებს ფანჯრებს,
ვით ანდუყაფარ ვაჩნაძის ქალი,
ცამ გადაიხსნა სისხამზე მაჯა
დეზებიანი მამლების ბწკალით.

საგალობელი უხდება საყდარს,
ვით სილაჟვარდე ვაჩნაძის დიაცს...
და ჩუმად ვდგავარ ცეცხლთან და
წყალთან...
და ერთდროულად მცხელა და მცივა.

●

უფალო, დილის ფსალმუნი იყო,
რომ შრიალებდა მდინარის დარად,
მზე ანათებდა წმინდანის ქიტონს,
მეფის საკარცხულს და მწყემსის კარავს.
მთელი სამყარო მღეროდა თითქოს,
ჯვრების, ხატების მეწამულ ფონზე...
დღე არის თბილი და ფერი თრიმლის
ჩრდილივით ადგას მრევლს და ამბიონს.

●

უფალო, წმინდა წერილის მადლით,
ძისა და კაცის ნათელში ვსახლობ,
ვლოცულობ დღისით, ვლოცულობ ღამით
შაშვების ტყეში, – შუამთის ახლოს.
შაშვების ტყეში ვკითხულობ საბას,
მცივა და მტკივა... და ტანში მტეხავს...
და ვკოცნი ქართულ სიტყვას და ანბანს, –
ქართული მიწის ღვთაებრივ ვენახს.

●

უფალო, ჩემი სული და ხორცი
ჰგავს შემოდგომის მეწამულ სურას,
დედაჩემივით მიყვარს და ვკოცნი
საკურთხეველში ღვთისმშობლის სურათს.
ისეთი შვება ვიგრძენი უცებ,
თითქოს გამეხსნა სამოთხის კარი,
ვლოცულობ შენზე და ქრისტეს სჯულზე
განათებული ნათლობის კვარით.

●

უფალო, ისევ გაწვიმდა მცხეთას,
ისევ გაენთო ღრუბელი ღრუბელს,
შავი ვარდივით გალუმპულ მერცხალს
ვერ უპოვია თავისი ბუდე.
საბრალო მერცხლის ჩივილს და მოთქმას,
ჩიტების ჭრელი ჭივჭავი ფარავს...
და მთელი ღამე გუგუნებს ქარი
წმინდა სვეტის და არმაზის კარად.

●

უფალო, ბზის და ალუბლის ტოტით
იწყება დიდი სინათლის კვირა,
მალე, ო, მალე აღდგომა მოდის, –
ნუშის გულივით კამკამა დილა.
შენი ძის ნებით ლოცულობს მრევლი,
ლოცულობს მღვდელი, მეუფე, მნათე,
და ვაშლის ფიფქი, ვით მრევლის ცრემლი,
ქარებს გადააქვს სამრეკლოს თავზე.

●

უფალო, ცივა, სანთელი ჩაქრა,
ჭრიჭინობელი საფეთქლებს ხერხავს,
ბზინავს წყვდიადი, ვით შავი ქარვა,
დგას მოწყენილი სარკმელთან ვერხვი.
და ღამეული მაკვირვებს ჩქამი,
ვით მიწიერი ცოდვა და მადლი,
მეგონა, უფლის მეჭირა თასი,
მე თურმე შენი თასიდან ვსვამდი.

●

უფალო, თეთრი შროშნების ქალაქს
ანგელოსების უგალობს გუნდი,
ვენეციური ჭაღივით ბრწყინავს
კამელიების ბაფთა და ქუდი.
ეს სამოთხეა, სამოთხე სრული, –
თავისი ვერძით და ოქროს პეშვით...
პეპელასავით ამომდის სული
ამ უზენაეს სიწმინდის თვეში.

●

უფალო, ერთი კითხული კაცი,
ახსოვს და უყვარს მეტეხის უბანს,
შემოდიოდა საყდარში ღამით
და პატიებას შესთხოვდა უფალს.
მეუფე ჩვენი, – მოძღვარი მისი, –
ხატივით ნათელს აფრქვევდა ირგვლივ...
და ნათდებოდა სანთლებით ცვილის
სჯულის კანონი და წმინდა წიგნი.

8 | № 1 (316) | 13-19 იანვარი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲜᲯᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

„ᲤᲝᲠᲣᲛᲘ“ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ? – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ“



ᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲝᲢᲐᲫᲔ: „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲔᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲓᲔᲡ... ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲑᲔᲕᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲔᲑᲐ...“

რა შემადგენლობით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას „ქართული ოცნება“, ვინ დარჩება კოალიციაში და ვინ გააგრძელებს პოლიტიკურ გზას დამოუკიდებლად?

– არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს შეკითხვები უფრო აქტუალური ხდება... კოალიცია დიდია და ბევრი სუბიექტისაგან შედგება, თუმცა ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებას თავი სულ რამდენიმე მათგანმა დაამახსოვრა. განსაკუთრებული პასიურობით გამოირჩეოდა „ეროვნული ფორუმი“ და ამან ბევრი კითხვის ნიშანიც გააჩინა. როგორც აღმოჩნდა, „ფორუმი“ პატივს სცემს კოალიციის შექმნისას დადებულ პირობას და გუნდურ რეჟიმში მუშაობს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასე გააგრძელებს და „ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ შეერწყმება. „პარტიაში ვმუშაობთ და მომავალი არჩევნებისთვის ვემზადებით, – განაცხადა „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას „ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანი მიროტაძემ, – დავრჩებით თუ არა კოალიციაში, ეს იმ მოცემულობის მიხედვით გადაწყდება, რომელიც არჩევნების წინ შეიქმნება“.

– ანი, გასული წლის ბოლო პოლიტიკური ამბავი მურუსიძის მოსამართლედ არჩევა-დანიშვნა იყო, რაზეც პოლიტიკური გუნდისაგან განსხვავებული პოზიცია გქონდათ და განაცხადეთ, რომ მურუსიძე სისტემის მსხვერპლი არაა. მაშასადამე, კოალიციას დაუპირისპირდით?

– მურუსიძის მორალურ მხარეზე არ ვილაპარაკებ – ეს მისი პრობლემაა, თან ჩემი საქმეც არ არის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის რეჟიმს ემსახურებოდა და ვფიქრობ, ამაზე ერთხელ მაინც უნდა დაფიქრებულიყო და მინიმუმ, ბოდიში მოეხადა, რომ რეჟიმის ხელში იარაღი იყო, თუმცა ეს მისი გადასაწყვეტია. იმ ადამიანებზე ვილაპარაკებ, ვინც გადაწყვეტილება მიიღო და მურუსიძე მოსამართლე გახდა. ამ ადამიანების ძალიან გამიკვირდა, შოკში ჩავვარდი, გავოგნდი, რადგან წარმოუდგენლად მიმაჩნია. ვისაც ახსოვს, ადრე რა ხდებოდა, ასეთი გადაწყვეტილება როგორ მიიღეს?! ჩემი რეაქცია ასეთია: ეს საქმე ასე ვერ დარჩება არა იმიტომ, რომ მე მინდა, არამედ იმიტომ, რომ ეს საზოგადოებას უნდა. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს იყო სამარცხვინო გადაწყვეტილება და ახლაც იგივე აზრზე ვარ. სხვათა შორის, არ ვარ ერთადერთი, უბრალოდ, სხვაზე ადრე და სხვაზე ხმამაღლა ვთქვი!

– აღშფოთება გასაგებია, მაგრამ ისინი, ვინც იუსტიციის საბჭოში მურუსიძეს ხმა მისცეს, თქვენი, ანუ „ოცნების“ მხარდაჭერილი კადრები არიან...

– გეთანხმებით, მაგრამ ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. მე ერთი დეპუტატი ვარ და ახლა ვეძებ გზებს – მინდა, კოლეგებთან ერთად გავიარო კონსულტაციები და იმაზე ვიფიქროთ, თუ რითი გამოვასწოროთ ეს შეცდომა. ჩემი აზრით, ეს ძალიან სერიოზული შეცდომაა. აღარაფერს ვამბობ, რომ ეს სასამართლო სისტემაში მიმდინარე ქაოსის დასაწყისია!

– და ეს შეცდომა ვის ინტერესშია?

– არ ვიცი... ფაქტები რომ მქონდეს, აუცილებლად ვიტყოდი. საზოგადოების ერთი რიგითი წევრი, ან ისევ ჟურნალისტი რომ ვიყო, თავს ვერსიების გამოთქმის უფლებას მივცემდი, მაგრამ ახლა მეტი ვალდებულება მაქვს და რასაც ვიტყვი, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა ვთქვა. ასეთი ფაქტები კი არ მაქვს.

– მურუსიძის ქეისის გამო, როგორც ვიცი, აქციების გამართვაც იგეგმება...

– აბსოლუტურად ბუნებრივია. ეს ისეთი თემაა, როცა საზოგადოება აღშფოთებას არც დამალავს და ასეც უნდა იყოს. ამიტომ როდესაც ამ აქციების შესახებ გავიგე, ლოგიკურად მომეჩვენა. რაც შეეხება იმას, შევუერთდები თუ არა, ვთვლი, რომ ჩემი აქციაზე დგომით არაფერი შეიცვლება. ამ პროცესში სხვანაირად უნდა ჩავერთო. თუ ვინმეს იმის თქმა უნდა, რომ შეცდომა დავუშვი, ვერ მივიღებ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მიერ მხარდაჭერილი ადამიანი მეტყოდა, მურუსიძეს მაღალი რეიტინგი აქვს და ხმა იმიტომ მივეციო. სწორედ ამ მურუსიძის გადაწყვეტილებამ გააოგნა სტრასბურგის სასამართლო და მას აქვს მაღალი რეიტინგი? ეს ის მოსამართლეები არიან, ვისაც ერთი გამამართლებელი განაჩენიც არ გამოუტანიათ და ეს არის მათი არგუმენტი?

– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მურუსიძე გარემოებათა მსხვერპლია. გუნდში ამ საკითხთან დაკავშირებითაც დაპირისპირებაა?

– შესაძლოა, ეს დაპირისპირებაც გამოვიდეს იმიტომ, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა მაქვს. მსხვერპლი არის გირგვლიანი, მსხვერპლი ვერ იქნება მურუსიძე. რეჟიმის გამყარების საქმეში რა წილი აქვს მურუსიძეს, ეს შეიძლება, სადავო თემაა. თუ არსებობს ფაქტები, რითიც აიძულეს, რეჟიმის ნაწილი გამხდარიყო, მაშინ ესეც უნდა ვიცოდეთ. ჩვენ ხომ იმ რეჟიმში ვცხოვრობდით, სადაც ადამიანზე ზეწოლისთვის ყველა მექანიზმის გამოყენება ხდებოდა, თან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გირგვლიანი პირობითი სახელია იმ უბედურებისა, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა. გირგვლიანი არის დანარჩენი ადამიანების სახელები და გვარები, რომლებიც ჩახოცეს, ჩაცხრილეს, ზღვაში გადააგდეს და წამებით მოკლეს. გირგვლიანი არის იმ ხელისუფლების ავტოგრაფი. ვინმემ თუ გაბედა, იმ რეჟიმს გაერიდა და მის საქმიანობაში მონაწილეობა არ მიიღო, მურუსიძეს ეს არ შეეძლო? დღეს ეს მოსამართლეები რომ გამოდიან და ამბობენ, სასამართლო სისტემაში პრობლემებიაო, მაშინ სიბრმავე ჰქონდათ? არ იცოდნენ, რომ სასამართლოსაც ადეიშვილი მართავდა? რეალურად გადაწყვეტილებას რომ იღებდა პროკურორი და ამას ათანხმებდა ადეიშვილთან? ასეთ სასამართლოში მუშაობდა მურუსიძე!

– ხშირად ისმის შეფასება, რომ თქვენი ხელისუფლება უკან დაბრუნდა და ბევრი რამით იმ ხელისუფლებას დაემსგავსა, რასაც რეჟიმს უწოდებთ. ამაზე რატომ არაფერს ამბობთ? „ფორუმი“ რატომ დუმს?

– ბევრად უფრო ადვილია ოპოზიციაში ყოფნა და ლაპარაკი. როცა ხელისუფლებაში ხარ და პასუხისმგებლობა გაქვს, გამოხვიდე და ყველაფერზე ხმამაღლა ილაპარაკო, შეიძლება, ცოტა პოპულისტური იყოს. ასე იქცევა ჩვენი ლიდერი გუბაზ სანიკიძეც, რომელიც თვლის, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა დააფიქსიროს პოზიცია. ასე მოიქცა მთავრობის დამტკიცების დროსაც, როცა მკვეთრი პოზიცია დააფიქსირა იმ საკითხებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის, მურუსიძის თემასთან დაკავშირებითაც.

– ეს გამოსვლა ძალიან ბევრს არ უნახავს. ამიტომ რიგითმა ადამიანებმა როგორ უნდა გაიგონ, თუ რატომ დუმს ერთ დროს ყველაზე აქტიური პოლიტიკოსი?

– მესმის, ამას საყვედურადაც ვიღებ და, სხვათა შორის, კომპლიმენტადაც. რადგან ჩვენი ხმის გაგონება უნდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს აქვს ჩემი პარტიის მიმართ სხვა დამოკიდებულება. ერთ რამეს გეტყვით, მაგრამ ეს არ იქნება თავის მართლება: არის გარემოებები, როდესაც ელოდები. როდესაც კოალიციაში შევედით, ჩვენი ამოცანა იყო რეჟიმის შეცვლა. ეს ამოცანა შევასრულეთ. ახლა გვაქვს ოთხწლიანი მანდატი, რასაც ჩვენი პარტნიორების მიმართ პასუხისმგებლობით ვეკიდებით.

– ანუ, პასუხისმგებლობის ვადის გასვლას ელოდებით? სად იქნება „ფორუმი“ არჩევნებზე – კოალიციაში თუ..?

– ახლა, როცა არჩევნებამდე კიდევ ათი თვეა დარჩენილი, ძალიან რთულია იმის თქმა, რას იზამს „ფორუმი“. ყველაფერი ეს იმ გამოწვევებზეა დამოკიდებული, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი იქნება ხელისუფლების, ჩვენი პარტნიორების ხედვა ამასთან დაკავშირებით. ამოცანა და მოცემულობა 2012 წელთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულია. თუ იქნება თანხვედრა, ჩვენ ვიქნებით ერთად, მაგრამ კომპრომისები არ იქნება!

– რატომ აირჩიეთ ასეთი პასიური პოზიცია? როცა ხელისუფლებაში მოხვედით, არცთუ დაბალი რეიტინგი გქონდათ, მაგრამ არ იბრძოლეთ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თქვენი კადრი დაგენიშნათ. ერთადერთი ნოდარ ჯავახიშვილია და ისიც არჩევნებამდე წავიდა „ფორუმიდან“...

– როცა კოალიცია იქმნებოდა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, კახა შარტავამ პოლიტიკაში მასტერკლასი ჩამიტარაო. კოალიცია ჭრელია და თუ სიმშვიდეს ინარჩუნებ, ყველაფერი კარგად მაშინაა. ჩვენ ეს ფუნქცია ავიღეთ, რადგან კარგად ვიცით გუნდურობის ფასი რაც არის. ეს იმიტომ კი არ გავაკეთეთ, რომ რესურსი არ გვაქვს. მაგალითისთვის გეტყვით: არის რომელიმე პოზიცია, რასაც რეზო შავიშვილი ვერ გაართმევდა თავს? აღარ ვლაპარაკობ კახა შარტავაზე – იცით მისი შესაძლებლობები. არც ისაა მართალი, რომ შარტავა პოლიტიკიდან წავიდა. ის პარტიაშია და მას აძლიერებს. ჩვენი პარტია მრავალრიცხოვანია და მისი მართვა რთულია. თავის დროზე კახამ გადაწყვიტა, რომ მინისტრის პორტფელის ნაცვლად, პარტია გაეძლიერებინა. აქამდე, როგორც კახა იტყოდა, გასამხედროებული პარტია ვიყავით იმიტომ, რომ სულ ბრძოლაში ვიყავით, ახლა კი, თვისობრივად ახალი პარტია შევქმენით. ზუსტად ვიცით, რა გვინდა და ჩვენი რესურსები საით უნდა მივმართოთ.

– ესე იგი, „ფორუმი“ „ქართულმა ოცნებამ“ არ შთანთქა?

– არა, ჩვენმა პარტიამ ეს დრო იმისთვის გამოიყენა, რომ თავისი სისტემა გაემართა და აეწყო. როცა ომში მიდიხარ, თუ არ იცი შენი თანამებრძოლების შესაძლებლობები, ბძოლა ძნელია. ახლა ეს ჩვენ კარგად ვიცით და ამდენი ხანი სწორედ ამაზე ვმუშ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔ. ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲠᲐ ᲬᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔᲡ, ᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲗᲔᲛᲐᲐ. ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ, ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡᲔᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲘᲛ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲐᲜ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲮᲝᲪᲔᲡ, ᲩᲐᲪᲮᲠᲘᲚᲔᲡ, ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲒᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ. ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ. ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲗᲣ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ, ᲘᲛ ᲠᲔᲟᲘᲛᲡ ᲒᲐᲔᲠᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔᲡ ᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ? ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲐᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲘᲑᲠᲛᲐᲕᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ? ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲐᲪ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ? ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲓᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ? ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔ!“

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აობდით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიგნითაც ბევრი პრობლემაა, ყველაზე მთავარი გამოწვევა მაინც გარე ფაქტორებია და ეს არ ეხება მარტო ჩრდილოელ მეზობელს. ამას პირველად ვამბობ და ამ საკითხებზე გუბაზი ძალიან ბევრს მუშაობს.

– ანი, ხელმეორედ გეკითხებით: ყველაფერი ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ფორუმი“ დამოუკიდებელი თამაშისთვის ემზადება?

– პოლიტიკური პარტია, რომელიც ამბობს, რომ არ უნდა საკუთარი ძალების შემოწმება, მატყუარაა. ყველა ადამიანში და პარტიაშიც, რომელიც ცოცხალი ორგანიზმია, არის მოთხოვნილება, რომ შეამოწმოს, თუ რა არის მისი ძალა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს წინააღმდეგი ხარ. ამიტომ „ფორუმი“ ემზადება, რომ იყოს ძლიერი კოალიციაში და, თუ სხვა მოცემულობა იქნება, მის გარეთაც. ჩვენ არ ვქმნით პრობლემებს, ამიტომ „ფორუმთან“ ურთიერთობა კომფორტულია. მეტი რა უნდა გავაკეთოთ?

– არ შეგიქმნიათ პრობლემა საარჩევნო კანონთან დაკავშირებითაც, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მისი შეცვლის აქტიური მხარდამჭერები იყავით...

– „ფორუმს“ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა თავისი არგუმენტები და თავის დროზე სრულიად გვეთანხმებოდა ბიძინა ივანიშვილიც, მაგრამ კოალიციის დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა ერთ მხარეს, უფრო სწორად, ჩვენ აღმოვჩნდით უმცირესობაში. ამის გამო კოალიციას ვერ დავტოვებთ. არ გამოვკიდებივართ პოსტებს და ასეთი გადაწყვეტილების მიღებაც არ გაგვიჭირდებოდა, თუმცა არგუმენტები, რომლებიც მაჟორიტარული სისტემის მხარდამჭერებს ჰქონდათ, მისაღებია იმიტომ, რომ ამის შესახებ ბევრჯერ გამიგონია ამომრჩევლებისგან რეგიონებში, ანუ ისინი ამბობენ, რომ უნდათ ჰყავდეთ მაჟორიტარი, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან დეპუტატით კმაყოფილები.

– და ეს იმიტომ ხომ არა, რომ ხალხს ინფორმაცია არა აქვს?

– ეს კიდევ ცალკე საკითხია. ეს არის პრობლემა, როცა მოსახლეობამ კარგად არ იცის, რა სიკეთე შეიძლება ჰქონდეს პროპორციულ არჩევნებს.

– ხელისუფლების მხრიდან ერთი და იგივე არგუმენტები ისმის, პარლამენტში საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებენ, რომ კანონი შეიცვალოსო...

– ერთ რამეს გეტყვით: როგორი მოსაპოვებელია იმდენი ხმა, რომ 50%-იანი ბარიერი გადალახო? – ეს ხომ ძალიან მაღალი თამასაა?! ამ არჩევნებშიც ყველა ძლიერი კონკურენტი სახელისუფლებო გუნდისთვის თავსატეხი და პრობლემა იქნება. ეს არაა 2012 წელი, როცა ბოროტებასა და სიკეთეს შორის იყო ბრძოლა. ახლა სახელისუფლებო გუნდის კანდიდატობა ვერ იქნება იმის გარანტია, რომ არჩევნები მოიგო. ვიცით, თავის დროზე როგორ ტარდებოდა არჩევნები, ახლა ასე აღარ იქნება. ხელისუფლების მხრიდან რომც იყოს გაყალბების მცდელობა, ამას ასე აღარავინ დატოვებს. საბოლოო ჯამში, ეს არ იქნება არჩევნები, სადაც გაყალბების ხარჯზე, ხელისუფლებას ექნება შესაძლებლობა, რომ მოიგოს. ეს უნდა იცოდეს ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც.

– თქვენ იცით, მაგრამ თქვენმა კოლეგებმაც იციან?

– ამ თემაზე, ალბათ, მოგვიწევს საუბარი. გაყალბების წყარო ხალხის ნაკლები აქტიურობა და საარჩევნო პროცესების არცოდნაა. ბოლო პერიოდში ამომრჩევლის პოლიტიკური გემოვნება ძალიან დაიხვეწა. ამომრჩეველი თავს აღარავის მოატყუებინებს, რადგან კარგად იცის, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი რომელიმე ხელისუფლების წარმომადგენელი არაა. მიხეილ სააკაშვილი რომ ავტორიტარად იქცა, საზოგადოების რიგითი წევრების ბრალიც იყო. ჩვენ მაშინ არ მოვახდინეთ კონსოლიდაცია, როცა დავინახეთ, რომ გზიდან გადაუხვია. რატომ გაბედა მიხეილ სააკაშვილმა 7 ნოემბერი? – იმიტომ, რომ იმდენი რაღაცები დააშავა და შერჩა, თორემ ის რომ მშიშარა კაცია, ეს ხომ ვიცით?! ამიტომ რასაც ახლა ვიტყვი, ხელისუფლებაში შეიძლება, ბევრს არც მოეწონოს, მაგრამ საზოგადოება აუცილებლად უნდა იყოს აქტიური და ყველა გადაცდომაზე რეაქცია ჰქონდეს.

– კოალიციას კიდევ აქვს იმედი, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს?

– ასე ვერაფერს ვიტყვი. კარგად და თანმიმდევრულად მუშაობის შემთხვევაში, – კი. ჩვენი მთავარი გამოწვევა ეკონომიკაა. თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, შეიძლება, დავდოთ მყისიერი შედეგი. ვინც დღეს იტყვის, რომ დიახ, ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაშიო, ის პოპულისტი და მატყუარაა! ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ფიქრობს ის 60%, ვინც გამოკვლევებში თავის პოზიციას არ აფიქსირებს? ამ ამომრჩეველზე მუშაობის შანსი აქვს ყველას. ვინც შეძლებს ამომრჩევლის ამ 60 პროცენტის დარწმუნებას, ის იქნება წარმატებული. ამის შანსი აქვს ხელისუფლებას და ოპოზიციასაც, მაგრამ არა – „ნაცმოძრაობას“, რომელიც უკვე პოლიტიკურ სასაფლაოზეა. ეს არ არის რევანშისტული განცხადება, რადგან მიმაჩნია, რომ ძალა, რომელიც ვერ ახერხებს ქვეყნიდან გაქცეული ბელადის ჩრდილიდან გამოვიდეს, ვერ იქნება წარმატებული!

– კი, მაგრამ ამომრჩეველმა მხარი შეიძლება, არც იმ ძალას დაუჭიროს, ვინც დღემდე ბიძინა ივანიშვილის გავლენისაგან ვერ გათავისუფლებულა...

– სწორედ ამას ვამბობ. ყველაფერი ეს დამოკიდებულია პროცესებზე. 2012 წელს ყველას ინტერესი – ხალხისაც, პარტიებისაც და, მათ შორის, ივანიშვილისაც თანხვედრილი იყო. ახლა თუ ივანიშვილი მოახერხებს და მოსახლეობას აუხსნის, რომ ისევ საერთო ინტერესი აქვს, ის 60% არსად წავა. კი, ივანიშვილის ფაქტორმა ბევრი რამე გააკეთა და დღემდე რჩება ის ფაქტორად, მაგრამ ახლა სხვა მოცემულობაა. ამიტომ დღეს ვერ იფიქრებ, რა შედეგი დადგება არჩევნებზე. დღევანდელი მოცემულობით, ვერც იმას იფიქრებ, ვინ იქნება სიის სათავეში.

– ოქტომბრამდე „ძველი-ახალი“ ხელისუფლება ისეთი შედეგის დადებას შეძლებს, რომ დაბნეული ამომრჩეველი თავისკენ წაიყვანოს?

– როცა კვირიკაშვილმა ეს მთავრობა წარმოადგინა, ბევრმა არ მოიწონა, თუმცა მე ლოგიკურად მივიღე. წლის ბოლო იყო, მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება ცაიტნოტში მოხდა და მგონია, რომ ეს ჭკვიანი კაცის ნაბიჯი იყო. თუმცა ასევე, ჭკვიანი კაცის ნაბიჯად ჩავთვლი, თუ რამდენიმე თვის შემდეგ რომელიმე მინისტრთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს. მეგობრობაზე. თანაკლასელობაზე, თანაკურსელობასა და უბანში ერთად გაზრდილობაზე ლაპარაკი უნდა დამთავრდეს, ასე პოლიტიკა არ კეთდება! როცა პასუხისმგებლობას იღებ, ეს უნდა დაივიწყო!

– ნაცნობ-მეგობრობის ამბავია ზალკანიანის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბრუნება?

– საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვარ და პირდაპირ ვარ დაკავშირებული ამ სფეროსთან, ამიტომ ვფიქრობ, რომ ზალკანიანი ერთ-ერთი ყველაზე პროფესიონალი კადრია. ამ შემთხვევაში, ნაკლებად მაინტერესებს, ვინ ვისი მეგობარი, ძმაკაცი და დაქალია. ჩვენ არ გვაკავშირებს მეგობრობა, ზალკანიანი არ არის ჩემი პოლიტიკური გუნდის წევრი, ის პროფესიონალია და ესაა მნიშვნელოვანი საგარეო უწყებისთვის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს სწორი და გააზრებული გადაწყვეტილებაა. ვინც რა იცის, ის საქმე უნდა აკეთოს. თუ საქმე არ იცი, უნდა წახვიდე, ქართულ პოლიტიკაში ესაა პრობლემა.

– ეს პრობლემაა „ქართულ ოცნებაშიც“. ამ შეკითხვის ადრესატი შეიძლება, თქვენ არ ხართ, მაგრამ „ოცნება“ თქვენი გუნდია, ანი...

– „ქართულ ოცნებაზე“ თუნდაც იმიტომ არ ვილაპარაკებ, რომ ჩემი პარტნიორია...

– პოლიტიკური წიწილების დათვლის წელი მოვიდა. ამაზე ხომ შეგიძლიათ ილაპარაკოთ, როგორც მმართველი გუნდის წევრმა?

– ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ტყუილის თქმა არ შემიძლია, ამიტომ, მე, ანი მიროტაძე ვიტყვი, როცა ამომრჩევლებთან მივალ, რა გამოგვივიდა და რა – არა.

– რაც არ გამოგივიდათ, ბევრია. ამიტომ გკითხავთ: რა გამოგივიდათ?

– ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ქვეყანაში საბოლოოდ დამარცხდა შიში. შეიძლება, ბევრი შემოგვედავოს, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი მიზანია, ჩვენი მმართველობა იყოს ადამიანზე ორიენტირებული. სხვა საკითხია, რამდენად გამოგვდის. ბევრი რამ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, მაგალითად, ჯანდაცვის რეფორმა. ვიცი, 160-ლარიან პენსიას გამახსენებენ, მაგრამ ვიტყვი, რომ სამი მილიარდია დახარჯული ამ სფეროში, თუმცა ეს არავის ახსოვს.

გარდა ამისა, ბევრი პრობლემაა განათლებაში და ვფიქრობ, ახალი ხედვაა ამ მხრივ საჭირო. ვთვლი, რომ ახალი საქართველოს მთავარი გამოწვევა განათლების სისტემის გადახედვაა. თუ აქამდე ჯანდაცვა იყო მთავარი, ახლა მთელი რესურსი განათლებაში უნდა ჩაიდოს.

ერთიც ვიცი: ქვეყანაში, სადაც განათლებული ადამიანები ცხოვრობენ, პრობლემების მოგვარების გასაღების პოვნა რთული არ არის.

რა ვერ გავაკეთეთ და ყველაზე მეტად რაც ძალიან არ მომწონს, ეს სასამართლოში მიმდინარე პროცესებია. თუ ეკონომიკასა და სასამართლო სისტემას შორის არჩევანის გაკეთება იქნება საჭირო, ვთვლი, რომ სასამართლოში მიმდინარე პროცესები უფრო საშიშია. ქვეყანაში თუ არაა სამართალი, არაფერი არ არის. ვინ არის ამ პროცესებში ჩართული, არ ვიცი, მაგრამ ვხედავ, რომ ეს არის ქაოსის შექმნის სურვილი. მეტს აღარ გავაგრძელებ, რათა სასამართლოზე ზეწოლა არავინ დამაბრალოს – ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი ზეწოლად აღიქმება.

მოკლედ, ამ ქვეყნის მთავარი გამოწვევა მაინც ეკონომიკაა და ჩვენს ეკონომიკის მინისტრს აქვს შანსი, იყოს როგორც ძალიან წარმატებული, ისე ძალიან წარუმატებელიც. შეიძლება, არის ხარვეზები, მაგრამ მეტ-ნაკლებად დავამარცხეთ მონსტრი შსს-ს სახით.

– კორუფციაც დაამარცხეთ? – ბოლო თვეების ყველა მოვლენა ელისაშვილის მიერ გაჟღერებულმა ფაქტმა გადაფარა...

– ამ თემაზე საუბარს ვერიდები, თუმცა რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ: ასეთი რამ ვიღაცას წელიწადნახევრის მერე რომ გაახსენდა, ეს მაფიქრებს, თუმცა არც იმას ვამბობ, რომ ვიღაცამ ეს ჰაერიდან მოიტანა. როგორც გაირკვა, ეს ამბავი ელისაშვილსაც სცოდნია, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხომ სცოდნია, შეწყალების კომისიას ხომ სცოდნია და პრეზიდენტიც, თურმე, მესიჯებს კითხულობდა. პრეზიდენტს ლეგიტიმაცია იმიტომ კი არ მივეცი, რომ საპრეზიდენტო სასახლეში იჯდეს, თუმცა ამაზე ჩემი პოზიცია მაქვს და უნდა იჯდეს. პრეზიდენტისგან ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები არ მომწონს, რადგან ეს ქვეყნის ბედსა და მომავალზე აისახება!

– ანუ, ფიქრობთ, რომ ეს სკანდალი საპრეზიდენტო კულუარებში დაიგეგმა?

– შეთქმულების თეორიების არ მჯერა და არ ვიცი, სად დაიგეგმა.

– კარგი, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ბესელია და კობახიძე?

– არ ვიცი... ეს კიდევ ერთი გამოწვევაა. ახლა აბარებს შოთაძე გამოცდას, მერე რა, რომ ექვსი წლითაა არჩეული? – რაც შეიძლება სწრაფად უნდა დადოს გამოძიების შედეგი. ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ამის გამო ძალიან ზარალდებიან მანანა და ეკა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც-რაღაცებში ეჭვი მეპარება, გამოძიებას დაველოდები და მინდა, მჯეროდეს, რომ შესაბამის მტკიცებულებებს წარმოადგენს!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

10 | № 1 (316) | 13-19 იანვარი

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

შვეიცარიის ელჩისა და საქართველოს ხელისუფლების კორუფციული გარიგება

პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ ლიდერი „ქართულ სიტყვას“ სკანდალურ ამბავს უყვება. საერთოდ, ირაკლი ღლონტს, როგორც ყველა ახალგაზრდა პოლიტიკოსს, სკანდალური „ქეისები“ იზიდავს და ვინმემ შეიძლება, იფიქროს, რომ ღლონტის დღევანდელი განცხადებებიც გადაჭარბებულია. შესაძლოა, არც უამისობაა, მაგრამ ე.წ. ვეკუას საქმეში მხოლოდ თურქეთის მოქალაქე კი არა, შვეიცარიის ყოფილი ელჩი, ბეხლერიც ფიგურირებს და, როგორც „რეფორმატორების“ ლიდერი აცხადებს, აშკარად იკვეთება დიპლომატიური კორუფციის ნიშნები. სხვათა შორის, ახალგაზრდა ბიზნესმენი არჩილ ვეკუა, რომელსაც დაუსწრებლად 7-წლიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული, ღლონტის ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო და კოალიციის გამარჯვებაში გარკვეული წვლილიც შეიტანა, თუმცა ეს მხარდაჭერა, ღლონტის სიტყვებით რომ ვთქვათ, სანანებელი გაუხდა. მაშ, ასე: „ქართული სიტყვა“ 2016 წლის პირველ ბიზნეს სკანდალს წარმოგიდგენთ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲘ ᲠᲘᲖᲐ ᲧᲘᲖᲘᲚᲓᲐᲒᲘ, ᲠᲐ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲘᲣᲜᲢᲔᲠ ᲑᲔᲮᲚᲔᲠᲡ ᲗᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲬᲘᲠᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ – ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ „ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ“ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲒᲖᲐᲠᲝᲔᲑᲡ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ: – „რეფორმატორები“ გარკვეულ საპროტესტო აქტივობას ვაპირებთ, რადგან ქვეყანაში მხოლოდ ეკონომიკური კი არა, სასამართლო ხელისუფლების, ასე ვთქვათ, გამართულობის პრობლემაც დგას – დღეს გვაქვს სასამართლო, რომელიც თითქოს რეფორმაგავლილია, მაგრამ რეალურად, ხელიდან ხელში გადასული ინსტიტუტია, რაზეც უამრავი „ქეისი“ მეტყველებს, ავიღოთ, თუნდაც ურთმელიძის, ან სულაკაძის საქმე, რომელიც წინა პლანზე ჩვენ წამოვწიეთ და იუსტიციის სამინისტროს, ასევე, პროკურატურის შეფასებას ველოდებით. შეგახსენებთ: ლაპარაკია ვანო ჩხარტიშვილსა და სულაკაძეს შორის სავარაუდო კორუფციულ კომუნიკაციაზე. ყოველ შემთხვევაში, ყველა საქმე, რომელიც ბატონ ჩხარტიშვილს უკავშირდება, მხოლოდ სულაკაძეს ეწერება, რაზეც უკმაყოფილება ლონდონის სასამართლომაც გამოხატა.

მოკლედ, ჩვენი მართლმსაჯულების პრობლემა მხოლოდ ურთმელიძე არაა, რომელიც პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფება და რომელმაც თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლის „საუკეთესო“ პრეცედენტი შექმნა.

– ესე იგი, საპროტესტო აქციები „რეფორმატორებმა“ ურთმელიძის წინააღმდეგ უნდა დაიწყოთ?

– არა. საერთოდ, მგონია, რომ ურთმელიძე მის მიმართ საზოგადოების განწყობას მიხვდა და აწი მაინც გონივრულ ჩარჩოებში იმოქმედებს. წესით, შესაბამისი პროცედურების დაცვით, სამართალდამცავმა უწყებებმა მას შეკითხვებიც უნდა დაუსვან, მაგრამ ეს დღეს გამორიცხულია.

– ირაკლი, ასე რატომ ფიქრობ?

– თუნდაც იმიტომ, რომ მურუსიძის სასამართლო სისტემაში უვადო დაბრუნება მოხდა.

– მურუსიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ კი არა, სამი წლით აირჩიეს...

– კი ბატონო, მაგრამ ჩათვალე, რომ ეს სამი წელი უვადოდ გაგრძელდება. ჩემი კოლეგები ამბობენ, რომ მურუსიძემ ქართულ საზოგადოებას შეაფურთხა, რასაც მეც ვიზიარებ. დიახ, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მან აბსოლუტურად მიუღებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. იმ დროს, როცა ერთის მხრივ, პრეზიდენტი ქალბატონ ირინა ენუქიძეს აჯილდოებს, მეორეს მხრივ, მურუსიძეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ ნიშნავენ.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მარგველაშვილის მიერ ირინა ენუქიძის დაჯილდოება შოუ იყო და მეტი არაფერი...

– მათთვის ყველაფერი, რაც მათ მაფიოზურ ზღაპრებსა და გეგმებში არ შედის, შოუა. ისიც შოუა, რომ ქართული საზოგადოების უმეტესობა სიდუხჭირის წინაშე დგას, გამოსავალი არ არსებობს და ემიგრაციის დონე იზრდება...

ისე, გაგვიმართლა, რომ პრეზიდენტი ინტელექტუალი გვყავს და პოზიციებს არ თმობს!

– ინტელექტუალი თუ პლასტელინი?

– არა, ინტელექტუალი!

– რა ვიცი, იყო დრო, როცა გიორგი მარგველაშვილი ამბობდა, პლასტელინი ვარო...

– ჩემი პოლიტიკური სტატუსის მიუხედავად, ბევრი არგუმენტი არსებობს, რატომაც მარგველაშვილს ინტელექტუალ პრეზიდენტს ვუწოდებ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პოლიტიკური კულტურა ეყო, ოპოზიციასთან, ექპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჯეროვანი კომუნიკაცია დაემყარებინა. მარგველაშვილმა იცის, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტია და ვალდებულია, ხალხს უსმენდეს!

– ხალხს მხოლოდ პრეზიდენტი კი არა, ნებისმიერი ხელისუფალი უნდა უსმენდეს, რადგან ხელისუფლება საზოგადოების მოჯამაგირეა!

– გეთანხმები...

ურთმელიძის, სულაკაძისა და მურუსიძის გარდა, უამრავი „ქეისი“ არსებობს, მაგალითად, ბიზნესმენ არჩილ ვეკუას დევნის საქმე. ვეკუა, ჩვენი შეფასებით, ირაკლი ღარიბაშვილის პირადი დევნილია.

– ამას რის საფუძველზე ამბობ?

– მარტივად აგიხსნი: ეს ადამიანი თითქმის ჩემი თანატოლია და კომუნიკაციაც ამიტომ გამიადვილდა, დავმეგობრდით...

– შენ რატომ მოგაკითხა?

– მე კი არ მომაკითხა, არამედ, არაერთი მიმართვა აქვს გავრცელებული, თან არჩილ ვეკუა ზუგდიდელია და ზუგდიდთან, როგორც გურიასთან, მჭიდრო კონტაქტი მაქვს...

– ვეკუას თხილის ბიზნესი აქვს, არა?

– არა მარტო... არჩილ ვეკუას კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, მაღალი დონის სპეციალისტია და ვთვლი, რომ ქართული სახელმწიფოს მომავალი სწორედ ასეთ ადამიანებზე უნდა დაშენდეს, თუმცა ყოფილი პრემიერი ასეთ კადრებს ებრძოდა და დევნიდა.

– დევნა და ბრძოლა რაში გამოიხატებოდა?

– 2010 წლიდან, ვეკუა წარმატებულ ბიზნესს ეწეოდა, ეკონომიკის სამინისტროსთანაც წარმატებული ურთიერთობა ჰქონდა – გარკვეულ პროექტებში იყო ჩართული. სხვათა შორის, მთელი მისი ოჯახი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო და „ნაციონალებისგან“ სერიოზულ ზეწოლასაც განიცდიდა – იყო მიკითხვა-მოკითხვები, დაშინება, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და 2012 წლის არჩევნებში, სამეგრელოს რეგიონში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, თუმცა დღეს ეს სანანებელი გაუხდა და, როგორც ვიცი, იძულებულია, სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიტანოს!

ყველაზე მთავარი ისაა, რომ არჩილ ვეკუას საქმეში, პარტნიორის სტატუსით, თურქი ალი რიზა ყიზილდაგი ფიგურირებს. ვეკუასა და ყიზილდაგს შორის, წილების გადანაწილებაზე, ჩვეულებრივი სამოქალაქო დავა დაიწყო და 2015 წლის 2 მარტს, ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში, პირველი პროცესი გაიმართა. დავა სამ ეპიზოდზე მიდიოდა და ზუგდიდის სასამართლომ ვეკუა სამივე ეპიზოდში გაამართლა.

– ირაკლი, ვიდრე ამბის მოყოლას გააგრძელებ, მითხარი, ვეკუას „ქართულ ოცნების“ რომელ ფრთასთან ჰქონდა კავშირი?

– ასეთი დეტალები არ ვიცი, ალბათ, რეგიონალურ ფრთასთან.

– ამბობენ, რომ სამეგრელოს არაოფიციალურად დავით საგანელიძე კურატორობს, ანუ ვეკუასაც კავშირი საგანელიძესთან ჰქონდა?

– შესაძლებელია, თუმცა მის პოლიტიკურ თემებში არ ვერევი...

– მეტი პოლიტიკური თემა რაღა გინდა – ვეკუას დევნაში პირდაპირ ექსპრემიერ ღარიბაშვილს ადანაშაულებ!

– მაქამდეც მივალ, თუმცა ეს უფრო პოლიტიკურ უმწიფრობასთანაა კავშირში...

– დავიბენი: სახეზე პოლიტიკური დევნაა თუ პოლიტიკური უმწიფრობა?

– გეტყვი: 2015 წლის 8 აპრილს, სენსაციური ფაქტი მოხდა – საქართველოში შვეიცარიის ელჩმა, ბატონმა გიუნტერ ბეხლერმა საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთა, საქართველოში ინვესტორებთან მიმართებაში პრობლემებია და მართლმსაჯულების სისტემაშიც კორუფცია არსებობსო. სხვათა შორის, როგორც ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ.

– რაში და რატომ?

– რატომ და, – შვეიცარიის ელჩს მეც გამოვეხმაურე. მოკლედ, შვეიცარიის ელჩი ძალიან დიდი ფიგურაა და მის განცხადებაზე ერთი ამბავი ატყდა – ყველამ ღარიბაშვილი და „ქართული ოცნება“ კედელთან მივაყენეთ, შეცდომაც აქ დავუშვით, ანუ არ გავერკვიეთ, ბეხლერმა ზემოხსენებული განცხადება რეალურად რატომ გააკეთა. თურმე, რა ხდება – ბეხლერის სიძე თხილის ბიზნესში არაოფიციალურად იყო ჩართული. არჩილ ვეკუა შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელს თავისი თურქი პარტნიორის მხრიდან იცნობდა.

– ანუ, საქმე ე.წ. დიპლომატიურ კორუფციასთან გვაქვს?

– სამწუხაროდ, ასეა.

– ესე იგი, ზემოხსენებული განცხადების სანაცვლოდ, ბეხლერმა ფული აიღო?

– სავარაუდოდ. არჩილ ვეკუას მშობლებს შევხვდი, მათ საწარმოში დასაქმებულ ადამიანებსაც და ინფორმაციები მათგან მაქვს. მოკლედ, შვეიცარიის საელჩოსთან ურთიერთობას ყიზილდაგი ალაგებდა, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, თურქეთში თავის დროზე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის იყო დაპატიმრებული. სასჯელის მოხდის შემდეგ კი, შვეიცარიის რეზიდენტი გახდა...

ყველამ – პოლიტიკურმა პარტიებმა, მედიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას თითი დავუქნიეთ, ნახე, უკვე შვეიცარიის საელჩოც კი საუბრობს, რომ ჩვენი მართლმსაჯულება კორუფციულიაო. ამის გამო ღარიბაშვილი, სავარაუდოდ, დაიბნა და პოლიტიკური განცხადება გააკეთა, ჩავერევი და განვიხილავო. ამასობაში, ბეხლერი არ გაჩერებულა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლებს შეხვდა, მათ შორის, ნინო გვენეტაძესაც. არ შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, მაგრამ საუბარია, რომ ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა.

– ირაკლი, დავიჯერო, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გაუჩნდათ ეჭვი, რომ საქმე ერთგვარ დიპლომატიურ კორუფციას ეხებოდა?

– ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ჩვენზე კარგად იცოდნენ. მინიმუმ, ოპერატიულ მასალებს ჩახედავდნენ და ნახავდნენ, რაც იკვეთებოდა. ყველაფერ ამის შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთს პროკურატურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ვლადიმერ იოსავა, რომელიც შემდეგ, თუ არ ვცდები, აფხაზეთის სუს-ში გადაიყვანეს, ანუ შეინახეს, არჩილ ვეკუას და მამამისს იბარებს. ისინი ერთმანეთს სულ სამჯერ შეხვდნენ და იოსავამ ვეკუუებს უთხრა, რა ვქნათ, ბიჭებო, ზევიდან ზეწოლა გვაქვს, გვირეკავენ, თუ ძმა ხარ, თბილისში ჩადით და მოაგვარეთო.

– ვისთან ჩადითო?

– კონკრეტულად არ დაუსახელებია, ანუ სავარაუდოდ იმ თანამდებობის პირებთან უნდა ჩამოსულიყვნენ, ვინც ბიზნესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ადრე ასეთი კეზერაშვილი იყო, მერე – ჯანყარაშვილი და სხვები.

– 2015 წლის გაზაფხულზე, როგორც მახსოვს, ჯანყარაშვილი ხელისუფლებაში აღარ იყო...

– სხვათა შორის, ამ თემაში ბატონი შოთაძეც იყო ჩართული, რომელიც მაშინ მთავარი პროკურორის მოადგილე გახლდათ...

– შოთაძე რა ფორმით იყო ჩართული?

– დეტალები არ ვიცი...

– უცნაურია: სერიოზულ თემაზე ლაპარაკობ და არ დაინტერესდი, ვეკუები თბილისში რომელ მაღალჩინოსანთან გამოაგზავნეს?

– მითხრეს, რომ კაცი ღარიბაშვილთანაც გააგზავნეს, რომელმაც განაცხადა, ვხვდები, რაღაცები ისე არ არის, როგორც ჩანდა, ამიტომ, საქართველოში ჩამოდი, საპროცესო შეთანხმებას გაგიფორმებთ, ანუ დანაშაული აღიარე და ჩვენი მეგობარი იყავიო.

– ირაკლი, მაპატიე და, ეს საუბარი ჭორაობას ჰგავს...

– მაშინ, დეტალები მომაყოლე.

– მოგაყოლებ... ვინ გითხრა, რომ ვეკუუებმა ღარიბაშვილთან შუამავალი გააგზავნეს?

– თვითონ არჩილ ვეკუამ.

– შუამავლის ვინაობაც დაგისახელა?

– არა და ამას ვერც მოვთხოვ... მოკლედ, ბეხლერის განცხადების შემდეგ, მაშინდელმა პრემიერმა ნაკლებად სამართლიანი შეფასება გააკეთა, რათა შვეიცარიის ელჩისთვის ეამებინა და ამის გამო, რეალურად,

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 11 ᲒᲕ.

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲮᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

13-19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ | № 1 (316) | 11

ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘ ᲘᲗᲥᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ადგილობრივი მეწარმე გაწირა. შესაბამისად, 2015 წლის 8 ივლისს, სასამართლომ პირველი ინსტანციის სამართლებრივი განჩინება გააუქმა, არჩილ ვეკუა სამივე ეპიზოდში დამნაშავედ სცნო და შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

– ვეკუას ბრალი კონკრეტულად რაში ედება?

– თანხის მითვისებაში.

– სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის?

– არა, კერძო კომპანიის...

მოკლედ, არჩილ ვეკუამ შეთავაზებაზე უარი თქვა, რომ დანაშაული ეღიარებინა და საპროცესო გაეფორმებინა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ახალგაზრდა კაცია და ბევრი გეგმა აქვს, როგორც საინვესტიციო, ასევე, – საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის კუთხითაც. შესაბამისად, არ სურს, რომ ნასამართლევის სტატუსი ჰქონდეს. ის ამბობს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამართლებულია, მაგრამ ბრალდებულად პოლიტიკური ანგარიშსწორების გამო სცნეს!

– ერთი სიტყვით, ძალიან ჩახლართული საქმეა...

– დიახ, ჩახლართული „ქეისია“...

– მაშასადამე, გამოდის, რომ „ოცნება“ საერთაშორისო წნეხის ქვეშ მოექცა და ამაში წვლილი ოპოზიციამაც შეიტანეთ...

– სამწუხაროდ, ასეა...

– ირაკლი, მე, როგორც ობივატელს, ხომ შეიძლება, გამიჩნდეს ეჭვი, რომ ამჯერადაც სახეზეა პოლიტიკური კორუფციის ნიშნები და ღლონტი ვეკუას საქმეში ფულს იღებს?

– შეგიძლია, ივარაუდო, მაგრამ...

– მაინცდამაინც ვეკუების საკითხით რატომ დაინტერესდი და არა – სხვა თემებით?

– როგორ არ დავინტერესდი, სულაკაძე და იგივე ურთმელიძე და მურუსიძე ტყუილად არ მიხსენებია...

– ისე, შენს ადგილას მურუსიძეს საერთოდ არ შევეხებოდი.

– რატომ?

– რატომ და, რაღაც არ მახსოვს, რომ გირგვლიანის ტრაგედიის დროს გეაქტიურა...

– გირგვლიანის, მეტიც, ბუტა რობაქიძის მკვლელობიდან რამდენიმე საათში,, ჩემს მეგობრებთან ერთად, პროკურატურაში მივირბინე, რათა გამეგო, რა ხდებოდა. მაშინ იმ უნივერსიტეტში, სადაც ბუტა სწავლობდა, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი ვიყავი... პრეტენზია და პროტესტიც ამის შემდეგაც მქონდა, თუმცა ვერ გავიგე, ამ „ქეისთან“ ეს შეკითხვა რა კავშირშია?

საერთოდ, „რეფორმატორებისთვის“ ორი საკითხია მნიშვნელოვანი – ეკონომიკა და სასამართლო რეფორმის დროული განხორციელება. სხვათა შორის, პარტიაში მართლმსაჯულების კომისიის შექმნას ვაპირებ, რომელშიც წარმატებული სტუდენტებიც ჩაერთვებიან.

– მართლმსაჯულების კომისიის შექმნა და, საერთოდ, სასამართლოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა კარგია, მაგრამ მე, როგორც ობივატელმა ირაკლი ღლონტს რატომ უნდა დავუჯერო?

– ირაკლი ღლონტს კი არა, იმ ინფორმაციას უნდა დაუჯერო, რომელსაც განვდი.

– ჰოდა, მეც ინფორმაციაზე ვლაპარაკობ. ნახე, ირაკლი, როგორი სიტუაციაა: შენ, როგორც ცნობილია, გარკვეული პრობლემები „რეფორმატორების“ დამფუძნებლებთან გქონდა თუ გაქვს...

– პრობლემები ალასანიასაც ჰქონდა „ქართულ ოცნებასთან“, ეს ჯანმრთელი მოვლენაა.

– კოალიციაში არსებული პრობლემები სხვა რამეა. მოკლედ, ყოფილი პარტიული პარტნიორები გარკვეულ ბრალდებებს გიყენებენ...

– ჩვენ სასამართლო დავა გვქონდა, რომელიც მოვიგე.

– შეიძლება, მაგრამ როგორც მახსოვს, ისინი ამბობენ, რომ პარტია რეალურად, მათ „გააკეთეს“...

– არა, არა, ასე ნამდვილად არ არის. სხვათა შორის, პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს.

– საქმე ვისზეა აღძრული?

– გიორგი ჟამუტაშვილსა და პარტიიდან ჩვენს მიერ გარიცხულ სავარაუდო დამნაშავე პირებზე.

– „სავარაუდო დამნაშავე“ რას ნიშნავს?

– ჩემი შეფასებით, დამნაშავეა, რადგან დოკუმენტაცია გააყალბა და პარტიის ბეჭედიც მიითვისა, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია, მაგრამ არ მაქვს უფლება, ადამიანს დამნაშავე ვუწოდო.

– შეიძლება, გაბრაზდე, მაგრამ ჟამუტაშვილმა თავის დროზე პარტიაში ფული მოიტანა? მას, როგორც ვიცი, ბიზნესი ჰქონდა...

– ფული ყველამ მოვიტანეთ... მას ახლაც დიდი ბიზნესი აქვს და, როგორც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, სავარაუდოდ, დავით ნარმანიას ძმასთან ერთად, კორუფციულ სქემაშია გახვეული იგივე ბიზნესმიმართებით და ამაზეც ჩვენი შეფასებები გვქონდა.

– ანუ, ჟამუტაშვილი წარმატებული ბიზნესმენია.

– დიახ, მაგრამ ის პარტიის დონორი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. ჩვენ ყველას გვაქვს მონაწილეობა მიღებული, ეს ოფისიც ჩემი პირადი ინვესტიციაა.

– ეს ახლა, მაგრამ მაშინ, როცა პარტია შექმენი, ფინანსთა სამინისტროდან ახალი გათავისუფლებული იყავი და რა გქონდა?

– არა, არა, სწორი ინფორმაცია არაა. ჯერ ერთი, არავის გავუთავისუფლებივარ, მეორეც, ფინანსთა კი არა, ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობდი.

– შეცდომისთვის ბოდიშს გიხდი, მაგრამ ფული არ გქონდა, რომ პარტიაში მოგეტანა...

– ეგრეა, მაგრამ ჩვენი პარტიის დონორი ჟამუტაშვილი არ ყოფილა, კანდიდატი იყო და თანხას თავისი პიარისთვის ისევე ხარჯავდა, როგორც მე და სხვები...

მოკლედ, ვეკუას ქეისში მთავარი ისაა, რომ პარტნიორების დავა პირველმა ინსტანციამ განიხილა. ამის შემდეგ, შვეიცარიის ელჩი განცხადებას აკეთებს და ვიგებთ, რომ ამ კონკრეტულ საქმეზე მას ბიზნეს-ინტერესები აქვს. სხვათა შორის, გვაქვს ინფორმაცია, რომ სასამართლო პროცესებზე ყიზილდაგი და შვეიცარიის ელჩის მოადგილე საელჩოს ავტომანქანით დადიოდნენ. ბიზნესის ტერორის წინააღმდეგ ნებისმიერი საელჩოს ჩართულობას მივესალმები. ერთ-ერთი პირველი ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რომელმაც ფინანსური პოლიციის, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ხმა ამოიღო და მისი გაუქმება მოითხოვა...

– კი ბატონო, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, ღარიბაშვილს ბრალს რაში სდებ?

– რაში და, – ბეხლერის განცხადებას საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირის გაცხადება მოჰყვა, რომ ამ საქმეს პირად კონტროლზე აიყვანდა, ანუ ამ სავარაუდო ზეწოლის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ აბსოლუტურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და სამივე ეპიზოდში, რაშიც პირველმა ინსტანციამ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, არჩილ ვეკუა დამნაშავედ სცნო.

– ქართული ანდაზა გამახსენდა – ჭრელო პეპელა, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო, ანუ ღარიბაშვილს ბეხლერის განცხადებისთვის ყურადღება რომ არ მიექცია, ოპოზიცია მაინც კედელთან მიაყენებდა, მიაქცია და რისხვას მაინც ვერ გადაურჩა...

– გეთანხმები. სამწუხაროდ, ამ ნაწილში, ჩვენთან პოლიტიკური კულტურა ძალიან დაბალ დონეზეა...

– ვეკუა ზუგდიდის სასამართლომ გაამართლა, არა?

– დიახ.

– ვეკუა ზუგდიდელია?

– დიახ.

– ჰოდა, ხომ შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ კორუფციული გარიგება ზუგდიდის სასამართლოში მოხდა?

– არ შეიძლება.

– რატომ?

– თუ ფაქტებისა და არგუმენტების გარეშე ვისაუბრებთ, შეგვიძლია, ბევრი რამ ვიფიქროთ, მაგრამ სასამართლოს მიმართ მაქსიმალური ნდობა უნდა გვქონდეს, თუმცა ვხედავთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, სამივე ეპიზოდში, სააპელაციო სასამართლო ცვლის. არადა, სააპელაციოს პრაქტიკა ასეთია – პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას თითქმის ძალაში ტოვებს ხოლმე. ადვოკატების

თქმით, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეებმა არაერთი პროცედურული შეცდომა დაუშვეს, თუმცა ამჯერად მე პოლიტიკურ შეფასებას ვაკეთებ, რომ ქვეყანაში კორუმპირებული მოსამართლეები არიან და სასამართლო სისტემაში პრობლემებია! შესაბამისად, მჯერა, რომ ადგილობრივი წარმატებული მეწარმის დამნაშავედ „გამოცხობა“ ღარიბაშვილის პოლიტიკური განცხადებების შემდეგ მოხდა!

– თუ ვეკუა წარმატებული მეწარმე იყო, პრობლემები რატომ შეექმნა?

– ვანო, მაპატიე და, ეს არასერიოზული შეკითხვაა: პრობლემები წარმატებულ ადამიანს ექმნება, თორემ მას, ვინც არაფერს აკეთებს, პრობლემები არ ექმნება! საერთოდ, დავა ნორმალურია, მაგრამ ეს ჯანმრთელი პროცესი მანამაა, ვიდრე კორუფციული გადაწყვეტილება იქნება მიღებული!

– ამ საქმეში კონკრეტულად რომელი მოსამართლე მონაწილეობდა?

– ბატონი კაპანაძე.

– მოსამართლე კაპანაძემ ყიზილდაგისგან ფული აიღო?

– აქ პოლიტიკურ კორუფციაზეა ლაპარაკი, ანუ მოსამართლეებს ეშინიათ. მოსამართლემ შეიძლება, ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, როგორიც მაგალითად მურუსიძემ მიიღო, მაგრამ წაახალისონ და სასამართლო სისტემაში ისევ დარჩეს, ანუ ხელისუფლებამ საზოგადოებას გადააბიჯოს. ვანო, რა, პირველად ჩემგან გესმის, რომ სასამართლოში სერიოზული პრობლემებია?

– ცხადია, არა...

– ურთიერთობა საკმაოდ ბევრ მეწარმესთანაც მაქვს და ისინიც, სამწუხაროდ, შიშის ქვეშ არიან.

– მეწარმეებთან ურთიერთობა მეც მაქვს. მათ შეიძლება, სხვა პრობლემები აქვთ, მაგრამ არ მგონია, ეშინოდეთ...

– მეწარმეებს ძალიან ეშინიათ, რადგან იციან, რომ ხმის ამოღების შემთხვევაში, ფინანსური პოლიცია „ჩაუჯდება“, რაღაცას უპოვის და, თუ პატიმრობა არ შეუფარდა, ჯარიმას მაინც დააკისრებს!

– ...ირაკლი, ვეკუების ოჯახი რატომ გენდო?

– უბრალოდ, შევთავაზე, რომ ამ ამბავს გავახმაურებდი.

– რა გრჯიდა, რომ შესთავაზე?

– თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ბეხლერის განცხადება თავიდანვე საფუძვლიანად არ შევისწავლე...

– მას შემდეგ, რაც ვეკუას „ქეისი“ შეისწავლე, შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თუ მიმართე და გაანდე ეჭვი, რომ მისი დიპლომატი შესაძლოა, კორუფციაში იყოს გარეული?

– ამის გაკეთებას ვაპირებთ, თუმცა ვიცი, რომ შვეიცარიის პრეზიდენტს არჩილ ვეკუამ მიმართა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. სხვათა შორის, გამოსამშვიდობებელ საღამოზე ბეხლერმა განაცხადა, რომ საქართველოდან მიდის როგორც დიპლომატი, მაგრამ დაბრუნდება, როგორც კერძო ინტერესების მატარებელი პირი. თუ არა იგივე სანათესაოს ბიზნესში ჩართულობა, ბეხლერს ამ თემაზე ბრიფინგის ჩატარება, ან განცხადების გავრცელება რატომ მოუნდებოდა? რა თქმა უნდა, აქ ხელისუფლებას მეტი პოლიტიკური სიმწიფე უნდა გამოეჩინა... ნინო გვენეტაძეს კი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი მაქსიმალურად უნდა დაეცვა.

– ვეკუამ ევროსასამართლოს უკვე მიმართა?

– არა, უზენაეს სასამართლოს ელოდება, რომელიც სამწუხაროდ, პასუხს დღემდე არ სცემს.

– რატომ? ღარიბაშვილი, რომელსაც ყველაფერს აბრალებ, ხელისუფლებაში აღარაა.

– კი ბატონო, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ისე, საბედნიეროდ, მეგულებიან მოსამართლეები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოში მართლმსაჯულებას ემსახურებიან, მათ უდიდეს პატივს ვცემ და მათი ინტერესების დასაცავად ყველაფერს გავაკეთებ!

– ვეკუას საქმეზე, ვთქვათ, პრეზიდენტს თუ მიმართე?

– პრეზიდენტთან შეხვედრას ვაპირებ და ვთხოვ, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს.

– რას გულისხმობ?

– რას და, – ამ ადამიანმა საქართველოში დაბრუნება იქნებ, შეწყალების აქტი მაინც შეძლოს, რომ თავისი ბიზნეს-საქმიანობა პატიოსნად გააგრძელოს და ქართულ სახელმწიფოს მეტი შემოსავალი მოუტანოს.

– ირაკლი, რა ამის პასუხია და, სკანდალები გიყვარს – დაწყებული სატანისტების თემიდან დამთავრებული ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიით...

– სატანიზმი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი „ქეისი“ იყო. სააფთიაქო ნარკომანიაზე კი, რა, ცოტა არგუმენტი მაქვს? სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ამ თემაზე განცხადება გავაკეთეთ, ჩვენი თანამშრომელი, კირვალიძე, დღისით, მზისით, საეჭვო ვითარებაში გაქურდეს – მისი სახლიდან სეიფი გაიტანეს, რომელშიც როგორც ყოფილი ძალოვანი, გაფორმებულ იარაღს ინახავდა. რამდენიმე ხნის წინ გავასაჯაროვეთ სახელმწიფო ავტომანქანის ნომერი, რომელიც ერთ-ერთ აფთიაქში მიდის, სადაც მძიმე ნარკოტიკული თრობის გამომწვევი მედიკამენტები იყიდება და ეს ავტომობილი, სავარაუდოდ, მოგებას ითვლის... რამდენიმე დღის წინ კი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ხუნდაძემ თავხედურად განაცხადა, რეფორმების შედეგად, ე.წ. სააფთიაქო ნარკომანია 99 პროცენტით დაძლეულია და მცირე ფაქტებიღაა დარჩენილიო. ამას არ ვაპატიებ და თუკი ამ პოზიციაზე დარჩება, მის წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებ! არაფერი არსებობს, რაც გამაჩერებს! არსებობს მხოლოდ ტყვია!

– მაინც, ვინ გემუქრება?

– ვინაობას ვერ დავასახელებ, მაგრამ ყველასთან, ვინც ამ თემაში ჩაერია, მივიდნენ და უთხრეს, ძალიან კარგი მსახიობი ხარ, ძალიან ცნობილი ჟურნალისტი ხარ, მაგრამ აღარ ჩაერიო... მოკლედ, სააფთიაქო ნარკომაფიას, სავარაუდოდ, პარლამენტი ლობირებს! ყოველ შემთხვევაში, ხუნდაძის ზემოხსენებული განცხადება სწორედ ამაზე მიანიშნებს.

– წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა, ვეკუას თხილი რომელ ქვეყანაში გაჰქონდა?

– იტალიაში და, თუ არ ვცდები, შვეიცარიაშიც...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

„ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ, „ᲡᲐᲑᲐᲡ“ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲝᲜ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

ᲠᲐ ᲓᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲡ ᲓᲐᲡᲗᲐᲜ

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, 25 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲧᲕᲐᲕᲘᲡ, ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ, ᲠᲐᲪ 1992 ᲬᲔᲚᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲮᲝ ᲓᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ ᲣᲬᲔᲡᲔᲑᲡ“.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ ᲡᲐᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲡᲔᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲜ. „ᲜᲣ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ, ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲒᲘᲜᲓᲐ „ᲡᲐᲑᲐ“ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ — „ᲐᲙᲐᲙᲘ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲛ, ᲜᲘᲜᲘᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ, ᲓᲔᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ „ᲛᲔᲨᲩᲐᲜᲘᲐᲝ“... ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲐᲢᲔᲮᲘᲚ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲡ, ᲠᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲒᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ? — „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ, ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲒᲐᲙᲐᲕᲔᲕᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲓᲘᲗ. ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲒᲘᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲐᲠᲗ?

— ჯერ კიდევ ვმკურნალობ.

— სამართალდამცავებს თქვენს მიმართ პრეტენზიები ისევ აქვთ?

— მგონი, აქვთ, ზუსტად არ ვიცი. ისე, სამართალდამცავებში პოლიციურ სისტემას არ განვიხილავ. ის უკანონოდ გამეფებული უმცირესობის კაპიტალს და ინტერესებს იცავს, იმ უმცირესობისას, რომელმაც ქართველი ხალხის ძარცვა-გლეჯით უზარმაზარი ქონება დააგროვა.

— მურუსიძის სკანდალზე რას იტყვით?

— მძიმე ფაქტია, მურუსიძე ავტორიტარული სისტემის გადმონაშთია, საზოგადოების პროგრესული ნაწილი, ვისაც სინდისი შერჩენია, ამის წინააღმდეგი იქნება. იმედი გვაქვს, ასეთი ნეოფაშისტური სასამართლო საქართველოში აღარ იარსებებს.

— პრეზიდენტმა სანდრო გირგვლიანის დედა, გარდაცვალების შემდეგ, ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ეს საქართველოში უსამართლობის დასასრულს უნდა უდრიდეს, მაგრამ ამის საპასუხოდ, იუსტიციის საბჭომ სრულიად უცნაური თუ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ლევან მურუსიძე მოსამართლედ აირჩია. როგორ ფიქრობთ, ეს მოვლენათა ლოგიკური მიმდევრობა იყო, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების დაპირისპირებას გულისხმობდა თუ საქმე შემთხვევითობასთან გვაქვს?

— პრეზიდენტის ნაბიჯი საღია — ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის სურვილი, სამართლიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მოთხოვნა გაეზიარებინა. ძალიან კარგი ჭკუის სასწავლებელი საქციელი იყო ქვეყნის პრეზიდენტის მხრიდან, მაგრამ ვერც სასამართლოსა და ვერც იუსტიციის საბჭოს წევრებმა ეს ვერ დაინახეს და ვერ შეაფასეს.

— მგონი, მარტო მათ კი არა, უფრო მაღალი ინსტანციის მოხელეებმაც ვერ შეაფასეს. „ოცნების“ ხელისუფლება სწორედ უსამართლო სასამართლოს წინააღმდეგ ბრძოლის დროშით მოვიდა, საარჩევნო ვადა თითქმის ამოიწურა, მაგრამ დანაპირები სამართალი არსად ჩანს. როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი და სახელისუფლო შტოები თავიანთ მოქმედებებს ერთმანეთთან არ ათანხმებენ?

— ზუსტად არ ვიცი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთაგან მურუსიძეს მხარს ვინ უჭერდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს სამარცხვინო საქციელია.

— შობა-ახალი წლის დღეებში მართლმადიდებლური ეკლესიის და პატრიარქის მიმართ ფრიად მიუღებელი მიმართვები გავრცელდა...

— მგონი, ახალი არაფერია, ყოველ ახალ წელს ასეა და ამ ამბავს უკვე კამპანიური ხასიათი აქვს.

— და ეს კამპანია რას ემსახურება?

— რას უნდა ემსახურებოდეს? — ეკლესიას და ტაძრებს ებრძვიან. ამ საკითხზე ბევრჯერ გავაკეთე კომენტარი. ეტყობა, დიდ ცოდვაში ჩავდგით ფეხი, ბოლო 25 წელია, მეტს ხომ არაფერს ვაკეთებთ. ამიტომ, ზურგი შევაქციეთ ზნეობას, ეთიკას და ცუდიც დავიმსახურეთ. უზნეო ცხოვრების წესს ხელი მივყავით, სიკეთე და სიყვარული დავივიწყეთ, ყალბ კერპებს ვემსახურებით. ეს კერპები ფული და ძალაუფლებაა.

— პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში თქვენი და, ნინია კაკაბაძეც აქტიურობს და იხსენებს, როგორ შეხვდა დედასთან ერთად პატრიარქს, სადაც მას თვალი მოსჭრა საპატრიარქოს აურაცხელმა სიმდიდრემ, რის გამოც წლების მერე, პატრიარქს „უზნეო მეშჩანი“ უწოდა...

— ჩემი დის გამონათქვამებზე კომენტარს არ გავაკეთებ, უბრალოდ, ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ ოჯახის წევრების შესახებ. ჩემს მშობლებს არასოდეს უყვარდათ ბურჟუაზიული ცხოვრების „მეშჩანური“ სტილი და ხშირად აკრიტიკებდნენ კიდეც, ორივე მათგანი თავიანთ წიგნებსა და საჯარო გამოსვლებში, საბჭოთა კავშირის დროს, თამამად აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიულ ღირებულებებს, ეს ის ღირებულებებია, რაზედაც თანამედროვე პოლიტიკური ისტებლიშმენტი დგას, გამონაკლისების გარდა, რა თქმა უნდა.

რაც შეეხება პატრიარქს, მასზე დედაჩემისგან აუგი არასოდეს მსმენია. მახსენდება, 1978 წლის ზაფხულში, ბათუმში, ბებიაჩემის დას, ქალბატონ თამარ ნაკაშიძეს პატრიარქი ესტუმრა, იქ ჩემი მშობლებიც იყვნენ. ამ შეხვედრის მომსწრე თავად გახლდით, წლების განმავლობაში, დედა სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა ამ შეხვედრას. სხვა შეფასება მშობლებისგან პატრიარქის პიროვნებაზე არასოდეს მსმენია. განკითხვა ავეჯის, საპატრიარქოს ინტერიერის, მოწყობილობის თაობაზე არასოდეს გამიგონია. დედაჩემთან კი, საკმაოდ ახლო და მეგობრული ურთიერთობები მქონდა...

ამ დღეებში საოცარი შეხვედრა მქონდა პატრიარქთან. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. ის, როგორც ყოველთვის, საოცრად მშვიდი იყო. როგორც ყოველთვის, თბილად მოიკითხა მთელი ჩემი ოჯახი და მთხოვა: შენს დას გადაეცი, ქონება არ მაქვს, არც შვილი მყავს, რომ ქონება დავუტოვო. ჩემი შვილები თქვენ ხართ და ყველაფერი, რაც აქ არის, საპატრიარქოში, ისევ და ისევ ქართველი ხალხისაა. საერთოდ, ქონების ქონება არც ისე კარგი საქმეა. სჯობია ის ადამიანმა გასცეს, როგორც ამას მაცხოვარი ამბობს.

სიბრძნეა ეს — დიახ, ქონება ადამიანს ამძიმებს. ქონება ადამიანს აუბედურებს. ადამიანს მხოლოდ მინიმუმი სჭირდება. მას სიხარბე აბრმავებს და აგიჟებს. ზუსტად ასე ფიქრობდა დედაჩემიც, ნათია ამირეჯიბიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ სიტყვა „ბურჟუა“ მისთვის დამამცირებელი ტერმინი იყო. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. დიახ, ადამიანისა და საზოგადოების სიმდიდრე სწორედ იმაშია, თუ რამდენად ბევრის გაცემა შეუძლია. გაცემაა სიმდიდრე და არა — მოხვეჭა.

— ბატონო ირაკლი, უარი თქვით ლიტერატურულ კონკურს „საბასთან“ თანამშრომლობაზე. აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?

— არა, რატომ უნდა შევიცვალო? ნამდვილად არ შემიძლია, ბანკირების დახმარებით გაყიდული წიგნების ფულით ვიცხოვრო და კოლეგებსაც მოვუწოდებ, „საბას“ ბოიკოტი გამოუცხადონ! საქართველოში გაბატონებულმა ნეოლიბერალურმა სისტემამ, ბანკების დახმარებით, 300 ათასი მოქალაქე უსახლკაროდ დატოვა და კიდევ ამდენივეს გამოსახლება ელოდება. ამ უბედურებაში მევახშეების, კერძო იპოთეკარებისა და ბანკირების ხელი ურევია. სქემაში „საქართველოს ბანკი“ და „თი ბი სი ბანკი“ მოიაზრებიან. ხშირად დაზარალებულები პოლიციური ძალადობის მსხვერპლი ადამიანები არიან, რომლებმაც საპროცესო გარიგებების გამო, ბინები იპოთეკაში ჩადეს, გათავისუფლების შემდეგ კი, ქონება ვერ გამოისყიდეს.

— უკვე მიიღეს კანონი პოლიციური წესით გამოსახლების აკრძალვის შესახებ...

— სასამართლო ხომ მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას გამოსახლებაზე? მიმაჩნია, რომ ადამიანების გამოსახლება საერთოდ უნდა აიკრძალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში უამრავი მოქალაქე დარჩება უსახლკაროდ. ერთი მოხუცი შევამჩნიეთ, რომელიც ქუჩაში გაიყინა, მაგრამ ასეთები მრავლად არიან. ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს „თი ბი სი ბანკის“ ხელმძღვანელობასთან, ასევე, პრემია „საბასა“ და გამომცემლობა „საბას“ მესვეურებთან, ჩემი მეგობრები არიან, გულწრფელ მადლობას ვუხდი რატი ამაღლობელს, რომლის ინიციატივითაც ჩემი ელექტრონული წიგნი გამოიცა, მაგრამ მათ ვთხოვ, ჩემი წიგნის ჰონორარი ღატაკ, გამოსახლებულ ადამიანებს მოახმარონ. ვფიქრობ, ყველა შეგნებული მწერლის და პოეტის ვალია, ძალადობრივი გზით ნაშოვნი ფული არ აიღონ. საბანკო სისტემა არა მარტო საქართველოს, არამედ, მთელ მსოფლიოს მართავს. დღეს გაცილებით ადვილია დაუპირისპირდე რომის პაპს, ან ვლადიმერ პუტინს, ვიდრე თანამედროვე მსოფლიოს ნამდვილ ბატონ-პატრონს — კომერციულ საბანკო სისტემას. დიახ, იმ მიუსაფარი მოხუცის გარდაცვალებაში ხელი საბანკო სისტემას მიუძღვის. მართალი არ ვიქნები საკუთარ სინდისთან, რომ „საბას“ ორგანიზაციასთან, რომელიც ბანკირების ფულით იმართება, რაიმე სახის ურთიერთობა დავიტოვო მანამ, სანამ არ აიკრძალება მოქალაქეების საკუთარი საცხოვრისიდან გამოსახლება და გამოსახლებულებს საკუთარ ქონებას უკან არ დაუბრუნებენ.

— ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლონეთში 21 ადამიანი, რომელიც ქუჩაში, კარვებში ცხოვრობდა, გაიყინა...

— მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში ხდება და ყველგან ტრაგედიად აღიქმება, აღმოსავლეთ ევროპაში რეაქციული ქვეყნებია, სადაც ველური კაპიტალიზმია გამეფებული ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველა ადამიანი საცხოვრისით უზრუნველყოფილია. არსებობს სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმატებით აპრობირებული სქემა, რითიც საქართველოში ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს პირველ სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანთა არა მარტო პოლიტიკური, არამედ, სოციალური პრობლემებიც გვარდებოდა.

— თუმცა, დღევანდელი რეალობა ასეთია: მურუსიძე — მოსამართლედ, ერის სულიერი მამა — „მეშჩანი, „აგენტი“; წამყვანი საალიტერატურო პრემიის დამწესებელი — უმდიდრესი ბანკი. გიორგი ლეონიძის არ იყოს, „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია...“

— ძალიან უსამართლო ქვეყანა გვაქვს, 25 წელია, ნეოლიბერალიზმი, ავტორიტარული მმართველობა ჰყვავის, ნეოლიბერალისტური ავტორიტარიზმი მას მერე დამკვიდრდა, რაც 1992 წელს, ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობა დაემხო და უმრავლესობაზე უმცირესობა გაბატონდა, რომელიც მოსახლეობას უსამართლო კანონებს უწესებს.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

13 -19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ | № 1 (316) | 13

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

„ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲖᲛᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ!“

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ... „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲨᲐᲕᲐᲫᲔ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲨᲐᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲐᲐᲢᲐ, ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ �მᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲠᲐᲛ ᲛᲘᲒᲘᲧᲕᲐᲜᲐᲗ?

– პირველ რიგში, შეგეკამათებით, რომ ჩემი სპეციალობა, თანამდებობა რაიმე კუთხით შორს დგას საპატრიარქოს თემებისგან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყოველი სპეციალობა, ყოველი ადამიანი საპატრიარქოსთან ახლოს უნდა იდგეს. მეორეც, არსებობს საეკლესიო სამართალი, რაც ყველა იურისტისთვის მეტად საჭირო თემაა, ყოველმა მათგანმა საეკლესიო სამართალი უნდა იცოდეს.

– საადვოკატო საქმიანობისას, საეკლესიო სამართალთან შეხება გქონიათ?

– მქონია, მაგრამ კონკრეტულ საქმეს ვერ დაგისახელებთ. როგორც რიგითი ქართველი, ვწუხვარ, რომ საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მართლმადიდებლობის, ჩვენი სულიერი მამის მხადამჭერი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა დავინახე. თავად ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც მამა-პაპანი ღვთის სიყვარულს მინერგავდნენ და საერთოდ, მთელი ქყეყანა უნდა იყოს ორგანიზაცია-კავშირი, რომელიც მოსახლეობას გამუდმებით ახსენებს, რომ საქართველო სწორედ მართლმადიდებლობამ გამოატარა საუკუნეები და დღევანდლამდე მოიყვანა. სამწუხაროა, რომ დღეს მართლმადიდებლობასა და ჩვენს წინამძღოლს უფრო მეტად სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა, ვიდრე ოდესმე. ჭია-ღუები შემოგვესივნენ, ყველაფერს კადრულობენ... ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას თვითგანდიდების მანია სჭირს და იმიჯის შექმნას სწორედ პატრიარქის ლანძღვა-გინებით, განქიქებით ცდილობს!

– კონკრეტულად, ვის გულისხმობთ?

– რა კონკრეტიკაზეა საუბარი, როცა სოციალურ ქსელში უმსგავსობებს ვკითხულობთ, რომ პატრიარქი „მეშჩანია“, „კა-გე-ბე“-ს ბებერი აგენტია“... ასე არ შეიძლება, ხალხო! თუკი ვამბობთ, რომ მართლმადიდებელი ერი ვართ, ჩვენი რელიგიის წინამძღვარს პატივს რატომ არ ვცემთ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უწმინდესის ასაკს ვცეთ პატივი, გავიხსენოთ მისი დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე, რამდენჯერ იხსნა ერი და ქვეყანა დაღუპვისგან. როგორ შეიძლება, ყველაფერ ამას წიხლი ჰკრა და საქვეყნოდ – ტელევიზიებით, გაზეთებით, სოციალური ქსელით რაც ენაზე მოგადგება, ის თქვა და ახალგაზრდობას თავგზა აუბნიო?! ყველაფერი ეს ჩემთვის და ჩემი თანამოაზრეებისთვის აუტანელი გახდა, ამიტომაც გარს შემოვიკრებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რელიგია, ჩვენი სულიერი მამა – პატრიარქი, ჩვენი სალოცავები, რათა ამ საშინელებას შევებრძოლოთ!.. წმინდა დღესასწაულებზე, ბათუმის მთავარ ეკლესიაში მანქანით ახლოსაც ვერ მიხვიდოდით, წელს კი, მრევლის გასაოცარი მცირე რაოდენობა თვალში საცემი იყო, რამაც საგონებელში ჩაგვაგდო მე და ჩემი მეგობრები.

– ახალი წლის დღეებში, აჭარაში თოვდა და შეიძლება, მრევლის სიმცირე ამითაც აიხსნება...

– არა, სრულიად მშრალი ამინდი იყო. რა გვჭირს? რა გვეტაკა? ღვთის პატივისცემით უნდა ვცხოვრობდეთ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და რა უბედურება გვჭირს, ვინ წამლავს ჩვენს ქვეყანას?!

– საეკლესიო მსახურთა კრიტიკა ხშირია და ხშირად მათ ხორციელ ცოდვებშიც ამხელენ...

– ამაზე ბევრჯერ მიფიქრია. ერთხელ, ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე ერთ მღვდელმსახურს მანქანით ახლოს გავუარე, მღვდელმა გიჟივით გამომხედა და მომაძახა, რომ წამკრა, იცი, რას გიზამო? ვიფიქრე, რომ „ბლატნოი“ ბიჭს ველაპარაკებოდი. ვკითხე, მამაო ბრძანდებით თუ ქუჩის ხულიგანი? მანქანა რომც გაგკრათ, მიმტევებლობა უნდა გამოიჩინოთ-მეთქი. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ ასეთები არიან, მაგრამ რა შუაშია აქ ილია მეორე? ყოველი ადამიანის უმსგავსო საქციელზე პასუხი რატომ უნდა აგოს? ვიღაც უწმინდურებას ჩადის და ამის გამო იგი „ბებერი აგენტია“?

ჯიპების თემასაც შევეხები, მაპატიეთ, მაგრამ ეპარქიიის ხელმძღვანელი ივლის ჯიპით, აბა, რა?! საქართველოშიც 21-ე საუკუნეა და ქრისტეს მსახურნი ჯორებით ვეღარ ივლიან. ეპარქიის ხელმძღვანელობა მაღალი იერარქიაა და ეკლესიას აქვს იმის საშუალება, რომ მისმა მსახურებმა მოხერხებულად იარონ. სამართლებრივად, ვერც აქ ვხედავ საძრახისს, რომ მივადგეთ და ქვეყნის კათოლიკოსს პასუხი მოვთხოვოთ და განვიკითხოთ.

– აჭარაში რელიგია მეტად სენსიტიური და ფაქიზია. წეღან მრევლის სიმცირეზე საუბრობდით, ბატონო პაატა, ადგილობრივი მოსახლეობა მუსლიმანობამ ხომ არ გადასძალა?

– არა, ბატონო, ხალხი უწმინდურობამ, ურჯულოებამ გადასძალა! საზოგადოებამ კარგად დაინახა, თუ როგორ ეწვივნენ მთავარი ჯამეებიდან მუსლიმანი მუფტები კათოლიკოს-პატრიარქს და ერთიანობის ფიცი დადეს, რომ მსოფლიოში განვითარებული ტერორისტული ქმედებების ფონზე, ქვეყანაში ორი რელიგიის მშვიდობიანი თანაარსებობა გაგრძელდეს. ღმერთი ერთია, მუსლიმანობაში ცუდი არაფერია, არც უწმინდესს უბრძანებია, რომ მუსლიმანური რელიგია საზიანოა. არა, ბატონო, აქ მუსლიმანობა არაფერ შუაშია, ვიღაც, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ძალიან ცუდს თამაშობს, ცდილობს, რელიგიური დაპირისპირებით საზოგადოება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს. ვიღაც ბინძურ ხელებს ურევს იმ ფაქიზ თემატიკაში, რასაც რელიგია, სარწმუნოება ჰქვია და აქედან შესაძლოა, დიდი ვულკანი ამოიფრქვეს. ეს რომ არ მოხდეს, სახელმწიფო სამსახურებს გაცილებით მეტი სიფრთხილე მართებთ! ქვეყანაში დიდი რელიგიური ექსტრემიზმი შემოდის! დღეს ქართული ტელეარხებიდან პატრიარქს ისეთი ადამიანები ლანძღავენ, თავი პატრიოტებად რომ მოაქვთ!

მიუტევე... მიუტევე... მიუტევე... რამდენს უნდა მიუტევოს უწმინდესმა? თუ ღმერთი არ გწამს, წადი შენს გზაზე, რას მიგინებ ჩემს სულიერ მამას? რომ გამიჭირდეს, მასთან უნდა მივიდე და სულიერი შველა ვთხოვო. რა შენი საქმეა, რითი დადის? ნურც იმას ცდილობენ, რომ დასავლური ორიენტაციის დროშით იკეკლუცონ. თუ იმის თქმა უნდათ, რომ მამა-პაპის სარწმუნოების, ჩვენი სალოცავების ლანძღვა-გინება დასავლეთის ცივილიზაციის ინტერესებში შედის, მაშინ, რაღაა ღირებულებები და სიკეთე რაშია? ყველაფერი ეს მარაზმსა და აღვირახსნილობაში გადადის. თუ მართლმადიდებელი კაცი შენს სიმაღლეზე დგახარ, ვერავინ შეგიგინებს რელიგიას და საერთოდ, დასავლური ორიენტაცია ჩემთვის პატრიარქის გინება არაა!

– სოციალურ ქსელში გიგი თევზაძის პოსტი გავრცელდა, სადაც წერს, რომ შობის აღნიშვნა ჩვენი მეზობელი აგრესორი ქვეყნის მხადაჭერაა...

– გიგი თევზაძის ჭკუაზე იმან იაროს, ვისაც უვლია, ეს მისი პრობლემაა. საშიში ისაა, რომ თევზაძის გამონათქვამებზე თაობები არ აღიზარდოს, ვიღაცამ მართლა არ დაიჯეროს, რომ შობის აღნიშვნა რუსული ოკუპაციის მხარდაჭერაა.

– ბატონო პაატა, თევზაძის გამონათქვამის უკან ქვეტექსტია, რაც ქვეყანაში ანტიდასავლური კამპანიის წარმოებას გულისხმობს, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ახორციელებს...

– ჩვენი მეზობელი ოკუპანტი ერთმორწმუნეა და არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ანტიდასავლურ კამპანიას ეწევა, მაგრამ ნურავის დავაბრალებთ, ჩვენ თავად ვეწევით საკუთარ ქვეყანაში ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას. ჩვენ ვისმენთ ჩვენივე თანამოქალაქეებისგან, რომ შობა და სხვა რელიგიური დღესასწაულები რუსული ოკუპაციის მხარდაჭერაა, ამას ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც უარყოფენ სანთელს, ეკლესიას და ამით საკუთარ ისტორიას ეწინააღმდეგებიან!

– თქვენს საინიციატივო ჯგუფზე რას იტყვით?

– ჩვენი კავშირი თხემით ტერფამდე ქართული ტრადიციების მატარებელი მხარდამჭერებისგან შედგება. ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, ყველანი მოტივირებულნი ვართ, იმ უმსგავსობის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, რაც მართლმადიდებლურ რწმენას საფრთხის ქვეშ აყენებს. ყოველდღე ახალ-ახალი სტატიები „იჩეკება“, სადაც საპატრიარქოს ქონებას აღნუსხავენ, აიძულებენ უწმინდესს, ახსნა-განმარტება გააკეთოს და თქვას, რომ კერძო საკუთრება არ გააჩნია, რომ შვილი არ ჰყავს და ა.შ. მავანთ რატომ უკვირთ, რომ პატრიარქი დაცვით დადის? – ძლიერი პიროვნებაა და ჩვენი ყოველდღიურობა გვაჯერებს, რომ ასჯერ მეტად სჭირდება დაცვა, პატივი და დიდება, რადგან ქვეყანა ბევრჯერ უფსკრულში გადაჩეხვას გადაარჩინა!

კათოლიკოსს შევხვდებით, მისგან რჩევებს მივიღებთ, რაც უწმინდესობას არ ესიამოვნება, იმას არ გავაკეთებთ. ეს იქნება ზომიერი პროპაგანდული ბრძოლა, დავარწმუნოთ ადამიანები, რომლებიც სხვა პლატფორმაზე გადადიან, რომ არასწორია რწმენის წინააღმდეგ ისეთი ფორმებით წასვლა, როგორც დღეს ხდება. ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ინიციატივა ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსში მუხლის შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც პატრიარქის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება დასჯადი იქნებოდა. მიმაჩნია, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი დაპირისპირება, ლანძღვა-გინება დასჯადი უნდა იყოს.

– რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტო ხომ არსებობს?

– არსებობს, მაგრამ რას აკეთებს, რამე ქმედითი ნაბიჯი გადადგა, რამე ზომები მიიღო? როგორც კომუნისტების დროს გვყავდა რელიგიურ საქმეთა რწმუნებული, ისეთია ეს სააგენტო, არეგისტრირებს რელიგიურ ორგანიზაციებს და დამთავრდა.

– ბატონო პაატა, წეღან რომ თქვით, შობას მრევლის ნაკლებობა იყოო, გამახსენდა, მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, ღვთისმშობელს წილად ივერიის მოქცევა ხვდა და საქართველოში, თავისი ხელთუქმნელი ხატით, ანდრია პირველწოდებული გამოგზავნა. ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი ზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“. სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც გადმოცემით, თავად წმინდა ანდრიაწოდებულს აუშენებია.

– დიახ, პატრიარქმა სწორედ ამიტომ ბრძანა, რომ აჭარამ უნდა მოაქციოს საქართველოო. აჭარლებს ერთხელ, ისიც გვითხრეს, ძმებო, თქვენც ქრისტიანები ხართო, „ც“ არა, ჩვენ ვართ, თუ ვართ ქართველები! ქრისტიანობა სწორედ აქედან იწყება! პატრიარქის გინება არადღეგრძელი და არანათელი საქმეა! როცა ქვეყანაში პოეტიც მაგინებელია, მას ვეტყვი, რომ ასეთ სიმღერას თავის ხალხს არ უნდა უმღეროდეს. ეშინოდეს, ღმერთი ზემოდან იყურება!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

„ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲒᲐᲕᲣᲐᲠᲔ, ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲐ ᲒᲘᲟᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲫᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲛᲙᲠᲐ, ᲘᲪᲘ, ᲠᲐᲡ ᲒᲘᲖᲐᲛᲝ? ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲠᲝᲛ „ᲑᲚᲐᲢᲜᲝᲘ“ ᲑᲘᲭᲡ ᲕᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲝᲓᲘ. ᲕᲙᲘᲗᲮᲔ, ᲛᲐᲛᲐᲝ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲘ? ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲠᲝᲛᲪ ᲒᲐᲒᲙᲠᲐᲗ, ᲛᲘᲛᲢᲔᲕᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲝᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ ᲐᲥ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ? ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲛᲡᲒᲐᲕᲡᲝ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲝᲡ? ᲕᲘᲦᲐᲪ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲒᲘ „ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲐ“?.. ᲯᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘ, ᲛᲐᲞᲐᲢᲘᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡ ᲯᲘᲞᲘᲗ, ᲐᲑᲐ, ᲠᲐ?! ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲐ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ ᲯᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲘᲕᲚᲘᲐᲜ. ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲐᲠᲝᲜ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲕᲔᲠᲪ ᲐᲥ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲡᲐᲫᲠᲐᲮᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲐᲓᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲕᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ“.

14 № 1 (316) 13-19 იანვარი

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე



„ეს ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მძიმე მომენტი იყო!“ – ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

„6 მილიონი საერთაშორისო ვალი დაგვხვდა!“ – რა ცვლილებები იგეგმება და რას ფიქრობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი „ოლიმპის“ დანგრევაზე

ოქტომბერში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი გახდა – ქართული ფეხბურთის პირველკაცობისთვის გამართულ ბრძოლაში რევაზ არველაძე და მამუკა კვარაცხელია დაამარცხა. არჩევნები გვარიანად ხმაურიანი გამოდგა. ბევრჯერ ითქვა, ამ ამბებში ხელისუფლება ჩაერიაო. ძალიანაც ცუდი, თუ ჩაერია, ეგაა ოღონდ: ამის უტყუარი ფაქტი ვერავინ დადო, თუ არ ჩავთვლით რევაზ არველაძის მხარდამჭერის დაპატიმრებას, რაც შედეგებზე გავლენის მქონე ჩარევად, ალბათ, ვერ ჩაითვლება... მოკლედ, ფაქტია: კობიაშვილი გამარჯვებულია. მისი მომავალი სვე ახლა უფრო მძიმეა, ვიდრე „ჰერტას“ ოფისის თბილი სავარძლიდან მოჩანდა, მაგრამ ეს „კობის“ არჩევანია. საერთოდ, ასეთ არჩევანს სუსტი ადამიანები არ აკეთებენ. კობიაშვილმა დიდი გამოწვევა მიიღო – ქართული ფეხბურთისთვის უთანასწორო ომში ჩაება და... თუ გვინდა, ეს ომი წარმატებული იყოს, თითოეული ჩვენგანის ბრძოლად უნდა იქცეს. ქართული ფეხბურთი ერთად უნდა გადავარჩინოთ იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი ყველასია. არადა, დღეს ქართული ფეხბურთი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული... „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ იტერვიუს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან.

– ბატონო ლევან, პირველ რიგში, შობა-ახალ წელს გილოცავთ. ამბობენ, ახალი წლის ღამეს სურვილები სრულდებაო... რა ჩაუთქვით?

– რაღა თქმა უნდა, შემთხვევით ვისარგებლებ და ჩემს მეგობრებს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს და სრულიად საქართველოს ვუსურვებ შობა-ახალ წელს. გისურვებთ წინსვლას, წარმატებას, ბევრ საინტერესო სიახლეს და დასამახსოვრებელ წუთებს. ასევე, ვისურვებ, რომ 2016 წელი ქართული ფეხბურთისა და სრულიად საქართველოსთვის გამორჩეული იყოს!

წლევანდელი წელი ჩემი თანამდებობაზე ყოფნის პირველი სრული წელია და ვეცდები, მრავალი დაგეგმილი პროექტი განვახორციელო, რომლის შესახებაც ეტაპობრივად გაიგებთ.

– ვიდრე ფეხბურთის ფედერაციის გეგმებზე გადავალთ, მოდით, წარსულში დავბრუნდეთ და გაიხსენეთ, თქვენი საფეხბურთო კარიერა როგორ დაიწყო და, საერთოდ, სპორტის ამ სახეობით როდის დაინტერესდით?

– ღრმა ბავშვობაში, მახსოვს, ექიმობა მინდოდა, შემდეგ – გემის კაპიტნობა და კიდევ ბევრი სხვა პროფესია მომწონდა, მაგრამ 7 წლის ვიყავი, როცა ფეხბურთზე შევედი და იმ დღის შემდეგ, სხვა არაფერზე მიოცნებია, გარდა იმისა, რომ წარმატებული ფეხბურთელი გავმხდარიყავი და საქართველოს სახელი შორს გამეტანა.

ადრეულ წლებში რამდენიმე მწვრთნელი და საფეხბურთო კლუბი გამოვიცვალე, ყველას ჩამოთვლას, ალბათ, აზრი არ აქვს. საბოლოოდ კი, 1994 წელს, რუსთავის გუნდში ჩავირიცხე, შემდეგ, 1995 წელს მოვხვდი თბილისის „დინამოში“, სადაც თამაში ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის დიდი პატივი და ღირსებაა. საკუთარი შესაძლებლობების სწორად წარმოჩენასა და განვითარებაში სწორედ „დინამო“ დამეხმარა.

– როგორ მოხვდით გერმანიაში და იქ რა სახის სირთულეებს შეხვდით?

– გერმანიაში სწორედ თბილისის „დინამოდან“ მოვხვდი. ჩემი ბუნდესლიგაში თამაში ჩემი აგენტისა და „დინამოს“ იმჟამინდელი ხელმძღვანელობის დამსახურებაა... თავდაპირველად, „ფრაიბურგში“ ჩავირიცხე, სადაც ჩემს გარდა სხვა ქართველებიც – ცქიტიშვილი, იაშვილი თამაშობდნენ. შემდეგ, ჩემით გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „გელზერკირხენის შალკე“ დაინტერესდა, სადაც ჩემი კარიერის, მართლაც, საუკეთესო წლები გავატარე. კარიერა კი, შარშან, ბერლინის „ჰერტაში“ დავასრულე, რის შემდეგაც, მცირე ხანს, ვიდრე საქართველოში წამოვიდოდი, კლუბის აპარატში ვიყავი დასაქმებული.

სირთულეები ბევრი იყო, აქედან უმთავრესს – ენის არცოდნის პრობლემას გამოვყოფდი, თუმცა ეტაპობრივად, ყველაფერი მშვენივრად დალაგდა. ზოგადად, გერმანიაში თამაში ძალიან დამეხმარა, იქ, ფეხბურთის გარდა, უამრავი სხვა რამ ვისწავლე და სწორედ გერმანიის დამსახურებაა ის, როგორიც ახლა ვარ.

– თქვენს კარიერაში ყველაზე გამორჩეულ და დასამახსოვრებელ მატჩად რომელს თვლით?

– ასეთი, მინიმუმ, 3-4-ია. იგივე „პსვ“-ს კარში გატანილი 3 გოლი ჩემპიონთა ლიგაზე, თუნდაც მიუნხენის „ბაიერნთან“, ოლივერ კანის კარში გატანილი გოლი, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც ნაკრების მაისურით ჩატარებული მატჩებია. ურუგვაისთან შესრულებული დუბლი ამხანაგურში და ხორვატიასთან ბოლო წუთებზე გამარჯვების მომტანი გოლი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება – ის დღე ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი იყო.

– კარიერის დასრულების შემდეგ, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა გააცნობიერეთ, რომ თქვენი ცხოვრების ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა?

– ეს ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მძიმე მომენტი იყო. თავდაპირველად, ვერ ვაცნობიერებდი, რა მოხდა, რადგან სეზონის დასრულების შემდეგ, ორი კვირა მაინც ვვარჯიშობდი გუნდთან ერთად, შემდეგ კი, როდესაც მივხვდი, რომ ხვალ არც ვარჯიში და არც თამაში აღარ მექნებოდა, ძალიან შევშინდი და დავიბენი. მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების, მართლაც, ერთი დიდი ეტაპი დასრულდა და ახალი ეტაპი დაიწყო. დეპრესია და მსგავსი გამოვლინებები არ მჩვევია, მაგრამ უფეხბურთობა ძალიან გამიჭირდა. ეს სირთულეც ჩემმა ოჯახმა დამაძლევინა – მის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა.

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა რატომ გადაწყვიტეთ და ქართულ ფეხბურთში არსებულ მძიმე ვითარებაზე ინფორმირებული იყავით?

– რა თქმა უნდა, მუდმივად მქონდა დეტალური ინფორმაცია ჩემი აქაური მეგობრებისგან, თუ რა ხდებოდა ქართულ ფეხბურთში. ყველაფერი ეს ხომ ისედაც ეტყობოდა ქართული კლუბების გამოსვლას ევროტურნირების შესარჩევ ეტაპებზე, საქართველოს ნაკრების თამაშსა თუ მიღწევებს. ყოფილ ფედერაციაშიც ბევრი მეგობარი მყავდა, რომელსაც არ მოსწონდა იმჟამინდელი მეთაურების მუშაობა და ამაზე ხმამაღლაც საუბრობდა თუნდაც ჩემთან. თუნდაც ის რად ღირს, რომ რეგიონებში სტადიონს ვერ ნახავთ. დედაქალაქში კი, მათი ფედერაციაში ყოფნისას, 20-ზე მეტი სტადიონია დანგრეული ან გასხვისებული. ამას ახლაც ვიმკით, თუნდაც ბოლო პერიოდში „ოლიმპის“ სკოლის დანგრევით. დადგა

გაგრძელება მე-15 გვ.

„სრული სისულელეა, რომელიც ისეთმა ხალხმა გაავრცელა, რომელსაც არ უყვარს ქართული ფეხბურთი და არ უნდა მისი განვითარება. კახი ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ჩვენ ერთადაც ვთამაშობდით თბილისის „დინამოში“, მას შემდეგაც ვმეგობრობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადგან ის ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრია, ყველგან უნდა ჩაერიოს, სადაც მოუნდება. რომც ჰქონდეს ამის უფლება, ვიცი, მაინც არ გააკეთებს, მით უმეტეს, ახლა, როცა იცოდა, ამ ჩარევას რაც მოჰყვებოდა. იგი არჩევნებზე იყო მოწვეული, როგორც ყოფილი ფეხბურთელი და საფეხბურთო ოჯახის ღირსეული წევრი. მას დიდი ფეხბურთი აქვს ნათამაშები და, ჩემი აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელია. ერთხელ და სამუდამოდ მინდა, ყველამ გაიგოს, რომ კახი კალაძე ამ არჩევნებში არ ჩარეულა და არც მას და არც სხვა რომელიმე პოლიტიკოსს ჩემს გასამარჯვებლად ჩარევა და გავლენის გამოყენება არ უცდია! ისედაც პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ და ვცდილობ, მსგავს პროცესებში არ ჩავერიო!“

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

13-19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ | № 1 (316) | 15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპორტი

მე-14 გვერდიდან

დრო, რომ ზვიად სიჭინავა და რეზი არველაძე ქართული ფეხბურთიდან მშვიდად, არჩევნების გზით გაგვეშვა. მართლა გულით მაწუხებდა ის მძიმე ვითარება, რაც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, სპორტის ამ სახეობაში და გადავწყვიტე, არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, თანაც გერმანიაში, ვფიქრობ, საკმარისი ცოდნა დავაგროვე, უარი ვთქვი იქაურ პერსპექტივებზე და გადავწყვიტე ეს ცოდნა და გამოცდილება სამშობლოსთვის მომეხმარებინა. გერმანელები საკუთარ თავსა და ფეხბურთს როგორმე უჩემოდაც მიხედავენ **(იცინის).**

– არჩევნების წინაც და მას შემდეგაც ბევრს საუბრობენ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში გავლენიანი პოლიტიკოსების ჩარევაზე, მათ შორის სახელდება თქვენი მეგობარი კახა კალაძე. ამაზე რას იტყვით?

– სრული სისულელეა, რომელიც ისეთმა ხალხმა გაავრცელა, რომელსაც არ უყვარს ქართული ფეხბურთი და არ უნდა მისი განვითარება. კახი ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ჩვენ ერთადაც ვთამაშობდით თბილისის „დინამოში“, მას შემდეგაც ვმეგობრობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადგან ის ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრია, ყველგან უნდა ჩაერიოს, სადაც მოუნდება. რომც ჰქონდეს ამის უფლება, ვიცი, მაინც არ გააკეთებს, მით უმეტეს, ახლა, როცა იცოდა, ამ ჩარევას რაც მოჰყვებოდა. იგი არჩევნებზე იყო მოწვეული, როგორც ყოფილი ფეხბურთელი და საფეხბურთო ოჯახის ღირსეული წევრი. მას დიდი ფეხბურთი აქვს ნათამაშები და, ჩემი აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელია. ერთხელ და სამუდამოდ მინდა, ყველამ გაიგოს, რომ კახი კალაძე ამ არჩევნებში არ ჩარეულა და არც მას და არც სხვა რომელიმე პოლიტიკოსს ჩემს გასამარჯვებლად ჩარევა და გავლენის გამოყენება არ უცდია! ისედაც პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ და ვცდილობ, მსგავს პროცესებში არ ჩავერიო!

– ფედერაციაში როგორი მემკვიდრეობა დაგხვდათ?

– ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ გავიმეორებ, რომ ვითარება, მართლაც, უმძიმესი იყო. ჯერ მარტო, ფედერაციას საერთაშორისო ვალი – 6 მილიონი ლარი ჰქონდა, რომელიც რამდენიმე წელზე გადავანაწილეთ და ეტაპობრივათ ვიხდით. გაუმართავი და მოუქნელი იყო სისტემა, რომლითაც ტარდება ეროვნული ჩემპიონატი. დანგრეული, ან გასხვისებული იყო სტადიონები და მოედნები მთელ საქართველოში. არათანაბარი დაფინანსების გამო უკმაყოფილების განცდა იყო კლუბებშიც. ვცდილობთ, ყველა აღნიშნული პრობლემა ეტაპობრივად მოვაგვაროთ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდება ერთ, ან ორ დღეში. ამის გამოსწორებას და შეცვლას შესაძლოა, წლებიც დასჭირდეს.

– ბატონო ლევან, ბოლო დროს აქტუალურია „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლის დანგრევა. როგორია ფედერაციის პოზიცია?

– ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი კომენტარის გაკეთება მომიხდა. ყველგან ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ აუცილებლად გამოინახება ადგილი, სადაც ეს ბავშვები განაგრძობენ ვარჯიშს. შემდეგ კი, მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიძებნება ადგილი, სადაც შეიქმნება ახალი მოედანი. ჩვენთვის პრიორიტეტი და მთავარია, რომ ბავშვებმა გააგრძელონ ვარჯიში ჩვეულ რიტმში. თუ მერია გამოგვიყოფს ადგილს, ფედერაცია მზადაა, იმ მიზერული ბიუჯეტითაც კი, რაც გაგვაჩნია, ავაშენოთ საფეხბურთო მოედანი. გული მწყდება, რადგანაც ეს საკითხი უკვე პოლიტიკური ქულების დაწერის შესაძლებლობად იქცა და პარტიები ამას მშვენივრად იყენებენ. ფედერაცია ვერ იქნება მოსამართლე, გადაწყვეტილება გამოიტანოს. ჩვენ მხოლოდ მოლაპარაკებებში ჩართვა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება შეგვიძლია. ჩვენი პოზიცია კი, მკვეთრად უარყოფითია!

– ყველა ქართული კლუბი სახელმწიფო დახმარების პროგრამის ამუშავებას ელოდება. ამ პროგრამის განხორციელებას ფედერაცია როდიდან ვარაუდობს?

– დეკემბერში, ბათუმში, კლუბების წარმომადგენლებს შევხვდი, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ ამ პროგრამის ამუშავება განვიხილეთ. პარალელურად, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიდის სამთავრობო კომისიასთანაც, რომელსაც კახი ხელმძღვანელობს. სავარაუდო თარიღად მიჩნეულია მომდევნო სეზონი. წესით, ეს პროგრამა 2016-2017 წლების სეზონიდან უკვე სრული დატვირთვით უნდა ამუშავდეს, რაც ყველა კლუბისთვის შვება იქნება.

ასევე, ამ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, დიდია ალბათობა, რომ კლუბებით კერძო ინვესტორებიც დაინტერესდნენ.

– ...რომელ გუნდს გულშემატკივრობთ და ვინაა თქვენთვის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი?

– ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ნომერ პირველი საგულშემატკივრო გუნდი საქართველოს ეროვნული ნაკრებია. უდიდესი პატივი იყო მის რიგებში 100 მატჩის ჩატარება. ისეთ დიდ ტურნირებზე მაქვს ნათამაშები, როგორიცაა ჩემპიონთა ლიგა და ბუნდესლიგა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემთვის მაინც სულ სხვა მოტივაცია ჰქონდა. ამიტომაც ჩემთვის იგი კვლავ რჩება ნომერ პირველ საგულშემატკივრო გუნდად.

– როგორია ფეხბურთის ფედერაციის სამომავლო გეგმები, რის განხორციელებას ვარაუდობთ უახლოეს მომავალში?

– ბევრი რამის განხორციელება იგეგმება, მათ შორის გამოვყოფდი ბათუმსა და ზუგდიდში სტადიონების მშენებლობის დაწყებას, საწვრთნელ ბაზებთან ერთად. წლებია, ამ ორ ქალაქს სტადიონი არ აქვს. ასევე, ვგეგმავთ ბავშვთა ფეხბურთის განსავითარებლად უფასო საფეხბურთო სკოლების შექმნას, სადაც ნებისმიერი მსურველი სრულიად უსასყიდლოდ ივარჯიშებს. სხვათა შორის, ეს მეთოდი ერთ ევროპულ ქვეყანაშიც არ არსებობს, არ ვიცი, ეს რითია განპირობებული, მაგრამ ფაქტია.

– ალბათ, იმით, რომ ევროპაში ხალხს არ უჭირს...

– ვერ დაგეთანხმებით, გაჭირვებულიც და დალხენილიც ყველგანაა, უბრალოდ, იქ ისეთი მძიმე ეკონომიკური ვითარება არაა, როგორიც აქ, თან ფეხბურთზეც მხოლოდ ისინი დადიან, ვისაც ამის ნიჭი აქვს, ფულს ტყუილად არავინ ყრის. სხვათა შორის, მხოლოდ გერმანიაში, 250 000 ფეხბურთელი ვარჯიშობს, საქართველოში კი – 12 000.

– ბატონო ლევან, გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში მოსალოდნელ ცვლილებებზე. რა სახის ცვლილებებს ვარაუდობთ?

– დიახ, მართალია, ეროვნული ნაკრების გარდა, ცვლილებები ყველა ასაკობრივ ნაკრებში იგეგმება, დაწყებული მთავარი მწვრთნელებით და ასისტენტებით დამთავრებული. ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რადგან შედეგი არცთუ შთამბეჭდავია. ნაკრებს ახალი სისხლი და ახალი სათამაშო სქემა სჭირდებათ.

გარდა ამისა, მარტსა და ივნისში ვგეგმავთ ამხანაგურ მატჩებს ეროვნული ნაკრებისთვის. აუცილებელია მოსამზადებელი შეკრების გავლაც, რადგან ნაკრები შემდეგ შესარჩევ ციკლს, რომელიც ამა წლის სექტემბერში იწყება მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების წარმატება ჩვენი პრიორიტეტია.

– ბოლოს, ორი სიტყვა ოჯახზეც მითხრით...

– კი ბატონო... მყავს მეუღლე, თამარ წულეისკირი და ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ამჟამად ისინი გერმანიაში იმყოფებიან – საახალწლოდ იყვნენ ჩამოსულები, თუმცა სასწავლო პროცესი განახლდა და უკან მოუწიათ დაბრუნება. ნიკას თავიდან ფეხბურთელობა სურდა, ჯერ მეკარე იყო, შემდეგ – ნახევარმცველი, თუმცა ახლა სწავლაზე უფრო ფიქრობს და ეს ძალიან მახარებს, რადგან ფეხბურთელი, ზოგადად, 3, ან 4% ხდება, დანარჩენები კი საკუთარი თავის რეალიზებას ვეღარ ახდენენ, რადგან საკმარისი განათლება არ აქვთ. მსურს, ჩემს ორივე შვილს მივცე საუკეთესო ევროპული განათლება, რომელსაც ისევ სამშობლოს მოახმარენ.

ესაუბრა დავით დოლიძე

„დადგა დრო, რომ ზვიად სიჭინავა და რეზი არველაძე ქართული ფეხბურთიდან მშვიდად, არჩევნების გზით გაგვეშვა. მართლა გულით მაწუხებდა ის მძიმე ვითარება, რაც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, სპორტის ამ სახეობაში და გადავწყვიტე, არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, თანაც გერმანიაში, ვფიქრობ, საკმარისი ცოდნა დავაგროვე, უარი ვთქვი იქაურ პერსპექტივებზე და გადავწყვიტე ეს ცოდნა და გამოცდილება სამშობლოსთვის მომეხმარებინა. გერმანელები საკუთარ თავსა და ფეხბურთს როგორმე უჩემოდაც მიხედავენ...“

საზოგადოება

დიდი უწყლობა გუდაურში

ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს ზამთრის კურორტებზე – ბაკურიანსა და გუდაურში ვიზიტორთა და დამსვენებელთა რაოდენობა წელს მკვეთრად გაზრდილია, თუმცა კომფორტის მოყვარულ ტურისტებს გუდაურის თითქმის ყველა სასტუმროში ერთი და იგივე პრობლემა დახვდათ – უწყლობაა. როგორც სასტუმროების მფლობელები აცხადებენ, ეს პრობლემა არახალია, თუმცა ხელისუფლება მათ სეზონის წინ დახმარებას დაჰპირდა. მათივე განცხადებით, ე. წ. ახალი გუდაურის განაშენიანებისა და ხელოვნური გათოვლიანების პროექტებმა ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.

„სეზონი ჩავარდება და უტურისტოდ დავრჩებით!“ – სასტუმროების მფლობელები დახმარებას ითხოვენ

ინოლა ზოთაშვილი, სასტუმრო „გაგიეთის“ მესაკუთრე: „– ყოველ წელს ერთი და იგივე პრობლემაა. წყალი ისედაც ცოტა, ან სულ არ მოდიოდა ხოლმე. ახლა კი, რაც ეს ახალი გუდაური ააშენეს და უამრავი სასტუმრო გახსნეს, წყლის რაოდენობამ კიდევ უფრო იკლო – წყალი ვეღარ აკმაყოფილებს, ეტყობა, ამდენ სასტუმროს. პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, წელს სეზონი ჩავარდება და უტურისტოდ დავრჩებით, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვისაც ცუდია და ჩვენთვისაც, კერძო მესაკუთრეებისთვისაც.

რეზო ზუკაკიშვილი, სასტუმრო „მზის სახლის“ მფლობელი: „– ადრე წყალი გრაფიკით მოდიოდა, ისიც მცირე მასით და ავზებში ვაგროვებდით. ახლა კი, გრაფიკიც აღარ ჰქვია იმას, რა პერიოდულობითაც წყალი მოდის. დამსვენებლები მყავს, რომლებმაც ოთახები ზაფხულში დაჯავშნეს, ჩამოვიდნენ იმ მოლოდინით, რომ კარგად დაისვენებდნენ და შესაბამისი პირობები დახვდებოდათ, მაგრამ წყალი რომ არაა, ეს რამხელა სტერსია ჩვენთვისაც და მათთვისაც, ალბათ, გესმით. დილა-საღამოს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ სადამდე?! თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი, რა გვეშველება. ახალი გუდაურის პროექტი რომ გაკეთდა, მარტო სასტუმროების აშენება დაიწყეს, კომუნიკაციები და წყლის სისტემები კი, პრაქტიკულად, ხელუხლებელი დარჩა, ამას დაემატა ხელოვნური გათოვლიანებისთვის საჭირო წყალი და, საბოლოო ჯამში, ჩვენ დავზარალდით“.

გელა შამანაური, სასტუმრო „გუდაური პალასის“ მენეჯერი: „– წყლის პრობლემა გუდაურში მუდმივად დგას, მაგრამ ჩემს სასტუმროში ეს ნაკლებად იგრძნობა, ამიტომ არც ტურისტებს გამოუთქვამთ უკმაყოფილება. თითქმის ყველა ნომერი სავსეა, ან დაჯავშნული. სპეციალური ავზები მაქვს, სადაც გროვდება წყალი და იტუმბება. დაგროვილი წყალი კი ნომრებში ნაწილდება, ასე რომ, ჩემი სასტუმროს დამსვენებლები უწყლობას ნამდვილად არ უჩივიან, მაგრამ ეს პრობლემა მაინც გადასაჭრელია. როგორ შეიძლება, ამხელა კურორტს წყალი არ ჰქონდეს?!“

ასეა თუ ისე, ფაქტია: გუდაურს, მართლაც, აწუხებს უწყლობა, რაც მხოლოდ სასტუმროების მეპატრონეებზე კი არა, დამსვენებლებზეც აისახება – არაკომფორტულ გარემოში ტურისტი დიდხანს ნამდვილად არ გაჩერდება, ან თუ გაჩერდა, მეორედ ჩამოსვლის სურვილი აღარ გაუჩნდება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ვნახოთ, რამდენად ოპერატიულად გადაიჭრება გუდაურში წყლის მიწოდების პრობლემა.

დავით დოლიძე

16 | № 1 (316) | 13-19 იანვარი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

თბილისელი ბოშების საახალწლო ტრადიციები

ახალი წელი კაცობრიობისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია — ამ დღეს ძველს ვტოვებთ და რაღაც ახალს ახალი სურვილებითა და იმედით ვიწყებთ... წინასაახალწლო განწყობა თბილისში არცთუ მრავალფეროვანი იყო, თუ არ ჩავთვლით ერთი დიდი გამზირის განათებასა და პარლამენტის წინ დადგმულ, უგემოვნოდ მორთულ ნაძვის ხეს. გარეუბნებში კი, ამ მხრივ, კვლავ 90-იანი წლებია — დაკეტილი მაღაზიები, პურის საცხობებთან რიგი და გარე მოვაჭრეებით სავსე ქუჩები. ახალი წლის წინა დღე ლოტკინზე სხვა დღეებისგან არაფრით გამოირჩევა. ეს უბანი ჯორჯო ეულის ერთ-ერთ ნაწარმოებში აღწერილ ღმერთისგან მივიწყებულ ადგილს მოგაგონებთ. ყოველ შემთხვევაში, შავ-ბნელი 90-იანები ისე კარგად არსად იგრძნობოდა, როგორც აქ... ლოტკინი მრავალეთნიკური უბანია, სადაც მშვიდობიანად თანაცხოვრობენ ქართველები, ქურთები, იეზიდები, აზერბაიჯანელები და მოლდოველი ბოშები. ეს უკანასკნელები ამ დასახლების აბორიგენი მოსახლეები არიან — არაოფიციალური მონაცემებით, ლოტკინზე 1 500-მდე მოლდოველი ცხოვრობს. დავინტერესდი, როგორ ხვდებიან თბილისელი ბოშები ახალ წელს და აქვთ თუ არა განსაკუთრებული ტრადიცია...

ᲡᲠᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲚᲝᲢᲙᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲨᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

31 დეკემბრის დილაა, არაფრით გამორჩეული სხვა დილისგან. ეგაა ოღონდ: ოჯახში წინასაახალწლო ფუსფუსია... მამაჩემმა პურის თადარიგი ადრეე დაიჭირა. ჰოდა, თონესთან, რიგში დგომა აღარ მომიწევს. ამიტომაც საცხობს მშვიდად, აუღელვებლად და ამაყად ჩავუარე და გეზი ბოშათა დასახლებისკენ ავიღე. ლოტკინზე სულ ორი ცენტრალური ქუჩაა — სამღერეთის, საიდანაც ამ უბანში მოხვედრაა შესაძლებელი და წერონისის, სადაც ამ „უნიკალური“ დასახლების ერთადერთი სუპერმარკეტია განთავსებული. ბოშათა დასახლებაში მოსახვედრად გაყინულ და ხალხმრავალ წერონისს მივუყვები.

უამრავი ნაცნობი მხვდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ლოტკინი ნამდვილად არ გახლავთ მეგაპოლისი — აქ ყველა ყველას იცნობს. ყოველ შემთხვევაში, ჰგონიათ, ერთმანეთს იცნობენ. შემხვედრნი ორ ჯგუფად იყოფიან: ბედნიერნი, ანუ ვისაც პური ერგო და ნაკლებად ბედნიერნი, ანუ უპურონი. ახალი წელი, როგორც ყველგან, ლოტკინზეც ყველაზე მეტად პატარებს უხარიათ — „პიროტექნიკით აღჭურვილნი“ დარბიან და თავი დიდ სამამულო ომში, უფრო სწორად, „ქაუნთერის“ ერთ-ერთ ტურში ჰგონიათ. ანაზდეულად, ცხვირწინ ასაფეთქებელი „გამისკდა“, თუმცა ბავშვებმა „ბრძოლაში“ ვერ „ჩამითრიეს და გზა განვაგრძე...

როგორც იქნა, მივადექი იმ ადგილს, რომლის მონახულების წადილმაც 31 დეკემბერს დილაადრიან გამაღვიძა და თითქმის მთელი ლოტკინი ფეხით გამომატარა.

ბოშათა უბანში ახალი წლისთვის შეუფერებელი სიმყუდროვეა... ქუჩას მივუყვები... მაწანწალა ძაღლები ამეტორღიალნენ, თუმცა ხმა არ გაუციათ — გვერდი ამიქციეს... ამასობაში თვალი ერთ-ერთ მოლდოველ ქალბატონს მოვკარი და მისკენ გავეშურე...

მივესალმე, რაღა თქმა უნდა, ქართულად, შემდეგ კი, ჩემი სტუმრობის მიზეზი ავუხსენი... სალამზე სალმით მიპასუხა, დამდეგი ახალი წელიც მომილოცა. მერე, მითხრა, დამელოდეო და შინ შევიდა...

ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, უკან დაბრუნდა და სახლში შემიპატიჟა... ეზოში შესულს ოჯახის სხვა წევრებიც შემომეგებნენ, მესალმებიან, ძირითადად თავიანთ ენაზე... ერთმა, სკამები გამომიტანა... დავსხედით. გვკითხე, აბა, რაც გაინტერესებსო, — მითხრეს.

თავი რატომღაც უხერხულად ვიგრძენი, თუმცა სიმორცხვე მალევე დავძლიე და კითხვები მივაყარე. ძირითადად ის ქალბატონი მპასუხობდა, რომელიც პირველი შემომეგება. მოლდოველმა ლენა შევცოვამ ტკბილეულიც შემომთავაზა...

მოკლედ, როგორც გავარკვიე, ბოშათა ახალი წელი ტრადიციული, ქართული ახალი წლისგან თითქმის არ განსხვავდება: თბილისელი ბოშებიც, ჩვენი არ იყოს, ნაძვის ხეს დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე რთავენ. მათი საახალწლო სუფრაც ჩვენებური სუფრის ალიკვალია, მდიდრული და სართულებიანი, ანუ ბოშათა საახალწლო სუფრაზე ყველა იმ კერძს ნახავთ, რომელიც თითქმის ყველა ქართული ოჯახის სადღესასწაულო სუფრას ამშვენებს...

ახალი წლის დადგომას ბოშებიც პიროტექნიკის აფეთქებითა და თოფის სროლით ეგებებიან. აი, ოდნავ განსხვავებული ტრადიცია ნაახალწლევს აქვთ: 6 და 7 იანვარს ნათლული აუცილებლად სტუმრობს ნათლიას. ეს რიტუალი, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს ჩვენებურ ნათლისღების დღესასწაულს. როგორც ჩანს, ამ ეროვნების წარმომადგენელთა ტრადიციებზე უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა — ქართველებთან მრავალწლოვანმა თანაცხოვრებამ, საკუთარ ყაიდაზე შეცვალა მოლდოველი ბოშების საახალწლო ტრადიციები. ამაზე ერთი ქართული ანდაზა გამახსენდა, სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო...

მოკლედ, ახალ წელს გილოცავთ!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜ ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲘ

ᲪᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ „ᲛᲝᲯᲐᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲚᲕᲘᲛᲔ“

ცხოვრება მიდის, — თან გვდევს სიზმარი.
კარგად ვარ, სავსე მწველი ტრფიალით.
ცხოვრება მიდის, — ზღაპარი არა.
კარგად ვარ, ვრჩები პოეტად მარად.
სამყარო გვხუთავს, — სული კი სუნთქავს.
კარგად ვარ, კარგად, მინდა, რომ სულ
ვთქვა.

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲔᲡᲔᲜᲘᲜᲘ

ᲐᲠᲫᲘᲡ ᲮᲔ

თეთრი არყის ხე
ჩემს სარკმელს იქით,
გადაიპენტა,
ვერცხლისფერ ფიფქით.
თითქოსდა ფუნჯით
დაუხატიათ,
დათოვლილ ტოტზე
თეთრი არშია
და დგას არყის ხე
ჩუმად, მთვლემარე,
ფიფქი ოქროსფრად
ანათებს არეს.
რიჟრაჟი ზანტად
გარს უვლის ტოტებს,
ფაფუკი ფიფქი
ვერცხლის კვალს ტოვებს.

რუსულიდან თარგმნა
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲨᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას თანამედროვე კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამაზე



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე, სადაც ისწავლება თანამედროვე კრიმინალისტიკა გამოძიებაში. (ყოველი საფეხურის დამთავრებისას გაიცემა დიპლომი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, პროფესორი ანა ჭიღიტაშვილი.

კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ადაპტირებული კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე გამოძიების მოთხოვნები, დანაშაულის შემთხვევის ადგილის დაცვა, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-ამოღება, ფიქსაცია თანამედროვე ფოტო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით, შეისწავლება თანამედროვე დაქტილოსკოპიის საიდენტიფიკაციო მეთოდები (FBI-ის პროგრამის მიხედვით) და სხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განხორციელება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

კრიმინალისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე ტრასოლოგია, ბალისტიკა, გამოძიების დაწყების საფუძვლები და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტაქტიკა, დანაშაულის კვალიფიკაცია და მტკიცებულებათა მიღების, ფიქსაციის სამართლებრივი საკითხები, გამოძიების კრიმინალისტიკური და სისხლის სამართლის პროცესუალური ეტაპები.

კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი, პროფესიონალები, სადაც შესწავლას ექვემდებარება გამოძიების ეტაპზე თანამედროვე კრიმინალისტიკური და სასამართლო ექსპერტიზების დანიშვნა, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების და გახსნის მეთოდიკა, საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელების, მტკიცებულებათა სტანდარტის მოპოვების სამართლებრივი საფუძვლები, სისხლის სამართლის საქმის მაკვალიფიცირებელი და პიროვნების საიდენტიფიკაციო ნიშნების დადგენა;

კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამას უძღვებიან კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კრიმინალისტიკის ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო დარბაზი.

პროგრამის ხანგრძლივობა და დაშვების წინაპირობა:

ხანგრძლივობა: პროფესიული საფეხურის თითოეული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (10 თვე).

დაშვების წინაპირობა:

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ საბაზო განათლების მქონე პირს, მინიმალური ასაკი 16 წელი.

მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს.

მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურების კვალიფიკაციის მქონე პირს.

დასაქმების სფერო:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო/ოპერატიულ სამსახურებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და პრობაციის, თავდაცვის სამინისტროები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური), ადვოკატთა კერძო და სახელმწიფო კორპუსის დარგში, დამოუკიდებელ (კერძო) საექსპერტო ბიუროებში.

პროფესიული პრაქტიკა:

სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის ამაღლების მიზნით თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული წამყვან კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; სკოლის ატესტატი; 2 ფოტოსურათი (CD-თან ერთად)

სწავლის საფასური:

მესამე საფეხურზე: 1200 ლარი.

მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე: 1500 ლარი.

საბუთები მიიღება 1 თებერვლამდე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ ვებგვერდზე – tbuniver.edu.ge განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა.

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:
(032) 296 90 44
599 54 70 42
595 26 79 46

18 № 1 (316) 13-19 იანვარი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲣᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველდღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲗ ᲜᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲔᲕᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ

ნაახალწლევს ფორმაში მოდით, რადგან წინ კიდევ რამდენიმე დღესასწაულია! ყველაფერი კი, კვების მოწესრიგებით დაიწყეთ, რადგან ქეიფ-ქეიფში ყველაზე მეტად თქვენი საჭმლის მომნელებელი ორგანოები დაზარალდნენ.

უმჯობესია, ქეიფის მეორე დღესვე ორგანიზმი დაასვენოთ და განტვირთვა მოუწყოთ. ამით მომატებულ წონასაც ეშველება, რომელიც, ჩვეულებრივ, დაახლოებით 500 გრამიდან 1,5 კილოგრამამდე მერყეობს ხოლმე. 3 განტვირთვის დღე მოაწყეთ. ეს რჩევები ძველი ახალი წლის შემდეგ დღეებშიც გამოგადგებათ – ჩვენ ხომ საქვეყნოდ სახელგანთქმული მოქეიფე ერი ვართ!

მაშ ასე, ესეც განტვირთვის დღეები:

პირველ დღეს ქურაში უცხიმოდ ე.წ. გამომცხვარი, ან უმი ბოსტნეული და ხილი მიირთვით, კარგია ბურღულეული უცხიმოდ და უმარილოდ – ნაწლავები გაიწმინდება და ნორმალურად მუშაობას დაიწყებს. პროდუქტები 6 ულუფად გაყავით და მთელი დღის განმავლობაში ცოტ-ცოტა მიირთვით.

ცილოვანი საკვები ცვლის პროცესების ნორმალიზაციას უწყობს ხელს და იმ ნივთიერებათა აქტივობას ასტიმულირებს, რომლებიც ორგანიზმში ცხიმების დაგროვებას აღკვეთს, მხოლოდ ხორცს ნუ შეჭამთ. მოხარშეთ მჭლე ჯიშის თევზი (400 გრ) და უმ, ან ორთქლზე მომზადებულ კომბოსტოსთან (დაახლოებით, 900 გრ) ერთად მიირთვით, მარილის გარეშე, ასევე, დღეში 6-ჯერ. კომბოსტო, ამ შემთხვევაში, ხელს უწყობს გულის გამართულ მუშაობას, აფერხებს თრომბების წარმოქმნას, აქვეითებს ქოლესტერინის კონცენტრაციას, ასტიმულირებს ნაწლავების მუშაობას.

ცხიმებით განტვირთვის დღე, ასევე, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს ააქტიურებს, მაგრამ ცხიმები სახამებლის შემცველ პროდუქტებს არ უნდა შეურიოთ. დღის განმავლობაში მიიღეთ 500 გრ არაჟანი (5 ულუფად) და 2-ჯერ შეიძლება დალიოთ 2 ფინჯანი (მომცრო ზომის) უშაქრო ყავა რძით. თუ არაჟანი არ გსურთ, დღეში 5 ჭიქა ცხიმიანი კეფირი მიირთვით.

იანვრის ჭამა-სმით გადატვირთული დღეების გამო, ადამიანებს ხშირად სერიოზული მოშლილობები ეწყებათ: ყაბზობა, ფაღარათი, კუჭ-ნაწლავის დამძიმება, შებერილობა, ძლიერი შეშუპებები, წონის მომატება და თვით ქრონიკული დაავადებების გართულებაც კი.

თუ ამ სადღესასწაულო დღეებში იმდენი შებოლილი, ცხიმიანი, მწვავე, შემწვარი, ტკბილი და მარილიანი კერძები მიირთვით, რომ კუჭმა ვერ გადაიტანა და ლორწოვანი გარსის ანთება დაიწყო, არ მიიღოთ უმი ხილი და ბოსტნეული, სალათები, უმი წვენები. მოიმზადეთ მოხარშული ბოსტნეულის პიურეები. ჭარხალი და სტაფილო აუცილებლად მეტი აიღეთ და კარტოფილი დაუმატეთ, დააბლენდერეთ, ან გახეხეთ, მოასხით ცოტაოდენი ზეთი და ცოტ-ცოტა, მთელი დღე მხოლოდ ეს ჭამეთ.

მწვავე გასტრიტის მკურნალობა ერთი კვირა მაინც მოგიწევთ. გიყვართ თუ არა, უნდა მიირთვათ გახეხილი სუპები და პიურეები, ფაფები, ორთქლზე მომზადებული უცხიმო კატლეტი, ცხიმგაცლილი რძის პროდუქტები და ყველა ეს, პრაქტიკულად, უმარილო, თორემ შეშუპებები რამდენიმე დღის განმავლობაში გარანტირებული გექნებათ. დღესასწაულების შემდეგ უკეთესია, თუ მარილს საერთოდ არ მიიღებთ, კვებათა შორის კი, დილიდანვე ბალახეულის, ან მწვანე ჩაის დალევას დაიწყებთ, თითო მიღებაზე 2-3 ფინჯანი ცოტაოდენი თაფლით.

შეშუპებებს მოგიხსნით მოხარშული ბრინჯი ცხიმისა და მარილის გარეშე, კუჭის სიმაგრის დასაძლევად კი, ბრინჯი მოხარშულ ბოსტნეულთან ერთად მიირთვით.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

შეკრულობის დროს: ცხელ წყალში დაალბეთ ჭერმის (კურაგა) და ლეღვის ჩირი. ერთი დღე-ღამე გააჩერეთ და ნადიმიდან მეორე დილასვე მთელი ნაყენი დალიეთ, დამბალი ჩირი კი, მიირთვით. სადილისთვის მოამზადეთ მოხარშული ჭარხლის სალათა, მოასხით ზეთი და ლიმონის წვენი.

ფაღარათის დროს: თუ ორთქლზე მომზადებული კატლეტი არ გესიამოვნებათ, მიირთვით კვერცხი, ხაჭო, დალიეთ კეფირი, რძე, მაწონი – ცილოვანი საკვები ორგანიზმს ცვლის პროცესების აღდგენაში ეხმარება.

ქეიფის შემდეგ სვით წვენები, უკეთესია კისელი, ჩირის კომპოტი თაფლით. თავი შეიკავეთ ყავისა და ჩაის მიღებისგან.

თუ ძილის პრობლემა შეგექმნათ, ვიდრე დაწვებით, დალიეთ თბილი რძე, ან ცხელი ჩაი. უკეთესია, თუ ქუჩაში გაისეირნებთ, თან გახსოვდეთ: მშიერ კუჭზე არ დაგეძინებათ, ამიტომ წაიხემსეთ, მაგრამ ზომიერად.

თუ დილით ადგომა გეზარებათ, მიიღეთ კონტრასტული შხაპი, არა უმეტეს 5 წუთისა და დაამთავრეთ ის ცივი წყლის გადავ-

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲛᲔᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

13 -19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ | № 1 (316) | 19

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲛᲔ-18 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ლებით.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲓᲘᲔᲢᲐ

ბოლოდროინდელ დიეტათაგან ერთ-ერთი ყველაზე გამაოგნებელი და საშიშიც ე.წ. ეგზოტიკური ბამბის დიეტაა. მისი მიმდევრები ბამბისგან გაკეთებულ ბურთულებს ფორთოხლის წვენით ჟღინთავენ და ყლაპავენ. ბამბა კუჭში ფუვდება და სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს. ალბათ, ხვდებით, რომ ასეთი დიეტა კარგის მომტანი კი არა, მავნეა!

შიმშილობამ და მონოდიეტებმა, ასევე, შეიძლება ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ვიტამინების, მიკროელემენტებისა და შეუცვლელი ამინომჟავების დეფიციტი გამოიწვიოს, ყოველივე ამან კი, ენდოკრინული სისტემის რეგულაციის მოშლამდე მიგვიყვანოს.

ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲙᲔᲜᲭᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲗᲐᲤᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ!

1. თირკმლების მკურნალობისთვის კარგია თაფლით, ასკილითა და ლიმონის წვენით დამზადებული სამკურნალწამლო საშუალება. საჭიროა: 100-150 გრ თაფლი, 200-220 მლ ლიმონის წვენი, 60-80 მლ ასკილის წვენი. ინგრედიენტები ერთმანეთს შეურიეთ, ნაზავი მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში მოათავსეთ და ბნელ, გრილ ადგილზე შეინახეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო ჯერზე 20 მლ, დილით უზმოზე, ხოლო საღამოს – ძილის წინ.

2. თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს ფართოდ გამოიყენება ტიბეტური რეცეპტი. საჭიროა 200 მლ წყალი, 200 გრ მურყანის ქერქი, 250 გრ თაფლი. ყველა ინგრედიენტი ერთმანეთს შეურიეთ, მიიყვანეთ ადუღებამდე და 10-15 წთ ხარშეთ ნელ ცეცხლზე. შეიძლება ცოტაოდენი საჭმელი სოდაც დაამატოთ თუ მასზე უკუჩვენება არ გაქვთ. შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, გრილ და ბნელ ადგილზე. მიიღეთ ყოველი ჭამიდან 10-15 წუთის შემდეგ თითო ჯერზე 20 გრ.

3. კარგი თვისებებით გამოირჩევა თაფლი და მარწყვი ერთად. მოსამზადებლად დაგჭირდებათ 200 მლ მარწყვის წვენი, 30 გრ თაფლი. თაფლი უნდა გახსნათ წვენში და მაშინვე დალიოთ. მიიღეთ დღეში 3-6-ჯერ, თითო ჯერზე 100-200 მლ. (თქვენზეა დამოკიდებული რამდენს მოამზადებთ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მომზადებისთანავე უნდა დალიოთ).

4. წითელი მოცვი, ისევე როგორც თაფლი, მაღალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, ამიტომაც მას თამამად გამოიყენებენ თაფლით თერაპიაში. პრეპარატის მოსამზადებლად საჭიროა 30 გრ მოცვის ფოთოლი, 200 გრ მდუღარე წყალი, 20 გრ თაფლი. მოცვის ფოთოლს დაასხით მდუღარე, გააჩერეთ 20-30 წთ, შემდეგ გაწურეთ და თაფლს შეურიეთ. მიიღეთ დღეში 2-ჯერ, თითო ჯერზე 100 მლ (დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ) 1–1,5 თვის განმავლობაში.

5. თაფლისა და ბროწეულის წვენის ნაზავი მრავალმხრივ მოქმედებს ორგანიზმზე და თირკმლების კენჭოვანი დაავადების დროსაც სასურველ გავლენას ახდენს. 300 მლ ბროწეულის წვენს დაუმატეთ 150 გრ თაფლი. თაფლი კარგად გახსენით ოდნავ თბილ (40-50 გრადუსი) ბროწეულის წვენში. მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ თითო ჯერზე 50-60 მლ.

ᲔᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲓᲒᲔᲑᲐᲗ

• თუ 40 წლისაც არ ხართ და უკვე ჭაღარა შემოგერიათ, შესაძლოა, ფარისებრი ჯირკვლის, ან პიგმენტაციის დარღვევების სიგნალი იყოს, ან გენეტიკური. ეს თავისებურება მემკვიდრეობითია.

• თმის ცვენა სახარბიელო როდია. ქალების 40% 40 წლის ასაკისთვის უკვე უჩივის ამ პრობლემას. შედარებით ხშირ მიზეზთა შორის ძირითადია ჰორმონალური პრობლემები, ან ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია, ორსულობა, ჰორმონალური დისბალანსი. ექიმს მიმართეთ, ის საჭირო პრეპარატებს დაგინიშნავთ.

• არასასიამოვნო სუნი პირში ძალიან დამთრგუნველია. თუ დღეში ორჯერ მაინც იხეხავთ კბილებს, კბილის ჩხირებიც, ან ძაფებიც მუდმივად თან გაქვთ, მაგრამ ეს უსიამოვნება მაინც თან გდევთ, ან ღრძილების დაავადება გაქვთ, ან მჟავა რეფლიუქსი, ქსეროსტომია, ან ცხვირის ღრუს ინფექცია. ხშირ შემთხვევაში, პრობლემა გადის, როდესაც სწორ კვებაზე გადადიან, მაგალითად, გამორიცხეთ რაციონიდან ყველა არომატული პროდუქტი. თუ შედეგს არ გამოიღებს, მაშინ სტომატოლოგთან უნდა წაბრძანდეთ.

• ზოგჯერ, პარსვის შემდეგ თმა კანში ჩაიზრდება ხოლმე. ამასთან ბრძოლის ყველაზე ქმედითი ხერხია, უარი თქვათ „ბრიტვაზე“. თუ ეს შეუძლებლად მიგაჩნიათ, მაშინ კარგად დაილბეთ კანი საპარსი კრემით. ყველაზე კარგი კი, ლაზერული ეპილაციაა.

• რატომ მუქდება კბილები? – იმიტომ, რომ ბევრ ყავას, ჩაის, ან შავ ღვინოს მიირთმევთ. კბილებს ზოგიერთი წამალი და თამბაქოც ამუქებს. ამიტომ, რეგულარულად იხეხეთ კბილები, ისარგებლეთ კბილის საწმენდი ძაფით. ეს მოგაცილებთ პიგმენტების ლაქებს, რომლებმაც შეიძლება, თქვენი კბილის ემალი შეღებოს.

• როგორ დავირბილოთ გაუხეშებული ტერფები? – გაუხეშება-გარქოვანება ორგანიზმის ბუნებრივი დაცვაა, რომელიც ტერფს სიარულის დროს იცავს. კანი უხეშდება და ყვითლდება ყველაზე ხშირად ტერფის გამოწეულ ადგილებზე, ძირითადად ქუსლებზე და არასასიამოვნოა ზაფხულში ღია ფეხსაცმლის სატარებლად. გირჩევთ: დაილბოთ კანი საჭმლის სოდიან წყალში და გარქოვანებული ადგილები გაიხეხეთ პემზით. ასე ყველაზე უხეშ ზედა ფენას მოიცილებთ.

• ფრჩხილები იმტვრევა და ფენებად იშლება წყალსა და ტუტოვან საპონთან ხშირი კონტაქტით. დაიცავით წყლისგან ხელები და დამარბილებელი საშუალებებით ისარგებლეთ. თუ ფრჩხილებმა საგრძნობად იცვალა ფერი, მაგალითად, გათეთრდა, ან გაყვითლდა, მიზეზი სოკოვანი ინფექცია იქნება. სინჯეთ სოკოს საწინააღმდეგო რომელიმე კრემი, მაგრამ ისინი ნაკლებეფექტურია. ამიტომ, აჯობებს ექიმს მიმართოთ.

• ჭარბი ოფლიანობა ბევრს აწუხებს. არადა, ოფლის გამოყოფა გადახურებისგან ორგანიზმის დამცავი რეაქციაა, მაგრამ თუ უმიზეზოდ იოფლებით, შესაძლოა, ჰიპერჰიდროზი გაქვთ. თუ ძალიან გაწუხებთ გაზრდილი ოფლდენა იღლიებში, ხელსა და ფეხისგულებზე, ისარგებლეთ სპეციალური ანტიპესპეტანტებით, სამედიცინო აბებით, ან ბოტოქსის ინექციებით.

• ჭარბმა ოფლიანობამ ფეხზე უსიამოვნო სუნი იცის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ცუდი სუნის გამომწვევი ბაქტერიები ტერფებზე გროვდება. ოფლთან შერევის შემდეგ კი ამ დისკომფორტს იწვევენ. აი, რატომაა, რომ ისინიც კი, ვინც მუდმივად იღებს შხაპს და განსაკუთრებულად უვლის ამ პრობლემას, მაინც გრძნობს ხოლმე ასეთ სუნს. ნუ ატარებთ ისეთ ფეხსაცმელს, რომელიც ფეხს გიოფლიანებთ და ისარგებლეთ სპეციალური დეზოდორანტებით.

ᲬᲘᲬᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘ

წიწაკის ნაყენის ეფექტურობა თმის ძირების ფოლიკულების ნერვული დაბოლოებების გაღიზიანებაში მდგომარეობს, რის შემდეგაც იზრდება სისხლის მიწოდება და თმა სწრაფ ზრდას იწყებს. ნაყენის შეძენა აფთიაქშიც შეიძლება და შეიძლება თავადაც მოამზადოთ. თავზე სუფთა სახით ნაყენის შეზელა არ არის მიზანშეწონილი, რამდენადაც კანის მგრძნობიარობის გამო მოსალოდნელია ძლიერი წვა ან ალერგია გამოიწვიოს. ასევე დიდი რაოდენობით მისი ხმარება სავარაუდოდ კანს და თმას გამოაშრობს და ქერტლს გააჩენს. ამის გამო, წიწაკის ნაყენი ჩართეთ სხვადასხვა ნიღბების შემადგენლობაში. ასეთი ნიღბები სასწაულებრივ ეფექტს ახდენს!

ᲬᲘᲬᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

შემადგენლობა: არაყი – 100 მლ; მწარე წითელი წიწაკა – 1 ცალი.

წიწაკა დაფქვით და არაყი დაასხით. გააჩერეთ ბნელ ადგილზე 2-3 კვირა. გამოიყენეთ ნიღბის სახით. არყის ნაცვლად შეგიძლიათ მცენარეული ზეთი იხმაროთ, თუმცა ნაკლები მასტიმულირებელი ეფექტი ექნება.

თმის ზრდისთვის წიწაკის ნაყენიანი ნიღბის რეცეპტები

1. ერთი სუფრის კოვზი წიწაკის ნაყენი შეურიეთ ამდენივე აბუსალათინის (ზეითუნის, თალგამის ან ნუშის) ზეთს. მიღებული მასა შეიზილეთ თმის ძირებში, თბილად შეიხვიეთ თავი და გაიჩერეთ 1-2 საათი.

2. თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს ხახვის წვენი, თალგამის ზეთი, თაფლი და წიწაკის ნაყენი. შეიზილეთ თმის ძირებში, დაითბუნეთ თავი და გაიჩერეთ 1-2 საათი.

3. 1-2 სუფრის კოვზი წიწაკის ნაყენი, 2 ცალი კვერცხის გული და 150 გრ კეფირი (ან მაწონი) შეურიეთ ერთმანეთს და იმგვარადვე მოიქეცით, როგორც წინა რეცეპტებშია მითითებული.

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ!

1. ნიღაბი წაისვით მხოლოდ თმის ძირებში და არა მთლიანად თმაზე;

2. ნიღაბი გაიკეთეთ კვირაში მხოლოდ 1-2-ჯერ და არა მეტად, თანაც ცოტა რაოდენობით;

3. ძლიერი წვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ პროცედურა და ნიღაბი თმიდან ჩამოიბანეთ;

4. გახსოვდეთ, რომ შეღებილმა თმამ ნაყენის ზემოქმედებით, შეიძლება ფერი იცვალოს.

მოამზადა **ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

გასული საუკუნის 70-იანი წლები

ჯანსულის სიცილნათელები

მდინარე „ჩხარა“
რისი ღირსნიც ვართ,
შეგვერგო შხამად,
სუყველაფერი
ჩვენს თავს ერგო და
ადიდებულა
მდინარე „ჩხარა“,
ალბათ, ძალიან
„ეჩხარებოდა“.

პენსიონერი
პენსიონერების მონათხრობს
გაგაცნობთ, რაც ჩემი წესია:
„ნობელის პრემიას ხომ არ გთხოვთ,
მოგვეცით ნორმალური პენსია!“
ვუმზერ სიბერის გზას მოხრეშილს,
მინდა, გაქოთ გარეთ, გაქოთ შინ,
სამასი ლარი აქვთ სომხეთში,
შვიდასი ლარი აქვთ ბაქოში.

მოლოდინი
თუ აზროვნება
შეირხა,
შენივე ფიქრის
დრო მოდის,
ერიჰაა,
ბედნიერი ხარ,
რადგანაც ელი
მოლოდინს.

კათარზისი
მიწა, რომელიც ვიწამე,
მე დავარქმევდი კათარზისს,
ამ უპატრონო მიწაზე,
ნეტავი, მიშა რად არ ზის?

მიშას საახალწლოდ
სანამ ქართველ ხალხს
დამარხავ,
მიხარია, რომ აუსვი,
შენ ვისი ღირსიც
არა ხარ,
ესაა „სანდრა კლაუსი“.

„ნაცო!“
საქართველოს ემსახურე
ერთი მიზნით,
ამ სამსახურს ასე ჰქვია –
კრეტინიზმი!

მტერი და მოყვარე
ღვთისაგან გერგო ცხოვრება,
მტრები ქვებივით მოყარეს,
გახსოვდეს, ვერ მოგერევა
მტერი, შენ თუ ხარ მოყვარე.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, ვერა ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თეიმო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი
რეგისტრირებულია
რეგიონალური
ცენტრის
(საგადასახადო
ინსპექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით